გაზეთი დაარსებულია 1918 წელს,
კვირა, 8 მაისი, 2005 წელი.
№108 (5141)

იმისთანა წმინდა საქმეში, ტყეტიც ბოჭდეული სიფცვაა, ფცუიოებით და ჭოტებით ბუტთის გაფანა ყეოლა უკადბისთბაზე უსამაგლესია.

საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, პოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. ფასი 50 თეთრი.

◎ პრეზიდენტი

ბათუმში უფასო სასადილო გაიხსნა

ბათუმში მყოფი საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გუშინ უფასო სასადილოს გახსნას დაესწრო. როგორც მიხეილ სააკაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, კიდევ რამდენიმე ამგვარი სასადილო აუცილებლად გაიხსნება.

"უფასო სასადილოები ბევრ ნორმალურ ქვეყანაშია, მაგრამ იქ მათზე ბევრად ნაკლები მოთხოვნაა, ვიდრე საქართველოში. უფასო სასადილოები მთელს საქართველოში უნდა გაიხსნას, განსაკუთრებით - იქ, სადაც ხალხს უჭირს. ჩვენს ქვეყანაში არ უნდა გვყავდეს არც ერთი მშიერი ადამიანი, ეს ჩემი პრინციპის ამბავია. ჩვენ გაგვაჩნია საიმისო ფული, რომ შიმშილობის პრობლემა არ არსებობდეს", - აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტმა ისაუბრა ასევე ქალაქ ბათუმის იერსახეზე და აღნიშნა, რომ ბათუმი ისევ უნდა გალამაზდეს. „ბათუმის ბულვარი თითქმის სამჯერ გაფართოვდა და აქ მთლიანად ახალი განათება კეთდება. ერთი წლის თავზე ხალხის ასეთ ენთუზიაზმს არ მოველოდი და ეს შემთხვევით არ ხდება", - აღნიშნა მან.

პრეზიდენტის თქმით, გუშინ მან ბათუმში პროკურატურის შენობა მოინახულა, რომელიც, მისი შეფასებით, ძალიან ლამაზად გამოიყურება. ამასთან, მისი განცხადებით, „მთავარია არა შენობა, არამედ ის, რომ მის გარშემო შენობებში მყოფი ხალხი უკეთესად ცხოვრობდეს. ეს ჩვენი უმთავრესი ამოცანაა. მთავარია, რომ ადგილობრივი ხელმძღვანელობა წყნარად და აუღელვებლად, ყოველგვარი ექცესებისა და სკანდალების გარეშე აკეთებს საქმეს, თუმცა 100-ჯერ მეტი რომ არის გასაკეთებელი, ყველაზე კარგად, მე ვიცი",- დასძინა მან.

◎ დღის შეკითხვა

ღირს მოსკოვში ზეიმზე ჩასვლა?

შაშიზმზე გამარჯვების 60 წლისთავს მთელი მსოფლიო აღნიშნავს. მოსკოვში უამრავი ქვეყნის პირველი პირი ჩადის. საქართველოს პრეზიდენტის გამგზავრება კი საბოლოოდ ჩაიშალა. რას ფიქრობს ამაზე ჩვენი საზოგადოება?



მარინა არეშაძე, ვეტერინარი: – ჩვენი პრეზიდენტი მოსკოვში აუცილებლად უნდა ჩავიდეს. ამხელა ზეიმია, ამდენი ძვირფასი სტუმარი იქნება და ეგ რაგომ უნდა გამოაკლდეს? ზეიად გამსახურდიაც ეჯრე იქალნებოდა, – მოსკოვში ფეხს არ ჩავადგამ, ვიდრე ჩვენს დამოუკიდებლობას არ აღიარებსო, და... ცუდად შემოუტრიალა რუსეთმა ეს დაქალნება. რა ვიცი, ბუში ჩადის და საკაკაშვილი არ ჩავიდეს, რაღაც უხერხული მგონია.

აკაკი ტყავაშვილი, მეღვინე: – კარგია, რომ არ მიდის. ამით ჩვენ მთელს მსოფლიოს დავანახვებთ, რომ რუსეთი კვლავ მოურჯულებელი იმპერიალისტია. არა, ვთქვათ შინაურულად, – რაღა უნდა რუსეთს? როდემდე უნდა ითრიოს ფეხი? მასპინძელი გარეთ გაგდებდეს და შენ მის სახლში ძალით ეტენებოდე, გაუგონარი ამბავია პირდაპირ.

ზვინაბ ხიდაშელი, ბიოლოგი: – საქართველოდან ის ომში 300 ათასზე მეტი კაცი დაიღუპა. აი, მათი პატივისცემის ნიშნად მაინც ღირს მოსკოვში ჩასვლა. გარდა ამისა, ამხელა ომი ნამდვილად მოიგო ქართველმა კაცმა – იოსებ სტალინმა. გინდა გირანი უძახეთ და გინდა დიქტატორი, ხომ მოიგო? ახლა კი სხვები იჩემებენ. ჩვენი პრეზიდენტის იქ ჩასვლელობა ჩვენს უკულტურობაში ჩაითვლება.

კახა კოკაია, სანტექნიკოსი: – რა, მიკერებული ვართ ამ რუსეთზე? როდისღა უნდა მოვიშოროთ მაგის უღელი? ისე, ჩვენი პრეზიდენტი ახალგაზრდაა, ცოტა ფიცხია, მაგრამ ამ გადაწყვეტილებაში მაინც სწორია. სირცხვილი ამხელა რუსეთს, რომ ერთი ციცქნა საქართველოს ეპატრონება. უწოდებდნენ ერთხანს ბოროტების იმპერიას და დარჩა ისევ იმ ღონეზე. არა უშავს, მოვიცადოთ ეგ ოთხი წელიც. წავა, აბა, რას იზამს!

ანქელინა კაბარიანი, წიგნების გამყიდველი: – რუსეთს სილა თვით ბუშმა გააწნა, როცა საქართველოში ჩამოსვლა გადაწყვიტა. რუსეთი ამით უკვე მკვდარია, მაგის პოლიტიკა გათელილია. ამიგომ ჩვენი გაბუტვა აღარ ღირს. წავიდეთ მოსკოვში, ჩვენც მივიღოთ მონაწილეობა ზეიმში. პროცენტულად ხალხი ყველაზე მეტი ჩვენ დავკარგეთ. გვეკუთვნის!

მოამზადა
სოსო გიორგოზიანმა.

მიხეილ სააკაშვილის საგანგებო განცხადება

7 მაისს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სახელმწიფო კანცელარიაში გააკეთა საგანგებო განცხადება. ქვეყნის პირველმა პირმა, კერძოდ, აღნიშნა:

– ბოლო თვეებისა და ბოლო კვირების განმავლობაში საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე ჩვენ ვაწარმოებდით ინტენსიურ მოლაპარაკებას საქართველოდან რუსეთის ბაზების გაყვანის თაობაზე. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ ბაზების ყოფნა საქართველოს ტერიტორიაზე არ შეესაბამება არც საქართველოს, არც რუსეთის ინტერესებს. ისინი ხელს არ უწყობენ ჩვენი ურთიერთობის გაუმჯობესებას. ჩვენ გვინდა საკითხის ცივილიზებული გადაწყვეტა. ჩვენ არ ვაპირებთ, რომ რაიმე სახის არალეგიტიმური ზემოქმედება განვახორციელოთ. გვინდა, რომ ცივილიზებულად, ეტაპობრივად, დიალოგისა და მოლაპარაკების გზით, ყველა ადამიანის ინტერესების გათვალისწინებით მოხდეს ამ ბაზების საკითხის გადაწყვეტა საქართველოში.

იხ. მე-2 გვ.

◎ კვირის თვალსაწიერი

ალიყური

დიდი სტუმრის მოლოდინში, ფაციფუცსა და მზადებაში კიდევ ერთი კვირა მიილია.

მოლოდინიც, ფაციფუციც და მზადებაც ფინიშის სწორზე გავიდა და თანდათან, ცოტა არ იყოს, გამაღიზიანებელი სახეც კი მიიღო.

ჩვენს მომავალ დიდ სტუმარს გაუმარჯოს ღმერთმა, მაგრამ ის ზღვარდაუდებელი აყიოგაჟი მიწვავს თვალებს, ოფიციოზს რომ აქვს აგებული „უმაღლეს დონეზე" მის დასახვედრად.

ქვეყანაში ჭკუისსაკითხავი კაცები (ისინიც, თვითონ რომ ჰგონიათ თავი ჭკუის საკითხავებად) ტელეეკრანებიდან ყოველ საღამოს გვახსენებენ, ხომ იცით, რა სტუმარს ველით და ისე უნდა დავხვდეთ, როგორც ქართულ სტუმართმოყვარეობას ეკადრება, აბა ჰე, მთელი ქვეყანა ერთიანად მოვიგლეჯოთ მის შესახვედრადო!

ცალკე, დედაქალაქის მთავარი მაგისტრალებია გადაკეტილი ღებვის, ფხეკის, ასფალტდაკერების გამოისობით.

აქეთ, მომღერლებსა და მოცეკვავეებს აქვთ უწყვეტი რეპეტიციები პრეზიდენტ ბუშის სავარაუდო სალაგეზის ყველა სტრატეგიულ პუნქტში, აქაოდა, ოკეანისგადმელ სტუმარს ჩვენი ქორეოგრაფიითა და „რაშა ორერათიც" განვუმტკიცოთ რწმენა, რომ საქართველოს მიმართ არჩევანში არ შემცდარა, ეს სწორედ ის ქვეყანაა, რომელმაც ევრაზიის გზაშესაყარზე ლმოკრატიის მეწინავეობა იგვირთაო.

ერთი სიტყვით, ბევრი რამ ისეთიც კეთდება, საჭირო რომ არ არის. ქვეყანამ, პოზიცია-ოპოზიციიანად, ისედაც მშვენივრად იცის, ვინ ჩამოდის, რაგომ ჩამოდის და რამდენად დიდი, განსაკუთრებული პატივია მისი ჩამოსვლა, აქედან გამომდინარე ყველა სავარაუდო შედეგით.

არა მარტო ჩვენ ვიცით, ეს კარგად უწყიან მოსკოვშიც, რომელიც ბოდმას ვერ მალავს ვაშინგტონის თბილისისადმი თბილი დამოკიდებულების გამო.

იხ. მე-2 გვ.

◎ მოდიან!

კრწანისის რეზიდენცია ამერიკელ სტუმრებს იღებს

კრწანისის რეზიდენციას ამერიკელი სტუმრები ეწვივნენ. როგორც ინტერპრესს კრწანისის რეზიდენციის ადმასრულებელმა მენეჯერმა შალვა ქოჩლაძემ განუცხადა, აშშ-ის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის 10 მაისის ვიზიტთან დაკავშირებით ამერიკის მთავრობის თხოვნით, რეზიდენციაში სტუმრების მიღება უკვე დაიწყო.

მისივე თქმით, აშკამად თბილისში რამდენიმე ათეული სტუმარი იმყოფება, ხოლო ბუშის ვიზიტის პერიოდში რეზიდენცია 100-ზე მეტ ამერიკელ მოქალაქეს მოემსახურება.

„კრწანისის რეზიდენცია ერთ-ერთი ყველაზე უფრო დაცული ზონაა და ამერიკის მთავრობამ სტუმრების სწორედ აქ დაბინავების თხოვნით მოგვმართა. ჩვენც თხოვნა გავითვალისწინეთ და რეზიდენციაში სტუმრების მიღება დავიწყეთ", - განმარტა ქოჩლაძემ.

მისი თქმით, რეზიდენციაში ევროკავშირის გაკეთდა და ამერიკელ სტუმრებს საკმაოდ მაღალ დონეზე მოემსახურებიან.

საქართველოს ხელისუფლებამ კრწანისის რეზიდენცია გასული წლის ბოლოს გაყიდა და ის კომპანია „ბაზელმა" შეიძინა.

◎ ვიზიტის წინ

რაზე ესაუბრა ჯორჯ ბუში ლატვიელ, ლიტველ, ესტონელ და ქართველ ჟურნალისტებს

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში იწყებს ევროპულ ტურნეს, რომლის ფარგლებშიც იგი ეწვევა ლატვიას, ნიდერლანდს, საქართველოს. 9 მაისს ბუში მოსკოვში მიიღებს მონაწილეობას გამარჯვების დღისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებებში. ტურნეს დაწყების წინ კი, ამერიკის პრეზიდენტი თეთრ სახლში შეხვდა იმ სამი ქვეყნის ჟურნალისტებს, რომლებშიც აპირებს ჩასვლას.

– ხომ შესაძლებელია, რომ 9 მაისს წითელ მოედანზე პარადის დროს, თქვენს გვერდით აღმოჩნდეს ალექსანდრე ლუკაშენკო ან პოლონეთის ყოფილი ლიდერი, გენერალი იარუზელსკი? – ჰკითხეს ჯორჯ ბუშს.

ამის პასუხად ჯორჯ ბუშმა განაცხადა:

– იმედი მაქვს, ამ ადამიანებმა იციან, თუ როგორ ვეკიდები მე ტირანებს და დიქტატორებს. ომის დასრულების წლისთავსაც მე მივიჩნევ, როგორც ტირანიაზე გამარჯვებას. ამავე დროს, ვაღიარებ, რომ ეს პროცესი (იგულისხმება მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი) დასრულდა ბალტიის ქვეყნებში ისეთი მთავრობების ჩამოყალიბებით, რომლებიც მიუღებელი იყო ამ სახელმწიფოთა ხალხებისთვის.

საქართველოში „ვარდების რევოლუციის" შესახებ დასმულ კითხვას, ჯორჯ ბუშმა უპასუხა:

იხ. მე-2 გვ.

◎ ჟურნალისტური გამოძიება

მომაგებინეთ არჩევნები, ნუ მიშლით ხელს და ნახავთ!..

აცხადებს დაუსჯელობით თავგასული ნინოწმინდის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი მელს ბდოიანი, რომელიც „ნოვიე ვასიუკის" მსგავს „დისნეი ლენდის" აშენებას ჰპირდება თანარაიონელებს

ჩვენს მკითხველს ეხსომება, რომ „საქართველოს რესპუბლიკის" 15 აპრილის ნომერში დაიბეჭდა ჟურნალისტური გამოძიების ეროვნული საagენტოს თანამშრომელთა მიერ მომზადებული მასალა „მელს ბდოიანის კარიერა, ანუ ოქროს ლურსმანი", რომელიც დოკუმენტებზე დაყრდნობით ამხელდა იმ უკანონობას, ნინოწმინდის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლად მელს ბდოიანის აშკარად კანონსაწინააღმდეგო დანიშვნა რომ განაპირობა.

სტატიაში იმაზეც იყო საუბარი, რომ ბატონი მელს ბდოიანი არაერთ სისხლის სამართლის საქმეშიც ფიგურირებდა, რომელთა მიჩქმალვას „ვიღაც" ძალიან ოსტატურად ახერხებდა. ამით გათამამებული ბდოიანი დღეს ცდილობს დაარწმუნოს თავისი ოპონენტები აღნიშნულ თანამდებობაზე მისი დანიშვნის სამართლიანობა-კანონიერებასა და საკუთარი მოღვაწეობის დიდ მნიშვნელობაში.

აი, რას ამბობს ამის თაობაზე თავად ბატონი მელსი.

„თქვენს სტატიაში ისეთი არაფერია ნათქვამი, რომ არ დავეთანხმო.

ჩემი დანიშვნა ნინოწმინდის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლად თავის დროზე შეთანხმებული იყო ყოფილი მხარის გუბერნატორთან ნ. ნიკოლოზიშვილთან. ჩემს დანიშვნასთან დაკავშირებით დღემდე არავითარი პრეტენზია არ გამოუხატავს არც ამჟამინდელი მხარის ხელმძღვანელს გ. ხაჩიძეს.

თუმცა, როგორც ვიცი, ჩემი მოხსნის მსურველები პერიოდულად ხვდებიან გუბერნატორს და ითხოვენ ჩემს გადაყენებას. შედეგი, ცხადია, ნულის ტოლია. აი, ასე, ბატონო. ხელისუფლებას სჯერა ჩემი!

მე მდიდარი კაცი ვარ. ჩემი წლიური საბანდური შემოსავალი 80 ათასი ლარია. ვფლობ არა ერთ სახლს ნინოწმინდასა და ერევანში, სახნავი მიწის დიდ ფართობებს ნინოწმინდის რაიონში, ამავე რაიონში ჩემი საკუთრებაა მეცხოველეობის ფერმები და ა.შ.

იხ. მე-3 გვ.

◎ მოშლილი ტელეფონი?

საგარეო საქმეთა სამინისტრომ უარყო ინფორმაცია ლატვიასა და საქართველოში ბუშის ვიზიტის გამო მისი უკმაყოფილების შესახებ

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უარყო ინფორმაცია იმის თაობაზე, თითქოს რუსეთის მხარეს გამოეთქვას უკმაყოფილება იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში აპირებს ჩასვლას ლატვიასა და საქართველოში.

პარასკევს ამერიკულ გაზეთ „ნიუიორკ ტაიმსში" გამოქვეყნდა სტატია, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ სერგეი ლავროვმა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის კონდოლიზა რაისის სახელზე გაგზავნილ წერილში თითქოს გამოთქვა კატეგორიული პროტესტი ლატვიასა და საქართველოში ბუშის მომავალი მოგზაურობის გამო.

„ჯერ ერთი, არანაირი წერილი არ ყოფილა, საქმე ეხება იმას, რომ სერგეი ლავროვი ესაუბრა შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს აშრთა რეგულარული გაზიარების ფარგლებში. და მეორეც, საუბრის დროს, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ შეერთებულ შტატებს აქვს სუვერენული უფლება, დაამყაროს საგარეო კავშირურთიერთობა საკუთარი შეხედულებისამებრ, და მას მხოლოდ სურდა მოეწონა ის კონტექსტი, რომლითაც ხორციელდება ამერიკის პრეზიდენტის ეს მოგზაურობა", – განაცხადა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ალექსანდრე იაკოვენკომ, როცა გაუკეთა კომენტარი ამ პუბლიკაციას. იაკოვენკომ ასევე აღნიშნა: „რადგან ეს მიმართავა „ნიუიორკ ტაიმსმა" ცალმხრივად გააშუქა, და გამოაქვეყნა დამახინჯებული სახით, ჩვენ ვთავაზობთ ამერიკის მხარეს, მოგვცეს მისი გამოქვეყნების თანხმობა".

„დაე, მკითხველმა არა პრესაში გამოქვეყნებული მასალის, არამედ პირველწყაროს საფუძველზე გადაწყვიტოს, თუ რას ეხებოდა საქმე", – ხაზგასმულია რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის განცხადებაში, რომელიც გამოაქვეყნეს რუსეთის საგარეო-პოლიტიკური უწყების ოფიციალურ საიტზე.

რუსმა დიპლომატმა ასევე აღნიშნა, რომ 6 მაისს გამართული საგელეფონო საუბრის დროს, სერგეი ლავროვი ამ პუბლიკაციის თემასაც შეეხო.

„კონდოლიზა რაისმა განაცხადა, რომ ლატვიასა და საქართველოში ჯორჯ ბუშის მოგზაურობის საკითხზე მიმდინარეობდა აბსოლუტურად ნორმალური აზრთა გაზიარება და არაფერი ისეთი არ თქმულა, რასაც ამერიკის მხარე შეურაცხყოფად მიიღებდა", – თქვა იაკოვენკომ.

Русская международная информация
НОВОСТИ

◎ ინტერპანორამა

ჯორჯ ბუშს გადაეცა ლატვიის უმაღლესი ორდენი. ლატვიის პრეზიდენტმა ვაირა ვიკე-ფრეიბერგამ ჯილდოს გადაცემის ცერემონიაზე განაცხადა, რომ „ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბევრი რამ გააკეთა ლატვიისთვის". ბუშმა, თავის მხრივ, შეაქო ლატვია და უწოდა მას „ლამაზი და დემოკრატიული ქვეყანა".

ესტონეთი მზად არის რუსეთთან შერიგებისთვის, განაცხადა ქვეყნის პრეზიდენტმა არნოლდ რიუიტელმა. ესტონეთის პრეზიდენტს მიაჩნია, რომ რუსეთი თავისი გამონათქვამებითა და ქცევით არ იჩენს დიდ სურვილს ესტონეთთან შერიგებისთვის. მაგრამ ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ ყოველივე ამის მიზეზია, უწინარეს ყოვლისა, რუსეთის მიერ განხორციელებული საშინაო პოლიტიკა და არა რაიმე ბოროტი ზრახვები ესტონეთის ან ბალტიის რომელიმე სხვა ქვეყნის მიმართ, აღნიშნა სახელმწიფოს მეთაურმა.

ევგენი ადამოვის ამერიკის შეერთებულ შტატებში ექსტრადიცია, შესაძლოა, რამდენიმე თვით გაჭიანურდეს. შვეიცარიის იუსტიციის ფედერალური სამმართველოს ექსტრადიციის განყოფილების უფროსი ერვინ იენი ვერ ასახელებს რუსეთის ატომური ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის ამერიკის მართლმსაჯულებისთვის გადაცემის საკითხის გადაწყვეტის ზუსტ ვადებს.



ბელორუსიაში გამარჯვების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი ამნისტიის წყალობით საპყრობილეებიდან გაათავისუფლებენ 8500-ზე მეტ პატიმარს. ამნისტია ეხებათ დიდი სამამულო ომის, უცხოთის სახელმწიფოების ტერიტორიებზე საომარი მოქმედებების ვეტერანებს, პირებს, რომლებიც დასახიჩრდნენ სამხედრო სამსახურის პერიოდში, ჩერნობილის კატასტროფის შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეებს, არასრულწლოვანებს, მარგოხელა და ორსულ ქალებს და პენსიონერებს.

№ 108. კვირა, 8 მაისი, 2005 წელი.

◎ პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილის საგანგებო განცხადება

(პირველი გვერდიდან)

ამავე დროს ამ მოლაპარაკების პარალელურად ჩვენ რუსეთთან ვსაუბრობთ ანტიტერორისტული საქმიანობის გაღრმავების კოორდინაციისა და ერთმანეთთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობის თაობაზე ამ სფეროში.

ბოლო ხანს მოლაპარაკება ინტენსიურად გრძელდებოდა. დღეს გვიხდება იმის კონსტატირება, რომ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით საბოლოო შეთანხმება მიღწეული არ არის.

დღეს ჩვენ გვქონდა ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელზეც განვიხილეთ ეს საკითხი და მიგვაჩნია, რომ რუსეთის სამხედრო კონტინგენტების ყოფნა აფხაზეთში და საქართველოს სხვა კუთხეებში ამ სიტუაციაში ყოფილი საბჭოთა მემკვიდრეობის ერთ-ერთი ბოლო გადმონაშთია.

იმედს გამოვთქვამთ, რომ უახლოეს პერიოდში მოხერხდება ამ საკითხის ცივილიზებული, დიპლომატიური გადაწყვეტილების მოძებნა.

ამ სიტუაციაში, როცა გვაქვს ჩვენი მემკვიდრეობის ასეთი გადაუწყვეტი საკითხები, ძალიან რთულია საუბარი 9 მაისს მოსკოვში ჩემს ჩასვლაზე. ამავე დროს, ჩვენ ვულოცავთ ყველას, ყველა ყოფილი საბჭოთა კავშირისა და ევროპის ხალხებს ფაშიზმზე გამარჯვების 60 წლისთავს. ჩვენ აღვნიშნავთ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების 60 წლისთავს. ასევე ვულოცავთ რუს ხალხს და გამოვთქვამთ გულწრფელ რწმენას, რომ ჩვენი ურთიერთობა აუცილებლად უნდა გაუმჯობესდეს.

ამის შესახებ მე დღეს მქონდა საუბარი რუსეთის პრეზიდენტთან და იგი გაგებით შეხვდა ჩემს პოზიციას.

◎ ვიზიტის წინ

რაზე ესაუბრა ჯორჯ ბუში ლატვიელ, ლიტველ, ესტონელ და ქართველ ჟურნალისტებს

(პირველი გვერდიდან)

– „ვარდების რევოლუციის“ გამარჯვების შემდეგ, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო გაიზარდა ამერიკელთა ინტერესი საქართველოს მიმართ. აღსანიშნავია, რომ ამ მოძრაობამ გამოიწვია სხვა რევოლუციებიც – კერძოდ, „ნარინჯისფერი რევოლუცია“ უკრაინაში. ადამიანების სურვილი იყვნენ თავისუფალნი, საყოველთაოა და ხშირად დემოკრატიის დამყარებისთვის გამიზნული მშვიდობიანი მოქმედება აღძრავს უდიდეს საყოველთაო ინტერესს, რომელიც ტყის ხანძარივით ვრცელდება“.

– რას იგყოდით რუსეთის და ბალტიის ქვეყნების ურთიერთობის შესახებ?

– ამ თემაზე უკვე ვიმსჯელე ვლადიმერ პუტინთან ერთად. და ახლა კვლავ აღვნიშნავ, რომ დემოკრატიული სახელმწიფოების არსებობა რუსეთის საზღვრებზე ის პოზიტიური მოვლენაა, რომელსაც უნდა მივესალმოთ.

უპასუხა რა ჟურნალისტთა კითხვებს საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების შესახებ, აგრეთვე, იმის თაობაზე, შესაძლებელია თუ არა, რომ ამერიკამ მოახდინოს გავლენა რუსეთის პოზიციაზე, რომელიც მხარს უჭერს საქართველოში სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სეპარატისტულ რეგიონებს, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა აღნიშნა:

– როგორც მესმის, რუსეთის მთავრობამ უკვე გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ იგი გამოიყვანს სამხედრო ბაზებს საქართველოს ტერიტორიიდან. და, რა თქმა უნდა, ეს ის საკითხია, რომელიც საქართველომ და რუსეთმა უნდა გადაწყვიტონ. რაც შეეხება ტერიტორიულ პრობლემებს, რუსეთის მთავრობა, საბედნიეროდ, მათ მოგვარებას შესაძლებლად მიიჩნევს მშვიდობიანი გზით, იგი მხარს უჭერს მოლაპარაკების პროცესს იმ ლიდერებთან, რომლებიც აკონტროლებენ ქვეყნის ამა თუ იმ ნაწილს.

რუსეთი, საერთაშორისო კვარტეტის წევრი, ასრულებს მნიშვნელოვან როლს, ხელს უწყობს მშვიდობის დამყარებას ახლო აღმოსავლეთში. ვლადიმერ პუტინმა, შესაძლოა მოისურვოს ჩემგან იმის მოსმენა, თუ რა ხდება ამჟამად ერაყში. მე მას გავაცნობ, თუ როგორ მესახება ამ ქვეყანაში შემდგომი პროცესების განვითარება. და, რა თქმა უნდა, ჩვენ განვიხილავთ ჩრდილოეთ კორეის პრობლემას, რადგან რუსეთი და ამერიკის შეერთებული შტატები არიან ექვსმხრივი მოლაპარაკების მონაწილეები უშიშროების, – თქვა დასასრულ ბუშმა.

თეთრ სახლში ჟურნალისტთა კითხვებს უპასუხა ასევე პრეზიდენტის მრჩეველმა ეროვნული უშიშროების საკითხებში სტივენ ჰედლიმ. თითქმის ყოველი კითხვა ასევე ეხებოდა რუსეთის პრეზიდენტის მიერ განხორციელებულ პოლიტიკას.

კერძოდ, ჰედლის მიაჩნია, რომ კარგი იქნებოდა, თუ რუსეთი დგომობდა მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტს. „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთმა პალატამ 1989 წელს დაგმო ეს პაქტი, – თქვა მან. – სასურველი იქნებოდა, რომ იგივე გაეკეთებინა ახლა რუსეთსაც, სსრ კავშირის სამართალმემკვიდრე ქვეყანას“.

ჰედლის დაუსვეს ასეთი კითხვა: „თუ შეეცდება პრეზიდენტი პუტინი მოსკოვში პუტინზე ზემოქმედების მოხდენას რუსეთში დემოკრატიასთან დაკავშირებულ საკითხებში, როგორც ეს მან გააკეთა ბრატისლავაში?“ „ეს საინტერესო კითხვაა, – აღნიშნა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მრჩეველმა. – საინტერესოა, კერძოდ, იმით, რომ პუტინმა თავის ამ ცოტა ხნის წინანდელ სიტყვაში (იგულისხმება ფედერალური კრების სახელზე გაგზავნილი წერილი) დიდი ყურადღება დაუთმო დემოკრატიას. დემოკრატიის თემა მუდამ ფიგურირებდა ამ ბოლო თვეების განმავლობაში ორი ლიდერის საუბრების დროს, და დარწმუნებული ვარ, იგი კვლავაც იქნება განსჯის საგანი“. ამავე დროს, ეროვნული უშიშროების საკითხებში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მრჩეველმა აღიარა, რომ ჯორჯ ბუშის ვიზიტი მოსკოვში ხანმოკლე იქნება და ორი ქვეყნის პრეზიდენტებს არ ეყოფათ დრო იმისთვის, რომ განიხილონ მათ წინაშე წამოჭრილი ყველა პრობლემა.

(იბეჭდება შემოკლებით).
„იმვესტია“, 6 მაისი.

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

◎ კვირის თვალსაწიერი

ალიყური

(პირველი გვერდიდან)

რუსული პრესა ენამწარობს და გესლს ანთხევს. გვიკბინეს: თბილისი ისევე პომპეზურად ემზადება ამერიკის პრეზიდენტის დასახვედრად, როგორც 1981 წელს „გენსეკ“ ბრეჟნევს დახვდაო.

კი, ნამდვილად პომპეზურად დახვდა საბჭოთა საქართველო „ჩვენს ძვირფას ლეონიდ ილიჩს“ – საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს (ისე, ზომა არასდროს არაფერში ვიცოდით და არც ახლა ვიცით – სტუმრის დახვედრაა, ქებაა თუ გინებაა).

მაგრამ არანაირი მსგავსება ამ ორ მოვლენას შორის არ შეიძლება იყოს.

მაშინ „იმპერატორმა“ იმპერიის განაპირა მხარე „გააბედნიერა“, ახე ვთქვათ, „შემოვლითი“ ვიზიტით.

ამჟამად კი საქართველოში მსოფლიოს უძლიერესი სუპერსახელმწიფოს პრეზიდენტი ჩამოდის, რათა თავისი პატივისცემა დაადასტუროს ჩვენი ქვეყნის მიმართ, რომელიც რეგიონში ღემოკრატიის ერთ-ერთ ბურჯად ეგულება, რა თქმა უნდა, ისიც ანგარიშგასაწევია (თუ მთლად მთავარი არა), რომ ვაშინგტონს თავისი არსებითი ინტერესები აქვს სამხრეთ კავკასიაში, რომლის „გასაღებიც“ (გაცვეთილი მეტაფორა რომ მოვიშველიოთ) საქართველოა.

ამერიკაში არც მალავენ, რომ საქართველო მათთვის სტრატეგიული მნიშვნელობის ქვეყანაა. და ახლა, როცა ამ ორ ქვეყანას შორის პარტნიორული დამოკიდებულება და თანამშრომლობა ერთობ გამყარდა, პრეზიდენტმა ბუშმა საჭიროდ ჩათვალა საქართველოში ჩამოსვლა და ამ ქვეყნის მიმართ დაინტერესების ხაზგასმა, რაც თავისთავად იმასაც მიუთითებს, რომ აშშ-ს სურს ასეთი ურთიერთობა მომავალშიც გააგრძელოს.

როგორც კი თეთრმა სახლმა გამოაცხადა, პრეზიდენტმა ბუშმა მოსკოვში თავისი მგზავრობის გეგმა გაფფრთოვა, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში – ლატვიასა და საქართველოშიც შეიესის იქ დემოკრატიის მხარდაჭერის ნიშნადო, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა, მასმედიის მტკიცებით, მოულოდნელი და ყოვლად წარმოუდგენელი ნაბიჯი გადადგა: აშშ-ის სახელმწიფო მდივანს კონდოლიზა რაისს გაუგზავნა საპროტესტო წერილი-დემარში აშშ პრეზიდენტის ამ მარშრუტის წინააღმდეგ.

კონდილიზა რაისმა, რომელიც სუსტი ნერვებით არ გამოირჩევა, უმალ შეაგებაო, ამერიკის პრეზიდენტს შეუძლია მოინახულოს ნებისმიერი ქვეყანა, რომელსაც კი მოისურვებსო.

ანუ, არადიპლომატიურ ენაზე რომ „მოვთარგმნოთ“, რა თქვენი საქმეა პრეზიდენტი სად და ვისთან წავაო.

ამერიკელ ექსპერტთა ანალიზმა მაინც განსაზღვრეს თეთრი სახლის პაგრონის ამკამინდელი ტურნეს საერთო ტონი. პრეზიდენტ ბუშს კარგი ეკვილიბრისტივით მოუწევს წონასწორობის დაცვა: მოსკოვში, ფოთელ მოედანზე, ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 60 წლისთავის ზეიმზე ყოფნისას აღმოსავლეთ ევროპის საბჭოთა ოკუპაციის უკულმართ შედეგებზეც უნდა იფიქროს.

ვითარება იმანაც დაძაბა, რომ ევროპაში პრეზიდენტის გამიმგზავრების წინ ამერიკის აღმინისტრაციის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, ბაგონ ბუშის ლატვიასა და საქართველოში შეჩერება სპეციალურად არის დაგეგმილი, იმის მისანიშნებლად, რომ მას არ მოსწონს რუსეთის რეპრესიული პოლიტიკა ამ ქვეყნების მიმართ, როგორც ომის შემდეგ, ისე ამჟამადაც.

თავის მხრივ, არც მოსკოვი მალავს უკმაყოფილებას – ბაგონ ბუშის ამ ტურნეს რუსეთის მოსაზღვრე ქვეყნებში ამერიკის გავლენის გაფართოებად მიიჩნევს.

რუსი პოლიტოლოგები უფრო მკვეთრ გამოთქმებს ხმარობენ. მაგალითად, მოსკოვის კელეკეთი ორგანიზაციის, ფონდ „პოლიტიკის“ პრეზიდენტი ვიაჩესლავ ნიკონოვი მიიჩნევს, ბუშის ლატვიასა და საქართველოში ვიზიტი რუსეთისთვის გაწნული ალიყურიაო. ამ მგზავრობის პროგრამა იმას ჰგავს, პუნინი ვაშინგტონში ჰავანასა და ჩრდილოეთ კორეაში ვიზიტებს შორის რომ ჩავიდესო.

ასეთ ვითარებაში კრემლის ბაგონპატრონები თუ ბოღმამ არ დაახრჩო, ეს იმის გამო მოხდა, რომ ერთგვარად დამამშვიდებელი ცნობა მიიღეს ტამკენტიდან: უზბეკეთმა ოფიციალურად გამოაცხადა სუუამის ორგანიზაციიდან გასვლა. პრეზიდენტ ისლამ კარიმოვის თქმით, უზბეკეთი გავიდა „ამ ორგანიზაციის თავდაპირველი მიზნებისა და ამოცანების არსებით შეცვლასთან დაკავშირებით“, ანუ იმის გამო, რომ ამ ორგანიზაციას თურმე „პოლიტიკური ხასიათი მიეცა“.

ამრიგად, სუუამში, ერთი „უ“-ს გამოვარდნის შემდეგ, რჩებიან საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი და მოლდოვა.

ცნობისათვის: სუუამი 1990 წლის ბოლოს შეიქმნა, უზბეკეთი მას 1999 წელს შეუერთდა.

ეს გამოკლება საერთოდ ხომ არ დაანგრევს ამ ორგანიზაციას?

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეუტატი, რეაქციულობითა და ანგიქართული სულისკვეთებით ცნობილი კონსტანტინე ზატულინი მიიჩნევს, რომ სუუამს დარჩა სულისჩამდგმელნი და სპონსორები. უპირველეს ყოვლისა – აშშ, „ამიგომ უზბეკეთის გასვლა, **სამწუხაროდ** (?!) ხელს არ შეუწყობს მის დაშლას, საქართველო და უკრაინა ამ ორგანიზაციაში თავისი ნებით დარჩებიან, მოლდოვა კი – გამოუვალი მდგომარეობის გამოო“.

იმის გამო, რომ სუუამი, პოსტსაბჭოთა სივრცეში დსთ-ს ერთგვარი ალტერნატივა, „სამწუხაროდ“ არ დაიშლება, მოსკოვმა ბაზების გაყვანის თითქმის შეთანხმებული საკითხზე ისევ კვლის ღეჭვა დაიწყო და კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მისი ნდობა ერთ ნაბიჯზე არ შეიძლება. ჰოდა, საქართველოს პრეზიდენტის უკვე გადაწყვეტილი ჩასვლა მოსკოვში, ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 60 წლისთავზე, ჩაიშალა – მიხეილ სააკაშვილმა, როგორც წინდაწინვე ჰქონდა ნათქვამი – თუ ბაზების საკითხი არ გაირკვა, მოსკოვში არ ჩავალო – უარი განაცხადა ზეიმში მონაწილეობაზე.

ისე, სწორედაც რომ საწყენია: გამარჯვების ზეიმზე არ იქნება იმ ქვეყნის ლიდერი, რომელმაც 300 ათასი ჯარისკაცის სიცოცხლე გაიღო ამ გამარჯვების მოსაპოვებლად.

ამდენად, წინ დიდი სტუმრობა გვაქვს.

ოღონდ, როგორც ზევითაც გავბედე მინიშნება, პრეზიდენტ ბუშის ჩამოსვლა საქართველოს ისტორიაში ახალი ერის დასაწყისად არ უნდა აღვიქვათ.

რა თქმა უნდა, როცა ასეთი სუპერსახელმწიფოს ხელმძღვანელი ჩვენისთანა პაგარა და ღარიბ ქვეყანაში ჩადის, ჩადის მომშადებული, გადასაწყვეტად მომწიფებულ გარკვეულ სერიოზულ საკითხებზე სალაპარაკოდ. ჩვენთვის ასეთებია რუსეთის ბაზები, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ნაგოსთან დაკავშირებული საკითხი და ასე შემდეგ.

ქვეყანა მოელის, რომ ამ ვიზიტის დროს ბევრი ეს საკითხი დასრულდება ან სერიოზული გაგრძელება მიეცემა...

ვნახოთ! ღმერთმა არ ქნას, რომ ხელთ მხოლოდ ზეიმი შეგვრჩეს, პრობლემები კი კვლავ პრობლემებად დაგვრჩეს.

ზეიმი საქართველოში 6 მაისიდან დაიწყო, როცა აჭარის რევოლუციის წლისთავი აღინიშნა.

ზეიმს რა სჯობს, ოღონდ რაღაც ძალიან ბევრი ლხინი არ გამოგვიხდეს ამ ქამიანობის ჟამს!..

ალეკო ასლანიშვილი.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ანდრეი კოკოშინი: საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გამოტანა უდიდესი შეცდომაა

კავკასიის რეგიონში სტაბილურობისა და უშიშროების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გამოტანა უდიდესი შეცდომაა. ეს განაცხადა პარასკევს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საქმეებისა და თანამემამულეებთან კავშირურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარემ ანდრეი კოკოშინმა.

„საქართველოს ხელმძღვანელობის ძალისხმევა, რომელსაც სურს აღკვეთოს რუსეთის სამხედრო ყოფნა თავის ტერიტორიაზე და დასავლეთის მხრიდან ამ პროცესის ხელშეწყობა, სულ ცოტა დიდი შეცდომაა ამ რეგიონში სტაბილურობისა და უშიშროების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, რაც შეესაბამება მთელი საერთაშორისო გაერთიანების ინტერესებს“, – თქვა მან. როგორც პარლამენტარმა აღნიშნა, რუსეთის სამხედრო ბაზები ამ რეგიონში მუდამ ასრულებდნენ და ახლაც ასრულებენ ძალზე მნიშვნელოვან მაღესტაბილიზირებელ როლს. კოკოშინის აზრით, „ძალზე საეჭვოა, რომ უახლოესი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ასეთი როლის შესრულება შეძლოს თვით საქართველომ, ქვეყანამ, რომელიც რთულია ეკონომიკური მდგომარეობაა და არსებობს უამრავი პოლიტიკური, სოციალური თუ ეთნიკური ხასიათის პრობლემა“.

ანდრეი კოკოშინმა განაცხადა, რომ რუსეთის სამხედრო ყოფნის ლიკვიდაცია საქართველოში, ალბათ, ვერ შეუწყობს ხელს საერთაშორისო ენერგეტიკული უშიშროების უზრუნველყოფას, მთა შორის, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის საიმედო ფუნქციონირებასაც, რომელზეც ძალზე დიდ იმედებს ამყარებენ შეერთებული შტატები და დასავლეთის ქვეყნები.

„რია „ნოვოსტის“ საინფორმაციო სააგენტო.

МИРОВОЕ INFORMATIONNOЕ АГЕНТСТВО
НОВОСТИ

◎ რუსული პრესიდან

ვლადიმერ პუტინი: ვერ დავეთანხმები იმათ, ვინც სტალინს ჰიტლერს ადარებს

გერმანულმა გაზეთმა „ბილდმა“ 6 მაისის ნომერში გამოაქვეყნა ვლადიმერ პუგინის და გერჰარდ შრედერის ერთობლივი ინტერვიუ. გთავაზობთ რუსეთის პრეზიდენტის ზოგიერთ გამონათქვამს...

„ვერ დავეთანხმები იმათ, ვინც სტალინს ჰიტლერს ადარებს. სტალინი, რა თქმა უნდა, იყო გირანი, მრავალი ადამიანი მას დამნაშავესაც უწოლებს, მაგრამ იგი ხომ არ ყოფილა ნაცისტი! თანაც, არც საბჭოთა ჯარები გადაუკვეთავთ 1941 წლის 22 ივნისს გერმანიის საზღვარი, ყველაფერი პირიქით მოხდა“.

„სტალინი და მისი ეპოქა არის ჩემი ქვეყნის რთული, ზოგჯერ წინააღმდეგობით აღსავსე ისტორიის განუყოფელი ნაწილი, ეს ისტორია უნდა ვიცოდეთ და გვახსოვდეს მისი გაკვეთილები. ერთი ასეთი გაკვეთილი აშკარაა: დიქტატურა, თავისუფლების დათრგუნვა არის ის გზა, რომელსაც სახელმწიფო და საზოგადოება მიაყავს ჩიხისკენ. უკონტროლობა, პირადი ხელისუფლების რეჟიმი უთუოდ გაუხსნის ხელ-ფეხს დამნაშავეობას“.

„ჩემთვის მეორე მსოფლიო ომის ნამდვილი გმირია ყველა ის, ვინც ებრძოდა ნაცისტურ რეჟიმს. ესენი არიან წითელი არმიის, ანტიჰიტლერული კოალიციის წევრი-ქვეყნების ჯარების მეომრები. ესენი არიან სამხედრო ტყვეები და საკონცენტრაციო ბანაკების პატიმრები. აღამიანები, რომლებიც მუხლჩაუხრელად შრომობდნენ ზურგში. და ბოლოს, ესენი არიან ანგიფაშისტები, სხვადასხვა პოლიტიკური მრწამსის მქონე ჟერმანელები, რომლებიც ებრძოდნენ ჰიტლერის გირანიას. ისინი, ჟერმანიის პატრიოტები, იბრძოდნენ ჰიტლერის რეჟიმის წინააღმდეგ, ჟერმანელი ხალხის ღირსების დასაცავად“.

...რაც შეეხება ბალტიისპირეთს... აი, რა განაცხადა ვლადიმერ პუგინმა 2005 წლის 5 მაისს გერმანიის „არდ“ და „ცდფ“ ტელეარხებისთვის მიცემულ ინტერვიუში:

„მეორე მსოფლიო ომის შედეგებს განსაკუთრებით მწვავედ აღიქვამენ ბალტიისპირეთის სახელმწიფოები... კარგად მესმის, თუ რას გრძნობენ ბალტიის ქვეყნების ხალხები, მაგრამ მაინც, ვერ დავეთანხმები იმას, რომ რუსი მოსახლეობა, რომელიც იქ მოხვდა არა თავისი ნებით, არამედ ბედის უკუღმართობით, არ სარგებლობდეს იმ სრული უფლებებით, რომლებიც ენიჭება ევროპის კონგინენტზე მცხოვრებ ყველა ადამიანს. ისინი არ უნდა გრძნობდნენ თავს მეორეხარისხოვან ადამიანებად. დაუშვებელია, რომ, ვთქვათ, ლატვიაში მცხოვრებ 450 ათას რუსულენოვან მოქალაქეს ჰქონდეს რაღაც კვაზიდოკუმენტები, რომელთა გრაფაში „მოქალაქეობა“ ჩაწერილია „არამოქალაქე“, ზოგიერთ საბუთში კი ისინი „უცხოებად“ არიან გაგარებული. როგორ შეიძლება ყოველივე ეს შევუთავსოთ ჰუმანიგარული სამართლის თანამედროვე სტანდარტებს?“

„ჩვენ შევთავაზეთ ბალტიისპირეთის სახელმწიფოთა ხელმძღვანელებს, ჩამოსულიყვნენ მოსკოვში, ჩვენ ყველას ვთავაზობთ საზღვრის შესახებ შეთანხმების დადებას. ჩვენ მზად ვართ ნებისმიერ საკითხში ნებისმიერი თანამშრომლობისთვის...“

„კომსომოლსკაია პრავდა“, 7 მაისი.

КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА

◎ სიმპოზიუმი

რა ელის შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკას

ბუმინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეციისტიკის ინსტიტუტის საექთო დარბაზში მუშაობას შეუდგა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის | საერთაშორისო სიმპოზიუმი.

სიმპოზიუმი გახსნა და შესავალი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა **თამაზ გამყრელიძემ.** მან დამსწრეთ გააცნო ქვეყნის პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მისასალმებელი წერილი. გთავაზობთ ამონარიდს: ***„მსურს აღვნიშნო, რომ საერთაშორისო სივრცეში შავი ზღვის რეგიონი სრულიად ახალ მნიშვნელობას იძენს და გეოსტრატეგიული მდებარეობით მსოფლიოს განსაკუთრებული ყურადღების ობიექტი ხდება. ყოველივე ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კი ისაა, რომ ბოლო პერიოდის განმავლობაში რეგიონში ძირეული პოლიტიკური ცვლილებები განხორციელდა“.***

მისასალმებაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ საქართველოს ვარდებისა და უკრაინის ნავრდოვანმა რევოლუციებმა, შემდეგ კი, სხვადასხვა სფეროში წარმატებულმა რეფორმებმა, რომელიც ახალი მთავრობების დიდი ძალისხმევის შედეგად განხორციელდა, შავი ზღვის აუზის მთელ სივრცეში ურთიერთთანამშრომლობის ახალ პერსპექტივებს დაუდეს დასაბამი. შავი ზღვა, როგორც მხოლოდ რეგიონალური აუზი, აღარ უნდა განიხილებოდეს – ის „მსოფლიო ოკეანის“ განუყოფელ და მნიშვნელოვან ნაწილად, მთლიანად ევროპულ ზღვად უნდა იქცეს.

ფორუმის მონაწილეებს მისალმება გამოუგზავნა თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა: ***„მინდა ულრმესი მადლობა მოგახსენოთ „შავი ზღვის რეგიონის ეკონომიკური თანამშრომლობის | საერთაშორისო სიმპოზიუმზე“ მოწვევისათვის, რომელსაც სამწუხაროდ, ვერ ვესწრები გადადგეირთული სამუშაო პროგრამის გამო. წარმატებას ვუსურვებ სიმპოზიუმის ყველა მონაწილეს“.***

სიმპოზიუმს ესწრებოდა და სიტყვით გამოვიდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **ნინო ბურჯანაძე.** მან განაცხადა: ***„ჩვენ გვაქვს ძალიან თბილი და კეთილმეზობლური ურთიერთობა თურქეთთან, ასევე უარაინასთან, ახლა კიდევ უფრო ღრმავდება სერიოზული და თბილი ურთიერთობა მოლდოვასთან, რუმინეთთან, ბულგარეთთან და ვიტოვებ იმედს, რომ ჩვენ შეეძლებთ გვქონდეს ნორმალური და თანამშრომლობის საფუძველზე აგებული ურთიერთობა ჩვენს ჩრდილოელ მეზობელთან რუსეთთან“.***

სიტყვებით გამოვიდნენ რუმინეთის ელჩი საქართველოში **კონსტანტინ გირბეა,** შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **მესუდ ბოზქირი,** ამავე უნივერსიტეტის რექტორი **მუსტაფა აქდაღი,** უკრაინის, მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი **ანგონ ნაუმოვეიჩი,** საქართველოში თურქეთის საელჩოს წარმომადგენელი **ონჯა ცუერი,** რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ევროპული კვლევების სამხრეთის ცენტრის დირექტორი, საერთაშორისო პროგრამების კოორდინატორი **იური ჩეპურკო** და მოლდოვის მეცნიერებათა აკადემიის სწავლული მდივანი **გიორგ ციბირნე.**

სიტყვით გამოსულ სტუმრებს სამახსოვრო პლაკატები გადასცა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პრორექტორმა, საერთაშორისო ორგანიზაცია „დიალოგი ევრაზიასთან“ (თურქეთი) გამგეობის წევრმა **გიული ალასანიამ.**

სიმპოზიუმის ორგანიზატორები არიან საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი. მოისმინეს 36 მოხსენება, რომელთაგან 20 მოხსენებით სტუმრები წარსდგნენ.

ინტერვიუ ვთხოვეთ სიმპოზიუმის რამდენიმე მონაწილეს:

თამაზ გამყრელიძე, **საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი:** – სიმპოზიუმზე საკითხი იდგა შავი ზღვის აუზის ქვეყნების თანამშრომლობის შესახებ სხვადასხვა სფეროში. კერძოდ, იყო ეს ეკონომიკური სფერო, პოლიტიკური, სამეცნიერო და კულტურული.

შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკურ თანამშრომლობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ჩვენი ქვეყნისათვის, არა მარტო იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც აქ არიან წარმოდგენილი, არამედ მთელი რეგიონისთვის და უფრო ფართო მასშტაბითაც ძალზე მნიშვნელოვანია ამ თანამშრომლობის განვითარება.

მესუდ ბოზქირი, **შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე:** – იმ გარემოში, სადაც აქტიურად მიმდინარეობს გლობალიზაციის პროცესი, უნდა მოიძებნოს შესაბამისი გზები და მიეცეს პრაქტიკულად განხორციელების საშუალება, რაც საბოლოოდ აღმოფხვრის ადამიანთა შორის ხელოვნურად შექმნილ დაბრკოლებებს. ამგვარად, ადამიანები დაახლოებას და საერთო ენის გამონახვას უფრო უკეთ შეძლებენ, რომ მომავალში პრობლემათა გადაჭრის შედარებით ეფექტიანი გზები გამონახონ.

ყველა ქვეყანა უნდა შეეცადოს, რომ მეგობრობის ხიდი გადოს და მშვიდ იყოს ორმხრივი ინვესტიციების დაბანდებისა და სავაჭრო ურთიერთობების განვითარებისათვის. მხოლოდ ამ გზით გახდება შესაძლებელი სხვა ეროვნებისა თუ რელიგიის წარმომადგენელთა ცხოვრებისეულ და მსოფლმხედველობრივ არსში ჩაწვდომა.

ვისურვებდი, რომ დღევანდელმა სიმპოზიუმმა მთელი კაცობრიობისათვის ურთიერდიალოგის ნიადაგი შეამზადოს.

ანტონ ნაუმოვეიჩი, **უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი:** – მოხარული ვარ, რომ საქართველოში ვიმყოფები, ჩემი აზრით, თანამედროვე პირობებში ნებისმიერი თანამშრომლობა აუცილებელია, მით უფრო ისეთი თანამშრომლობა, რომელიც აერთიანებს ისეთი დიდი რეგიონის ქვეყნებს, როგორიც შავი ზღვის აუზის ქვეყნებია.

უკრაინის მეცნიერებათა აკადემია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ამ თანამშრომლობას. აქ მე კონკრეტულ საკითხებსა და კონკრეტულ შედეგებზე ვისაუბრე. ჩემი აზრით, დღეს ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ დეკლარაციებიდან (რაც აღრე საკმაოდ მრავლად გახლდათ), კონკრეტულ საქმეებზე გადავიდეთ. სიმპოზიუმმა საამისო იმპულსი ნამდვილად მოგვცა. საქართველოს დიდ წარმატებებს ვუსურვებ აღმშენებლობასა და გაძლიერებაში.

* * *

სიმპოზიუმმა გუშინ მუშაობა დასასრულა. გამოიკვეთა მომავალი თანამშრომლობის გზები და პერსპექტივები. მისმა მონაწილეებმა სურვილი გამოთქვეს, რომ ასეთ შეხვედრებს ტრადიციული სახე მიეცეს.

გელა დურგლიშვილი.

◎ ეს ერთი კვირა

– რით გამოარჩევდით დროის ამ მონაკვეთს ქვეყნისთვის და პირადად თქვენთვის?

შეკითხვას უპასუხებს მსახიობი ნინო ბურდული.

ქვეყნისთვის – ისე სწრაფად ემიჯნება ერთმანეთს კარგი და ცუდი, რომ მოვლენების აღქმას ვეღარც ვასწრებ... გასული კვირა, ვფიქრობ ძალიან მძიმე იყო – საქართველოს ზოგიერთი რეგიონის სოფლების უმრავლესობა წყალდიდობამ თითქმის წალეკა. უსახლკაროდ, ღიაცის ქვეშ დარჩენილი ხალხი შვევლას ითხოვს. ვიმედოვნებ, რომ ჩვენი მთავრობა ყველანაირად ეცდება დახმარების ხელი გაუწოდოს დაზარალებულ ადამიანებს, თავდაპირველად ელემენტარული პირობები მაინც შეუქმნას.

ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ვიზიტი ჩვენს ქვეყანაში. თუმცა, არ მომწონს ასეთი ეიფორიული მზადება მის დასახვედრად, სასურველი სტუმრისადმი უდიდესი პატივისცემის გამოხატვა უფრო სადა, მოკრძალებული ფორმითაც შეიძლება...

ჩემთვის პირადად – გასულ კვირას, შეიძლება ითქვას, ამოვისუნთქე, – მედმეტად დატვირთული დღეების შემდეგ დასვენება მომიწია, სპექტაკლები, რომლებშიც ვმონაწილეობ, დროის ამ მონაკვეთში, არ შემდგარა, აგრეთვე, დავასრულე მუშაობა ტელეგადაცემაზე „სუსტი რგოლი“, მისი ხელახალი ჩაწერა მაფხულის ბოლოს დაიწყება.

ლელა დონაძე.

№ 108. კვირა, 8 მაისი, 2005 წელი.

◎ აქტუალური თემა

სამხრეთკავკასიურ პოლიტიკაში საქართველოს როლი უმნიშვნელოვანესია

საპარლამენტო ოპოზიცია ვარაუდობს, ხელისუფლებამ იმრუნა, რათა ჯორჯ ბუში საქართველოს ოპოზიციურ პარტიებს არ შეხვდესო. რესპუბლიკელებისგან განსხვავებით, ბუშთან შეხვედრა მემარჯვენეებს და კონსერვატორებს სურდათ. თუმცა, ჯერ ბოლომდე არ არის გარკვეული, შესაძლოა კობა დავითაშვილი ოპოზიციური საბჭოს სახელით ამერიკის პრეზიდენტს შეხვდეს კიდეც. რესპუბლიკელები კი ფიქრობენ, რომ ხუთწუთიანი შეხვედრისთვის „ჩალიჩი“ არ ღირს.

როგორც ცნობილია, პარლამენტში აშშ-ის პრეზიდენტის შეხვედრა პარლამენტის თავმჯდომარესთან, ფრაქციებისა და კომიტეტების თავმჯდომარეებთან შედგება. მემარჯვენეების ლიდერი დავით გამყრელიძე ბუშს მხოლოდ ამ ფორმატში ნახავს. მემარჯვენეების აზრით, ამ შეხვედრაზე გამყრელიძეს ორი წინადადების თქმის საშუალებას არ მისცემენ. ლეიბორისტები კი, მოგეხსენებათ, 10 მაისს მშვიდობიანი მანიფესტაციის გამართვას აპირებენ, თუმცა, ბუშს მიტინგებით ვერ გააოცებ. ანტიგლობალისტები მასობრივ აქციებს ხშირად აწყობენ. შეიძლება ითქვას, ლეიბორისტები ამ შემთხვევაში თავიანთი მიტინგით, წყალს ხელისუფლების წისქვილზე დასხამენ. იმიგომ, რომ ქვეყანაში დემოკრატიის მშენებლობას შალვა ნათელაშვილი სულაც თავისი მიტინგით დაადასტურებს. ვიზიების ფარგლებში დაგეგმილია, საპარლამენტო და არასაპარლამენტო პარტიების კავკასიის საკითხებში ბუშის მრჩეველი შეხვდეს.

რესპუბლიკელთა აზრით, თავისთავად ბუშის ჩამოსვლა აღასტურებს, რომ საქართველო მოსკოვის გავლენის სივრცის შემადგენელ ნაწილად აღარ განიხილება.

დავით ბერძენიშვილი, „რესპუბლიკური“ პარტიის ლიდერი: „ბუშის ვიზიტი იმის დასტურია, რომ ამ მხრივ გეოპოლიტიკური ვითარება თვისობრივად ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ არის შეცვლილი. ამასთანავე, იქ, სადაც მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი თანამდებობის პირი ჩადის, ბუნებრივია, რომ ყურადღება იმ ქვეყნის დემოკრატიზაციის ხარისხსაც მიექცევა. ამიგომ მე არ ვიტყოდი, რომ ეს არის მხოლოდ პრეზიდენტ საკაშვილისთვის სასარგებლო ჩამოსვლა, ამით მთელი ქვეყანა – როგორც ხელისუფლება, ისე ოპოზიციაც მოიგებს“.

პარლამენტარების აზრით, ბუშის ვიზიტი ნიშნავს, რომ ამერიკის მომავალ სამხრეთკავკასიურ პოლიტიკაში საქართველო უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს.

დავით ზურაბიშვილი, პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე: „ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ვიზიტი მარილაც მნიშვნელოვანი მოვლენაა. თუმცა, ბუშის ჩამოსვლა იმას არ ნიშნავს, რომ იმ დღიდან ყველაფერი კარგად იქნება. ქვეყანაში არსებული პრობლემები, პირველ რიგში, ჩვენი მოსაგვარებელია, მაგრამ ძალიან ბევრს ნიშნავს, რომ ასეთი დიდი ქვეყანა დაინტერესებულია, საქართველო იყოს უფრო სტაბილური, შესუნტდეს რუსეთის ინტერესები, რაც ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობასთან პირდაპირ კავშირშია.

რუსეთი უნდა შეეგუოს, რომ დღეს სხვა მსოფლიოა და ფხთ არ არის საბჭოთა კავშირის მსგავსი ორგანიზაცია, სადაც თვითონ უფროსი ძმის ფუნქციას შეასრულებს. პრეზიდენტ ბუშის ჩამოსვლა, მით უმეტეს პირდაპირ რუსეთიდან, მკაფიო მინიშნებაა რუსეთისთვის, რომ აქ ამერიკას შმარი ინტერესები აქვს. ჩვენნაირი პაგარა ქვეყანისთვის ძალიან კარგია, როცა რამდენიმე სახელმწიფოს ინტერესების გადაკვეთა ხდება და ხხოლო ერთ ქვეყანაზე არ ხარ მიბმული. ინტერესების ასეთი შეჯახებისას მანევრირების მეგი საშუალებაა“.

საქართველოს რუსეთთან მეგობრობა უნდა. საქართველოსა და ამერიკის მეგობრობა რუსეთთან ურთიერთოთას არ ეწინააღმდეგება, – აცხადებენ დეპუტატები და იმედს გამოთქვამენ, რომ ბუშის საქართველოში სტუმრობას ჩვენი ქვეყნისთვის კონკრეტული შედეგი მოჰყვება.

მზია გელენავა.

◎ ინფორმაცია

ლეიბორისტი პოლიციაში აყრაქუტეს

არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფლების ინსტიტუტი“ აჭარის ადგილობრივ ხელისუფლებას და სამართალდამცავებს აზრის გამოხატვისა და სიტყვის თავისუფლების შემდუდვაში ადანაშაულებს. ორგანიზაციის წევრთა შეფასებით, რეგიონში ამ მხრივ არსებული მდგომარეობა ასლან აბაშიძის მმართველობის პერიოდის ანალოგიურია.

აღნიშნული განცხადების მიზეზი ბათუმელი სამართალდამცავების მიერ მოქალაქე დავით რობაქიძის დაკავების ფაქტი გახდა. როგორც გუშინდელ პრეს-კონფერენციაზე აღინიშნა, რობაქიძე ჯერ ბათუმის ცენტრში აჭარის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული პროკლამაციების გავრცელების გამო დაკავეს და პოლიციის განყოფილებაში დაახლოებით ერთი საათი დაბყოთნეს. მოგვიანებით კი, როცა აღნიშნულმა პიროვნებამ ინიციდენტთან დაკავშირებით პრეს-კონფერენციის გამართვა გადაწყვიტა, სამართალდამცავებმა იგი ადეოკატთან ერთად ხელახლა აიყვანეს და სარფში წაიყვანეს, საიდანაც მხოლოდ ღამის ორი საათისათვის გაუშვეს.

„მაშინ, როცა აჭარის მოსახლეობა ასლან აბაშიძისგან გათავისუფლების ერთი წლისთავს ზეიმობდა, სწორედ აბაშიძის რეჟიმის ანალოგიურად, ადამიანი აზრის გამოხატვის თავისუფლებისათვის დაკავეს“ – აცხადებენ „თავისუფლების ინსტიტუტის“ წარმომადგენელები და ამ საქმეზე მონაწილე სამართალდამცავების დასჯას მოითხოვენ.

მათი მონაცემებით, დავით რობაქიძის დაპატიმრება ბათუმის პოლიციის სამმართველოს უფროსის დავით ბედიას განკარგულებით მოხდა.

გავრცელებული ინფორმაციით, დავით რობაქიძე ბათუმში „ლეიბორისტული პარტიის“ რეგიონალური ორგანიზაციის ხელმძღვანელია.

რესტორნებს გაუმაგებით ვაუქნებთ

ქუთაისში გუშინ სწრაფი კვების რესტორან „ნიკალას“ პროექტის პრეზენტაცია გაიმართა.

ევროსტანდარტების შენობა ქუთაისში, რუსთაველის გამშირზე, ერთი თვის წინ 200 ათას ამერიკულ დოლარად გაყიდულ ტერიტორიაზე აშენდება. მშენებლობა უკვე დაიწყო და დაახლოებით 18 თვეში დასრულდება.

როგორც პრეზენტაციაზე აღინიშნა, რესტორანში 120 ქუთაისელი დასაქმდება, რომელთაც საკმაოდ მაღალი ანაზღაურება ექნებათ.

სწრაფი კვების ობიექტთან ერთად, „ნიკალას“ მეპატრონეები ბავშვთა სადღესასწაულო ცენტრისა და საბანკეტო დარბაზის გახსნასაც გეგმავენ.

ინტერ-პრესს.

◎ ჟურნალისტური გამოძიება

მომაგებინეთ არჩევნები, ნუ მიშლით ხელს და ნახავთ!..

აცხადებს დაუსჯელობით თავგასული ნინოწმინდის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი მელს ბდოიანი, რომელიც „ნოვიე ვასიუკის“ მსგავს „დისნეი ლენდის“ აშენებას ჰპირდება თანარაიონელებს

(პირველი გვერდიდან)

მე ის კაცი ვარ, რომელმაც საკუთარი ფულით ააშენა შენობა, რომელშიც დღემდე განთავსებულია რაიონის პოლიცია. ეს გუბაკეთე საბჭოთა კავშირის დროს, როცა ვიყავი რაიონის მილიციის უფროსი. რომ არ ვყოფილიყავი იმ დროსაც ხელისუფლებისგან დაფასებული კაცი, დამნიშნავდნენ მაშინ ნინოწმინდის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარედ?

მე ვიყავი ერთადერთი ქართველი სომეხი, პარლამენტის წევრი, რომელმაც ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს ხელი მოვაწერე საქართველოს დამოუკიდებლობის დოკუმენტს. ბოროგმოქმედი და ნაძირალა სამშობლოსგან ამგვარი პატივის ღირსი არ იქნება. ეს თქვენ არ იცით?

წავიდა გამსახურდია, მაგრამ არანაკლები პატივისცემით მომექცა ახალი ხელისუფლება ბაგონ ედუარდ შევარდნაძის სახით... ამის დასტური გამოიხაგა. კერძოდ, იმაში, რომ მე ერთადერთი დეპუტატი ვიყავი ე. შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს, რომელიც ერთდროულად გახდა პარლამენტარი და დაინიშნა ნინოწმინდის სბბაჟო გამშვები პუნქტის უფროსად. საკამათო არ არის, რომ ჩემს მიმართ გადაგმული ასეთი ნაბიჯი ადამტურებს უმაღლეს ნდობას მაშინდელი პრეზიდენტისა და პარლამენტის მხრიდან. მეც მაღლიერი ვიყავი. ერთგულად ვემსახურებოდი პრეზიდენტ შევარდნაძეს და საქართველოს კანონს.

მე გავხდი ნინოწმინდის რაიონის გამგებელი იმიგომ, რომ ვაპირებ რაიონში, ჩვენი უნიკალური ტბების გამოყენებით, ავაშენო დასასვენებელი და გასართობი კომპლექსი – ეგრეთ წოდებული ნინოწმინდის „დისნეი ლენდი“... მსგავსი რამ არ არის მთელ საქართველოში?..

მე ვაპირებ, მნიშვნელოვანი სტიმული მივცე რაიონის სოფლის მეურნეობას. და ამას ყველაფერს გავაკეთებ ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საშუალებით. მე ეს მეხერხება.

მე ვიქნები პირველი გამგებელი საქართველოში, რომელიც თავისი რაიონის მასშტაბით დაამტკიცებს, რომ საბაზრო ეკონომიკა, რომელიც ჯერჯერობით არ მუშაობს რაიონის ეკონომიკის განვითარებაზე, იმუშავებს, ერთი მხრივ, რაიონის ეკონომიკის განვითარებაზე და, მეორე მხრივ, გამოავლენს ინიციატივიან, ბიზნესის ნიჭით დაჯილდოებულ პიროვნებებს, მეხოგრები ჩვენს რაიონში.

და ამით მე დავასაქმებ ჩვენი რაიონის მოსახლეობას, საბოლოოდ მოვსპობ ნინოწმინდის რაიონში უმუშევრობას. ცოტაა ეს ყველაფერი, რასაც მე, მელს ბდოიანი, ვპირდები რაიონის მოსახლეობას? თქვენ კი ლაპარაკობთ რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლად ჩემს უკანონო დანიშნაზე. მეცინება, რა...

ჩემი მონაყოლის მერე ვინმეს დაებადება ეჭვი, რომ მე ვერ შევძლებ დანაპირების აღსრულებას?..

მომაგებინეთ არჩევნები. მაცალეთ მუშაობა. ნუ მიშლით!

ჩემი ნებისმიერი ნაბიჯი მიმართულია ნინოწმინდის რაიონის სასიკეთოდ.

მე შევძლებ რაიონის გავუკეთო ის, რაც არავის აბრად არასოდეს არ მოსვლია. აი, ასე, ბაგონებო! თქვენ კი მებრძვით.

რაგომ??? რისთვის???

ასე უშუალოდ, ოფიციალური მიმოწერის და საგელეფონო საუბრების მერე გაგვეცნო ჩვენი საგაბეთო სგაგიის ვმირი მელს ბდოიანი.

მაგრამ რას ფიქრობენ მასზე და მისი დანიშვნის კანონიერებაზე სხვები? რას ფიქრობს თავის ყოფილ კოლეგაზე საქართველოს პარლამენტის ორი მოწვევის მაჟორიტარი დეპუტატი ნინოწმინდიდან ენზელ მკოიანი, რომელიც ახალქალაქში ცხოვრობს?

„თქვენს პუბლიკაციას 90 პროცენტით ვეთანხმები. მსგავსი ჟურნალისტური გამოძიება დღევანდელ ვითარებაში ძალზე საჭიროა. სამართალი უნდა აღდგეს. თავის დროზე მე, როგორც დეპუტატმა, გადავდგი გარკვეული ნაბიჯები და შევებრძოლე აღნიშნულ უკანონობას მელს ბდოიანის რაიონის გამგებლის მ.შ. თანამდებობაზე დანიშვნასთან დაკავშირებით. მაგრამ, ხელისუფლებაში მყოფმა მაღალი თანამდებობის პირებმა მირჩიეს, არ ჩავრეულიყავი ამ საქმეში. მეც უარის თქმა ვერ გავბედე. გისურვებთ გამარჯვებას თქვენს დაწყებულ საქმეში, რომელსაც ჰქვია სიმართლის დამტკიცება“.

უდავოდ ორიგინალური პასუხი გაგვცა შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით სამცხე-ჯავახეთში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულმა გოგა ხაჩიძემ.

„მივესალმები თქვენი სააგენტოს საქმიანობას კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში. თქვენი თხოვნის შესაბამისად გაცნობებთ, რომ მელს ბდოიანი არ არის დანიშნული ნინოწმინდის რაიონის გამგებლად. იგი მხოლოდ გამგებლის მოვალეობის შემსრულებელია. დოკუმენტები ნინოწმინდის რაიონის გამგებლის დანიშვნასთან დაკავშირებით რწმუნებულის აპარატს არ გაგზნია“.

აბა ვის გააჩნია? ჩვენი სააგენტო, ბაგონ გოგასთან კარგად არის ცნობილი, არ გახლავთ პირველი იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელმაც მიმართა მას თხოვნით, გაერკვიოს ნინოწმინდის გამგეობაში შექმნილ ვითარებაში. კერძოდ, ნინოწმინდის საკრებულოს წევრთა ჯგუფმა პირადად შეხვედრისას არაერთხელ სთხოვა მას, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიეღო კანონით გათვალისწინებული ზომები.

რაგომ არიდებს ბაგონი გოგა თავს საკითხის არსებითად განხილვას? ხომ არ იმყოფება იმავე მდგომარეობაში, რომელშიც თავის დროზე აღმოჩნდა ღრმად პაგიეცემული ბაგონი ენზელ მკოიანი? და თუ ეს ასეა, როდემდე იქნებიან საქართველოს პოლიგიკურ არენაზე მსგავსი პოლიგიკოსები, რომელთა ცხოვრებაში ან შიში არის მთავარი მამოძრავებელი ძალა, ან საკითხის განხილვის ინიციატივის უქონლობა, ან პირადი ინგერესების დაცვა? ყველა შემთხვევაში მათი ყოფნა პოლიგიკურ არენაზე საზიანოა სახელმწიფოსთვის, მისი მოქალაქეებისთვის.

სხვათა შორის, ენზელ მკოიანმა ჩვენი კითხვა თუ რას გულისხმობდა დარჩენილ 10 პროცენტში, – უპასუხოდ დაგოვა.

წაიკითხა თუ არა ჩვენი სგაგია, ნინოწმინდის საკრებულოს სპიკერმა გაგიკ ქარსლიანმა, დაუყოვნებლივ მოგვწერა წერილი, რომლის მოკლე შინაარსს ახლა გაგაცნობთ:

„რაიონის გამგეობის ხელმძღვანელების გადაყენება მოხდა ისე, რომ ადგილობრივი მმართველობის შესახებ კანონის ყველა მუხლი უგულებელყოფილი იყო. ეს ყველაფერი კეთდებოდა ბ-ნ ნ. ნიკოლოზიშვილის, ყოფილი მხარის რწმუნებულის, მეთაურობით.

რაიონის საკრებულომ კანონის დასაცავად იმიგომ არ მიმართა სასამართლოს ან პროკურატურას, რომ ნ. ნიკოლოზიშვილის დავალებით არაერთხელ გვაფრთხილებდნენ, რომ ჩვენი ჩივილი სამცხე-ჯავახეთში შედეგს არ მოიგანდა.

თუმცა ჩემი ამგვარი პასიურობა არ არის გამართლებული. ძალზე შევცდი, უნდა მიგვემართა წერილობით გენერალური პროკურატურისთვის. რაიონის საკრებულო ამ შეცდომას უახლოეს დროში გამოასწორებს. სამაგიეროდ წერილობით მივმართეთ საქართველოს პრეზიდენტს. წერილს ხელს აწერდა 200 კაცი და თან ერთო საკრებულოს სესიის ოქმი. ეს ყველაფერი პირადად გადავეცი პრეზიდენტის აპარატის რეგიონული პოლიგიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის სამსახურის უფროსს ჰ. ბოლაშვილს. სამწუხაროდ, უკვე ნახევარი წელი გავიდა, მაგრამ პასუხი არ მიგვიღია.

თავის დროზე ჩვენ მივმართეთ ნინოწმინდის მაჟორიგარ დეპუტატს ე. მკოიანს, მაგრამ მან გვითხრა, უძლური ვარო“.

სამწუხაროდ, დრო, დადებითად „მუშაობს“ ბდოიანზე. რაიონის მოსახლეობა ღღითი დღე რწმუნდება მელს ბდოიანის ეგრეთ წოდებულ სიძლიერეში და, რა დასამალია, მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს ხელი აქვს ჩაქნეული... ალბათ, კარგად ახსოვთ შევარდნაძის დროინდელი საქართველო.

სააგენტოს სგაგიის გამოეხმაური ნინოწმინდის ქართული სამუალო სკოლის დირექტორი ნანა მიქაძეც.

„14 წელია, რაც სკოლის დირექტორი ვარ. ჩავედი ნინოწმინდაში მეუღლესთან და 11 თვის, და ორი წლის ბავშვებთან ერთად. წამოვედი სამუშაოდ იმის იმედით, რომ ამ სკოლის ბაზაზე შეიქმნებოდა სკოლა-ინტერნატი, რომლის არსებობა თავისთავად რაიონში ქართული ენის გამყარებაში თამაშებდა მნიშვნელოვან როლს. მით უფრო, რომ მხარეში არის ამის საკმარისი მოთხოვნა. უფრო მეტიც, ადგილობრივ მოსახლეობაში უკვე დამკვიდრდა ღრმა აზრი, რომ ქართული ენის საფუძვლიანი შესწავლა მათთვის ობიექტური აუცილებლობაა, რაც ძალიან მესალმებეთა.

სამწუხაროდ, გამგებელის მოვალეობის შემსრულებლად მელს ბდოიანის მოსლის მერე ებულები გავხდი, ჩემი სკოლის მოსწავლე ჩემი შვილები სასწავლებლად და საცხოვრებლად ასპინძის რაიონში, ბებიაბაბუასთან გადამყვანა.

რაიონის გამგებელის მოვალეობის შემსრულებლის მოადგილე ჯ. გელაშვილი (ჩვენი სკოლის ყოფილი მასწავლებელი) უკვე ნახევარი წელია, რაც ყოველმხრივ შეავიწროვეს ან პირდაპირ მეუნუნებ, დაგოვე სკოლის დირექორის თანამდებობა და ნინოწმინდაო. რაგომ, ვერ გავიგე, რა დავუშავე? არ გამიკვირდა, როცა იგივე სიტყვა-სიტყვით გამიმეორა თავად რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა ბდოინმაც.

ეს მით უფრო გაუგებარია დღეს, როდესაც რაიონის სომეხ მოსახლეობას მთელი სულით და გულით სურს საფუძვლიანად შეისწავლოს ქართული ენა და ეს არავითარი ძალდაგანების გამო არ ხდება“...

აი, ასეთია რამდენიმე მოსაზრება გამგებლის მოვალეობის შემსრულებლად მელს ბდოიანის დანიშვნასთან და ამ თანამდებობაზე მის მოლაშარეობასთან დაკავშირებით. ჩნდება არაერთი კითხვა, რომლებზეც პასუხის გაცემის მერე, ჩვენი ღრმა რწმენით, ნათელი გახდება. ნამდვილი მიზეზი – მიზანი თანამდებობაზე ბდოიანის დანიშვნისა.

ოთხმოციან წლებში მელს ბდოიანი იკავებდა რაიონის მილიციის უფროსის თანამდებობას. მისივე თქმით, მელს ბდოიანის პირადი სახსრებით არის აშენებული რაიონში ღლეს მოქმედი მილიციის შენობა.

ისმის კითხვა, ხელფასზე მცხოვრებმა მილიციის უფროსმა როგორ შეძლო პირადი სახსრებით დაეფინანსებინა ეს მშენებლობა?

ნუთუ ერთდროულად იყო რაიონის მთავარი მილიციონერიც, სოფლის მეურნეობის მცირე მეწარმეც და პირადი ათეულ ათასი საბჭოთა რუბლი არ დაენახა ასეთი საქმისთვის?

იქნებ დამაგებით სხვა მომგებიანი საქმით იყო დაკავებული? მაგალითად, ფლობდა საზკვების კოოპერაგივს?

ყველა შემთხვევაში, არის თუ არა დასაჯერებელი, რომ აღნიშნული საქმიანობით, პირადი სახსრებით, ბდოიანი შეძლებდა მსგავსი შენობის აშენებას?

ერთი რამ ნათელია – ან ტრაბახობს ბაგონი ბდოიანი, ან კანონსაწინააღმდეგო მანიპულაციებით შეძლო თავის დროზე ამ საქმის ბოლომდე მიყვანა ვიღაცის დავალებით და ღღეს თავს იწონებს.

სხვათა შორის, ნინოწმინდაში მისი ვეებერთელა საცხოვრებელი სახლი, იმავე ფერის ტუფის ქვითაა აშენებული, რომელიც თავის დროზე მოხსენებული მილიციის შენობის აგებისას რომ გამოიყენეს. შესაძლოა, ეს დამთხვევაა.

ერთი ფაქტიც: 1989 წელს, ახალი ხელისუფლების მოსვლამდე, მელს ბდოიანი იკავებდა რაიონის აღმასკომის თავმჯდომარის თანამდებობას „ბოგდანოვკაში ქართული სკოლის გახსნის ნებართვის თაობაზე“ სახალხო დეპუტატთა ბოგდანოვკის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებას კი (299, 24.11.1989 წ.) ხელს, რაგომღაც, აწერენ რაიონის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ანანიკიანი და მდივნის მოვალეობის შემსრულებელი ს. შიროიანი.

სხვათა შორის, ამ დოკუმენგით დასტურდება, რომ ნინოწმინდის რაიონში იმ დროისთვის არ არსებობდა ქართული საშუალო სკოლა. იგივე გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ აღმასკომში შემოვიდა განცხადება, რომელსაც ხელს აწერდნენ ნინოწმინდაში (ბოგდანოვკაში) მცხოვრები ქართული ოჯახების წევრები და მოითხოვდნენ ქართული სკოლის გახსნას.

გასაკვირი არ არის, რომ ასეთ მნიშვნელოვან, უფრო მეგიც – მხარისთვის ისტორიულ დოკუმენგს ხელს არ აწერს რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე, მაშინ, ამხანაგი მელს ბდოიანი?..

რაგომ? არ ეთანხმება ამ გადაწყვეგილებას? საიდუმლო არ არის, რომ ეს გადაწყვეგილება ხელისუფლების ინიციგივა იყო. გამოდის, რომ მელს ბდოიანმა ხელისუფლებას თავისებური პროგესგი გამოუცხადა?

დიახ, პროგესგი. და ეს იმიგომ, რომ მელს ბდოიანი დოკუმენგის ხელმოწერის დროს არ იყო არც შეეტანებინა, არც მიელინებინა, და არც ბიულეგენზე. მაშ რაგომ არ მოაწერა ხელი ასეთ მნიშვნელოვან, ყველანაირი გაგებით, გადაწყვეგილებას???

ესე იგი, არ იზიარებდა ამ გადაწყვეგილების მნიშვნელობას. აღსანიშნავია, რომ ეს ყველაფერი ხდება იმ დროს, როცა რაიონის მაცხოვრებელთა უმრავლესობამ, სომეხი ეროვნების მოქალაქეების სახით, დიდი გაგებით და სიხარულით შეხვდა ამ ისგორიულ გადაწყვეგილებას და ეს ყველასთვის ცნობილია. თანაც არა მარგო სამცხე-ჯავახეთში.

ბაგონი მელსი ამაყობს და გრაბახობს, რომ იყო ყოფილი საქართველოს პრეზიდენგის ე. შევარდნაძის ერთგული მსახური და მადლიერია იმ დროისა, როცა ერთდროულად გახდა პარლამენგის დეპუტგაგი და ნინოწმინდის საბაჟო გამშვები პუნქგის უფროსიც.

ეს გასაკვირი არ არის. ბდოიანი შევარდნაძეს მადლობას უხდიდა მხოლოდ და მხოლოდ იმიგომ, რომ, ფაქტობრივად, პრეზიდენგმა შევარდნაძემ უფლება მისცა მას და მსგავს მებაჟეებს „დაეკანონებინათ“ ხეგყოს, საწვავის, სურსათის და სხვა საქონლის კონგრაბანდა.

ასე გახდა ბდოიანი, როგორც თავად ამბობს, მდიდარი კაცის სახელისა და კაპიგალის მფლობელი...

სად იყო ნინოწმინდის მთავარი მებაჟე ბდოიანი, როცა საქართველოს საზღვარს უკანონოდ გადაკვეთდა მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „აშოცკ-ნინოწმინდას“ დანადგარები? ასე იცავდა საქართველოს ეკონომიკურ საზღვარს?

არავინ უარყოფს, რომ მსგავსი ხაზები ორი მოძმე ქვეყნის ელექტროენერგოსისტემის სგაბილურობის გარანგია. არც ის არის საკამათო, რომ ნინოწმინდის მოსახლეობა, განსაკუთრებული კლიმაგური პირობების გამო, უზრუნველყოფილი უნდა იყოს მარგო საწვავით კი არა, 24-საათიანი ელექტრომომარაგებითაც.

მაგრამ ეს ყველაფერი უნდა მოხდეს კანონიერად და მადლიერების გრძნობა გამოიწვიოს აღგილობრივ მოსახლეობაში. ერთ-ერთი ბრალდება, რომელიც ენერგეგიკის ყოფილ მინისგრს დ. მარცხულავას წაუყენეს, იყო „აშოცკ-ნინოწმინდას“ უკანონო მშენებლობა. მოქალაქე მარცხულავა ამის გამო ათი წლის განმავლობაში მოიხდის სასჯელს საკანში.

თუ ეს ასეა, და ეს მართლაც ასეა, მაშინ რად არ არიან სათანადოდ დასჯილები ამ დანაშაულის გამო საქართველოს ყოფილი პრეზიდენგი ე. შევარდნაძე და მისი სხვა მინისგრებიც, რომელთა უშუალო მოვალეობა იყო უკანონობის აღკვეთა? და თუ ვინმე იყო დასასჯელი, მათ რიცხვში ერთ-ერთი პირველი მებაჟე-დეპუტგაგი მელს ბდოიანი უნდა ყოფილიყო.

„აშოცკ-ნინოწმინდა“ უნდა დაკანონდეს და მისი მფლობელი გახდება საქართველო. უდავო სიმართლეა, რომ ღღეს ამ ხაზის მფლობელი არის და არც არის საქართველო.

მაშ როგორ, ბაგონო მელს, გმირი ხართ? სხვები ამის გამო სასჯელს კი იხდიან.

ვაი, ასეთ გმირობას!

მაგრამ „ვაი-გმირი“ მელს ბდოიანი გამზადებულია ახალი საგმირო საქმეებისთვის. სწორედ ამიგომაც შეურჩიეს ნინოწმინდის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობა. მის კანონიერ „გამეფებას“ კი უკვე ჩაეყარა უკანონო საფუძველი...

ნინოწმინდის რაიონის საკრებულოს სპიკერი გ. ქარსლიანი, გამგებლის ყოფილი მოადგილე გ. ჩუჩმაევა, ნინოწმინდის ქართული სკოლის დირექტორი ნანა მიქაძე, გამგებლის ყოფილი პირველი მოადგილე რ. ნარიმანიძე, ყოფილი რაიონის გამგეობის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ლ. კუიუმჩიანი პირდაპირ ამხელენ მაშინდელ მხარის რწმუნებულის ნ. ნიკოლოზიშვილის თანამდებობის ბოროგად გამოყენებაში, რომელმაც 2004 წლის 29 სექტემბერს ჩაიდინა უპრეცედენგო დანაშაული – მათი თანდასწრებით თავისივე ხელით ამოიჭრა გამგეობის კომპიუგერიდან განკარგულებები, რომლებითაც ერთი ხელის მოსმით უკანონოდ გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან მთელი რიგი პასუხისმგებელი პირები. ამ დოკუმენგზე ხელი მოაწერინა გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელს ნ. სახაკიანს და დაანიშნინა მელს ბდოიანი და მისი სასურველი პირები.

მათ შორის დანიშნა სწორედ ის ჯუმბერ გელაშვილიც, რომლის მუშეობითაც ცდილობს მელს ბდოიანი დაშალოს ნინოწმინდის ერთადერთი ქართული საშუალო სკოლის პედკოლექტივი და, ფაქტობრივად, გაუჭქოს ქართული განათლების ეს კერა.

მელს ბდოიანი საქრთველოს დამოუკიდებლობის აქგზე ხელის მოწერით ამაყობს და წლების მანძილზე კი ანგასახელმწიფოებრივ საქმიანობაში მონაწილეობდა და მონაწილეობს.

მაგრამ სამწუხარო სწორედ ისაა, რომ ამ საქმიანობაში მელს ბდოიანს ხელს უწყობდნენ ჩვენი ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლები და ამჟამადაც მფარველობენ.

იმედია, საქართველოს გენერალური პროკურაგურა საგნმირივად დაინგერესდება პუბლიკაციაში მოყვანილი ფაქგებით, კანონიერ რეაგირებას მოახდენს მათზე და აღძრავს სისხლის სამართლის საქმეს თანამდებობის ბოროგად გამოყენებისა და შრომის კანონმდებლობის უხეშად დარღვევის ფაქგებზე სათანადო პირთა მიმართ.

ვაჟა კელეურიძე,
თენგიზ ჩხიკვაძე.
ჟურნალისტური გამოძიების ეროვნული სააგენტო.

◎ მხარე

... მკურნალად შემეყარეო

ზემენსელ დოდო გაგიევას, კაცმა რომ თქვას, სხვა არჩევანი არც ჰქონდა. ახსოვდა ერთი ანდაზა „გინდა მგელს შეუჭამიხარ და გინდა მგლისფერ ძაღლსაო“. ეს სალხური გამოთქმა კი იმდენად ესადაგებოდა ამ სასოწარკვეთილი ქალის მდგომარეობას, რომ სხვას უკეთესს ვერას გაიგონებდა. მთელი წელია მარცხენა მხარის სახსრის ირგვლივ სიმსივნური წარმონაქმნი აწუხებს – თითქოს მთელ სხეულს ცეცხლი უკიდიაო, ასეთი კეთილებითაა შეღონებული. ცხინვალის საავადმყოფოში კი, სადაც იგი საოპერაციოდ და სამკურნალოდ მივიდა, ცეცხლზე ნავთი დასასხეს – ოპერაცია იმდენი და ამდენი რუბლი (ცხინვალი, ანუ ქალაქი – სახელმწიფო ხომ რუსულ ყაიდაზე ცხოვრობს) სჭირდებაო (უბარმაზარი თანხა დამასახელესო, ამბობს დოდო გაგიევა). ქალს გული შეუღონდა: მთელი ჩემი სანათესაოც რომ შემეწიოს, ამდენ ფულს ვერ ვიშოვნიო.

დაბრუნდა ქალი დმენისში. ეს სოფელი პაგარა ალიახვის ხეობაში ერთი დიდი და ღონიერი ოსური სოფელია თავისი საკუთარი აღმინისგრაციით. მიდგა-მოდგა დოდო გაგიევა, მაგრამ სულ ამაოდ. მაშინ კი გადაწყვიგა, საოპერაციოდ გორში წასულიყო – ცხინვალის საავადმყოფოში უთხრეს, ოპერაცია იქ გაცილებით იაფი დაგიჯდებაო. მაგრამ ახლა სოფლელები გადაუდგნენ გზაზე, სად მიდიხარ, მგლებივით შეგეჭამენ ქართველებიო. ახლა კიდევ მგლისა და მგლისფერი ძაღლის ამბავი გაახსენდა, მერე კიდევ ის, რომ სწორედ წინა დღეს დოდო გაგიევა სოფლის ძაღლმა დაგლიჯა – მუცლის არე და სარძევე ჯირკვლები დაუკბინა.

კეთილებით გათანგული ქალი გორის ქალაქის საავადმყოფოში მივიდა. მალე იგი საოპერაციო მაგიდაზე იწვა, ოპერაციას კი გამოცდილი ქირურგები ჯიმშერ ყველაშვილი და ვიგალი სომხიშვილი აკეთებდნენ. ოპერაციამ წარმაგებით ჩაიარა, ყველა გასხაცდელი უკან დარჩა. ავადმყოფს ახლა ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაციასაც უგარებენ, მისი მდგომარეობა საიმედო და სგაბილურია.

სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით ქართულ-ოსურ ურთიერთობებზე, სადაც მდგომარეობა არც სგაბილურია და არც საიმედო. ისევ სროლა, ისევ ადამიანების გაგაცეგება და შემდეგ მათი წამებით მოკვლა. ცხინვალის ხელისუფლება თაობას კვლავაც ქართველების შიშითა და სიძულვილით ზრდის. ასეთ „იდეოლოგიას“ არაფერი სასიკეთო არ მოაქვს.

დოდო გაგაევას მკურნალობის ხარჯებს ჯორის რაიონის გამგეობა გაიღებს. გარდა ამისა, სახელმწიფო რწმუნებული ავადმყოფს მაგერიალურადაც დაეხმარება.

გურამ ვაშაკიძე.

◎ კონტაქტები

ოცი წლის შემდეგ განახლებული საოპერაციო

ორგანიზაცია „საქართველოს პაგიმართა თანამეგობრობამ“ იუსტიციის სამინისგროს სამედიცინო დეპარგამენგს სასჯელაღსრულების დაწესებულებისთვის სამედიცინო აპარაგურა გადასცა.

ორ კინგეინერში ჩაგვირთული ჰუმანიგარული ტვირთი – ქირურგიული კაბინეგი, ქირურგიული ინსგრუმენგები, საწოლები, სამედიცინო პერსონალის სპეციალური ტანსაცმელი, რენგგენისა და ექოსკოპიის აპარაგურა და სხვა ნივთები საქართველოში შვეიცარიიდან გამოიგზავნა, სადაც „პაგიმართა საერთაშორისო თანამეგობრობის“ ევროპის ქვეყნების სათავო ოფისი მდებარეობს. ეს ორგანიზაცია მსოფლიოს 135 ქვეყანაში არსებობს, ცენტრალური ოფისი ამერიკაშია. დღემდე შვეიცარიიდან ჰუმანიგარული დახმ

№ 108, კვირა, 8 მაისი, 2005 წელი.

◎ როკვად განფენილი ერის გენია

როცა ოცნება რეალობად იქცევა...

მისი ცხოვრება „სუხიშვილებით“ იწყება... შემოქმედება ცოცხალი ლეგენდების ლეგენდარული ეპოქიდან... ანუ, იმ ჩაკეცილი სივრციდან, რომელსაც როკვაში განფენილი გენი უკომპრომისოდ ამსხვრევდა და...

მსოფლიო სცენაზე ისიც ვარსკვლავების ფეიერვერკში გრიალებდა, ქორეოგრაფიულ შედევრებს საოცარი რუდუნებით ასრულებდა...

დიდ ნინოსთან და დიდ ილიკოსთან მოკრძალებულ ურთიერთობას თამაზ გოგოგიშვილი უნიკალურად ადიქვამდა და ეს სიახლოვე მის არსებაში წარმოქმნიდა რაღაც მისგიკას...

ალბათ, როდესაც ცხოვრება ასე იწყება, ყოველივე საინტერესო და სანიმუშო წინ გელოდება, თითქოს სიმბოლურიც და თითქმის მიუწვდომელიც?! და მაინც, მთელი სამყარო თვალწინ გადაგვშლება... გაღის წლები და ქორეოგრაფობაზე ოცნება რეალობად ექცევა... ახლა უკვე ქორეოგრაფიულ სამოსელში ბავშვთა აღმრდის ხელოვნება ექცევა და ამდენი ბავშვის გაბრწყინებული მზერა უახლოვდება...

თამაზ გოგოგიშვილი ის ხელოვანია, რომელიც სუხიშვილების აკადემიზმმა მოაჯადოვა ფოლკლორის იმ ღვთაებრივ სამყაროში, რომელსაც თავის ტემპერამენტულ ცხოვრებას უძღვნის და რჩიულ თაობებს უზრდის...

ქორეოგრაფიულ ლაბირინთებში აღმოცენებული მისი ანსამბლი საოცარ ეფექტს ახდენს მაყურებელზე, ნორჩი ვირტუოზების მხატვრიანი გამოსვლები დაუვიწყარია საფრანგეთის, შვეიცარიის, დანიის, ბელგიის, რუსეთის, ამერიკის, იგალიის პრესგიჟულ თეატრებსა თუ საერთაშორისო ფესტივალებზე... ანსამბლი **„შეჯიბრი“** მართლაც შეჯიბრია. მონუხული დარბაზის ოვაციებისა და მოცეკვავეების ემოციური შეძახილების... ახლახან, ნარინჯისფერ სამყაროში ბავშვების გრიუმფალურ წარმატებებზე სიამაყეთა და სახალისით საუბრობს თამაზ გოგოგიშვილი:

„უკრაინაში ქართველ თანავარსკვლავედთან ერთად გახლდით მოწვეული. წარმოიდგინეთ, სცენაზე ანსამბლი „რუსთავი“, ალექსანდრე კორსანგია, ბაღრი მაისურაძე, ლექსო თორაძე და... ჩვენ – ანსამბლი „შეჯიბრი“. ეს მართლაც ბრწყინვალე სალამი იყო საქართველოს პრეზიდენტის უკრაინაში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში. ჩემმა სოლისტებმა ყველა მოხიბლეს. განსაკუთრებული სითბო 6 წლის ბიჭი გოგა გაგნიძისადმი გამოხატეს. მან „კინგოური“ ისეთი სახასიათო მანერით, ისეთი კოლორიტულობით შეასრულა, რომ დარბაზი ოვაციებისგან თავზე თუ არ დამენგრეოდა, ნამდვილად არ მეგონა. ფარდა მრავალჯერ იხსნებოდა, იხურებოდა, მაგრამ რესპექტაბელური მაყურებელი ადგილიდან არ იქერდა. ავანსცენაზე ყველი ჩვენს პაკარა მოცეკვავეს „ბისზე“ უხმობდა. გოგამ სოლოს შემდეგ დარბაზს ჰაერივანი კოცნაც გაგზავნა მადლობის სიმბოლოდ და ასე დაემშვიდობა. საერთო სიხალისემ კულესებს მიღმაც გადაინაცვლა. გოგას ნარინჯისფერმა ფეხსაცმელებმა უცბად, ხალხის ყურადღება მიიპყრო და ამ ფაქტმა ვიქტორ იუშჩენკოს განსაკუთრებული მხიარულება მოჰგვარა“.

ეს იყო უკრაინაში... თუმცა უკრაინული ხმაურისა და მძვინვარების მიღმა, ანსამბლის ეფექტურ, თუნდაც ეგზოტიკურ სანახობაზე წარმატებები ან კიდევ, მოგონებები კვლავაც უხვია... უხვი და საინტერესოა ის შთაბეჭდილებები, რაც „შეჯიბრის“ სამხატვრო ხელმძღვანელს უკავშირდება:

„მე მომსწრე ვარ თამაზ გოგოგიშვილის შემოქმედების იმ წარმატებების, რომელიც საფრანგეთში გამართული ქართული კულტურის დღეებზე მოხდა... სცენაზე ბიჭუნათა ანსამბლ „მართველა“ და ანსამბლ „შეჯიბრს“ მთელი პარიზი ფეხზე წამოუდგა, ყველამ გულში ჩაახუგა ქართული ფოლკლორის ვირტუოზი შემსრულებლები... – ამბობს ფოლკლორისტი ანზორ ერქომაიშვილი – თამაზ გოგოგიშვილი გამორჩეული პიროვნებაა თუნდაც იმიტომ, რომ მან მიზნად დაისახა ახალგაზრდა თაობის ხალხურ ფესვებზე აღმოცენება და მათი ჯანსაღი სულით აღზრდა. გარდა იმისა, რომ მისი ბავშვები პროფესიონალური გზისკენ მიმავალ ბილიკებს ადგანან, ისინი შესანიშნავ პიროვნებებადაც ყალიბდებიან. უნდა ნახოთ თამაზის რეპეტიციები, რომლებიც ცალკე ხელოვნებად შეიძლება გაიშიფროს და ადამიანური ურთიერთობების პრიზმადაც კი ჩაითვალოს. შეიძლება ბევრმა არც კი იცოდეს, რომ თამაზ გოგოგიშვილი არა მხოლოდ კარგი ქორეოგრაფია, ის შესანიშნავი მუსიკოსიცაა. ჩვენ ერთად ვსწავლობდით კონსერვატორიაში, რომლის დამთავრებისთანავე მან მიაგოვა მუსიკა და ქორეოგრაფიის ნაკადში გადაყიდა“.

ხალხური შემოქმედების საუნჯიდან საცეკვაო მოგივების ამოკრება , საკუთარ პრიზმაში გაგარება და ახალი ბრწყინვალებით შემოსვა თამაზ გოგოგიშვილის ბობოქარ შემოქმედებით სრბოლაში ნათლად აირეკლება... მისეული ინტერპრეტაციით იმოსება ანსამბლ „შეჯიბრის“ ფერწერული რაფსოდიები: **„ხორუმი“, „სვანური“, „შეჯიბრი“, „მხედრული“, „ხევსურული“, „აჭარული“, „ფარცა-ფერხული“, „ქართული“...** ამას ემატება ფოლკლორული კომპოზიციები – დოლებისა და სალამურების ნომრები...

რა მრივე გამოთხატება ქორეოგრაფის მუშაობა დარბაზის მიღმა? და მაინც, გარდა არტისტიზმისა, პლასტიკისა და საშემსრულებლო ოსტატობისა, კიდევ რა მოეთხოვება მოცეკვავეს?

„მოცეკვავის ყოველი პოზა, თითოეული ჟესტი უნდა იყოს ლოგიკურად დასრულებული, მიზანმიმართული, დამაჯერებელი და ბუნებრივი. მოცეკვავე არა მარგო სცენაზე უნდა ფლობდეს სხეულის ლამაზად დაჭერის კულტურას, არამედ ცხოვრებაშიც – მესაუბრება ქორეოგრაფი თამაზ გოგოგიშვილი – როგორც ამბობენ, ილიკო სუხიშვილს ისე ლამაზად ეჭირა ხოლმე ტანი, რომ ყველა მას შეჰყურებდა. თითქოს კი არ დადიოდა, არამედ სიარულის დროსაც ცეკვავდა, მოძრაობდა რადაც განსაკუთრებული მანერით, სიძლიერით... საცეკვაო ხელოვნების მსაზური ყველაფრით უნდა გამოირჩეოდესო თამაგოგონებდა დიდი ნინო რამიშვილი. მისით იწყება ჩემი შემოქმედება და სწორედ მას ვუმადლი ჩემი, როგორც მოცეკვავედ ჩამოყალიბებას... ასევე დიდი მადლობელი ვარ თენგიზ სუხიშვილისა, რომელიც მთელი ცხოვრება მიდგას გვერდით... რთულია, თუმცა ამავდროულად ძალიან სასიამოვნოა ბავშვებთან ურთიერთობა, იმ ლაღ სხეულთან შეხება, რომელიც მარადიული ძიებებისა და აღმოჩენებისკენ გიბიძგებს, რომელიც საკმაოდ ფრთხილ მოპყრობას იმსახურებს. ჩემთვის წარმოუდგენელია ორი-სამი რეპეტიციისას ცეკვის შესწავლა, მე ყოველდღე დაძაბულ მუშაობაში ვარ ბავშვებთან, რომლებიც ქართველად იზრდებიან და აზროვნებენ ქართულად. ეს კი ინტეგრაციის ეპოქაში ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად მიმაჩნია“.

ხალხური ქორეოგრაფიისა და ბავშვებთან ურთიერთობის ხელოვნებას ის უკვე 45 წელია რაც ეუფლება... „რა დრო გასულა?!“ – თავისთვის ჩაილაპარაკებს და წამიერად ფიქრს მიეცემა... ყველაზე მეტად კი ის დღე ახსენდება, როცა ლეგენდარულმა ქალბატონმა შემდეგი სიტყვები უსახსოვრა მემკვიდრეობად... ხშირად ის უნიკალური ფრაზები ჩაეს-მის, რაც რელიკვიად შემოინახა მისმა არქივმა... მაინც, რა თქვა დახვეწილმა და ელეგანტურმა ნინო რამიშვილმა?

„მე არ მახსოვს რეპეტიციებიდან გარეთ გასული თამაზ გოგოგიშვილი და ეს კიდევაც მიკვირდა – როცა სხვები ისვენებდნენ, ის დარბაზში იჯდა, ჩემი მუშაობის მეთოდიკას აკვირდებოდა, სწავლობდა, ითვისებდა და შემდეგში ეს კარგად გამოიყენა მოსწავლეებთან ურთიერთობისას“.

მრავალი ღირსების მქონე ქორეოგრაფი ისევ რეპეტიციაზეა... როგორც ამბობენ, რეპეტიციაზე ტემპერამენტული, ექსპრესიული და მომთხოვნია. რეპეტიციის მიღმა კი ლაღი, უშუალო, და იუმორით სავსეა... ღღეს მისი დაბადების დღეა... და ეს დღე ნათელი ფერებით, სილამაზითა და სითბოთი გამორჩეული დღესასწაულია. ეს დღე ხანდაზმულობისა და ახალგაზრდობის გაცნობიერებული შეხვედრით განპირობებული სიცოცხლის შექმნის გაგრძელებაა.

მზეხა მახარაძე.

◎ გამარჯვების ქართული წილი

ჯანსაღი ამონაცარი

როგორც კი სიტყვა ომზე ჩამოვარდება, თვალწინ მაშინვე ჩემი სკოლის გამოციებული საკლასო ოთახი დამიდგება. ერთი ციდა ბაღლს თითქოს რა უნდა შემომრჩენოდა მართლაც შიშითა და შიმშილით გამაძღარი იმ დღეებისა, მაგრამ...

ალბათ ბევრ მრდასრულსაც არ ეხსომება ჩემდენი. ის საკლასო ოთახი იყო ყველაფრის ანარეკლი – გაჭირვებისაც და სინანულისაც. იქ ვიგებდით ვასაც და კარგსაც, ვხედავდით ცრემლსაც და მწუხარებასაც. დაფასთან იდგა შავით მოსილი მარო მასწავლებელი. რომელიღაც ჩვენგანი გაკვეთილს ჰკვებობდა.

...აი, ყავარჯნიანმა კაცმა ხანხალით გამოიარა ქუჩა. ჭიმკართან პაგარა ბიჭი შენიშნა. „ – ვისი ხარ?“ – ეკითხება უცნობი. „ – თედოსი...“ „–შვილო!“ – შემოვრეული ხმით ამოიხავლა უცნობმა და ბიჭი გულში ჩაიკრა...

ვხედავ, როგორ შეპარბაცდა მარო მასწავლებელი და მუხლებში ჩაიკეცა.

ჩვენს მასწავლებელს, ორი ბიჭის დედას, მეუღლე ფრონტზე ჰყავდა და დიდი ხანი იყო, წერილი რომ წერილია, ისიც არ მიეღო...

დავით უშუნაშვილი გურჯაანის რაიონის მთავარ აგრონომად მუშაობდა. ჯავშანი იცავდა, მაგრამ როგორც კი ომი დაიწყო, მაშინვე კომისარიატს მიაშურა.

ბიძინა, რაც მოიზარდა, სულ საჭესთან იჯდა. ახლა, უკვე ხანმორეული, თავის მამაზე რაგო ორჯერ უფროსი, ოჯახში, თავის ეზო-ყურეში ტრიალებს.

ცოტა უფრო შორს „ბაუტია“ სიმონმა. მოოვეტერინარული ინსტიტუტი რომ გაასრულა, ერთხანს ვაზისუბნის კოლმეურნეობაში ვეტექიმად იმუშავა. მერე თავისივე ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ-მუშაკად დაბრუნდა. საკანდიდატო დაიცვა. მალე ლომთაგორის ექსპერიმენტული მეურნეობის დირექტორად დაყენებულ. ამას მოჰყვა ჯანდარის მეცხოველეობის სანაშენე მეურნეობის წინამძღოლობა, დამბადების სამინისტრო, აგროსამრეწველო კომიტეტის მეცხოველეობის მთავარი სამმართველოს, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს დეპარტამენტის უფროსობა – შეთავსებით – კოლეგიის წევრობა და მინისტრის მოადგილეობა.

ასე გაუფრინდა თითქმის შვიდი ათეული წელი. დღეს ისიც ოცდარვალარიან პენსიონერთა გვარდიის წევრია.

ჩემი თაობის ხალხს კარგად ახსოვს 1956 წლის მარგის სისხლიანი ამბები. მესამე კურსის სტუდენტმა სიმონ უშუნაშვილმა მხარი არ მოსტეხა თანაგოლებს – ისიც იმ გამოსვლების უაქტიურესი მონაწილე იყო.

სიმონ უშუნაშვილი მეუღლესთან – თამართან.

ჩვენ ხშირად ვხედებოდით სოფლის მეურნეობის სამინისტროში, მაგრამ ორმოცდაათიანი წლების ტრაგედიაზე არასოდეს ვეისაუბრია. მრისხანე ორმოცდასამში ქერჩში დაღუპულმა მამამ, დავით უშუნაშვილმა, ჩვენდაუნებურად დღეს იმ მოვლენებისკენაც გაგვახედა. ბევრს ბჭობენ, რისთვის დაიღვარა მაშინ ასობით ახალგაზრდის სისხლი. ნუთუ მარგო „პიროვნების კულტი“ იყო დამნაშავე?

– ჩვენ მაშინ იმდენს სგალინზე არ ვფიქრობდით, რამდენსაც ქვეყნის, ხალხის შელახულ თავმოყვარეობაზე. სწორედ იმ პროტესტში გამოვლინდა მთელი სიძულვილი იმპერიის მიმართ, რომელსაც მხოლოდ თავისი ბედი აინტერესებდა. კრემლს, რა თქმა უნდა, არ ადარდებდა, რომ ქართველებს სულში ჩაგვაფურთხეს. მეამაყება, რომ სწორედ ჩვენმა მაშინდელმა გამოსვლებმა დაუდეს სათავე ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომელმაც, საბოლოო ანგარიშში, ძალადობისა და უსამართლობის იმპერია დაანგრია.

ეს სიმონ უშუნაშვილის სიტყვებია. დარწმუნებული ვარ, სხვებთან ერთად სწორედ ამ რწმენამ ისიც წაიყვანა გორში, რათა იქაურ თანამოაზრეებთან ისევ თბილისში დაბრუნებულიყო. გამთენიისას მცხეთასთან ყველა შეაჩერეს და განსაკუთრებით აქტიურები ღელქალაქში ხელბორკილებით დაბარუნეს.

სამი თვის შემდეგ სამშობლოს დალაგის შუხლით გაასამართლეს. „გაითვალისწინეს შემამსუბუქებელი გარემოებები, პირობითი სასჯელი მაკმარეს და... გამათავისუფლეს“.

– არასოდეს გიგრძვნია, რომ გავიწროებდნენ ან ანგარიშს გისწორებდნენ?

– წარმოიდგინე, რომ არა. მხოლოდ სამოცდაათიანი წლების ბოლოს შევიტყვე, რომ... თურმე ამ ხნის მანძილზე სულ „შუმკაზე“ ვიჯექი. უმიროზეს ერთ ჩინოსანს ჩემს ახლოლეთან როგორღაც წამოსცდენოდა, საოცარია, ეს კაცი ვერაფერში გამოვიჭირეთო.

კაცმა რომ თქვას, რაში უნდა „გამოეჭირაო“? ეს ხომ ბნელ ოთახში კაგის ძებნას ჰგავდა? სიმონ უშუნაშვილი ყოველთვის იყო და არის ადამიანი, რომელსაც სხვებზე გაეცლებით მეგად, ცოგა თავისებურად უყვარდა და უყვარს თავისი ქვეყანა.

– ხომ ასეა? – ვეკითხები.

– ასეა...

განა მარო მასწავლებლისა და დავით უშუნაშვილის შვილი სხვანაირი იქნებოდა?

მარიამ და დავით უშუნაშვილები (გადაღებულია 1927 წელს)

...მუკუმანში, ჭუნიაანთ უბანში, ისევ ღგას ცოგა შეკეთებულ-შელამაზებული მამისეული სახლი. სიმონისა და მისი ცოლ-შვილის სტუმრობა მარგო მეზობელ-მოკეთეებს კი არა, თითქოს იმ სახლსაც უხარია...

ელგუჯა ლეგანიძე.
გურჯაანის რაიონი.

◎ ჩვენებურები უცხოეთში

მუსიკოსის არაამუსიკალური ისტორიები,

ანუ ყანჩელის მუსიკა, რომელსაც მეორე ხმას ვერ ააყოლებ

გია ყანჩელის ჩამოსვლა გავიგე თუ არა, შინ ვესტუმრე. ჩვენ დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს.

— ძორძველი „ალეხანოველი“ ვარ. ჩემი მეგობრების უმრავლესობამ, ვინც ახლო-მახლო ცხოვრობდა, ყველამ გამოიცვალა საცხოვრებელი ადგილი. მე ისევ ამ სახლში დავრჩი! — სიამაყით მეუბნება გია.

— მე დალოცვილო, ისინი უცხოეთში არ წასულან, თბილისში დარჩნენ, შენ კი თხუთმეტი წელია, რაც საბჭოთა კავშირ ტოვებ, - გავეხუმრე.

ულვაშებში ეღიმება.

— აბა, შენ რა გელაპარაკო... ამ სახლში უკვე ჩვენი მეხუთე თაობა ცხოვრობს. გასული საუკუნის დასაწყისში ბაბუაჩემი დასახლდა აქ, მერე მამაჩემი, მერე მე, მერე ჩემი შვილები და შვილიშვილები. იცი ეს შენ ძალიან კარგად!

კი, ვიცი, ისიც ვიცი, რომ ბაბუამისი — ივანე ყანჩელი მესამე საცდელ გიმნაზიაში „შრომის“ გაკვეთილებს აგარებდა. მათ ბინაში, კედელზე, ბაბუას ნახელაები შესანიშნავი საათი ღლიაც კიდია.

— მოდი, ჩემო გია, წარსული გავიხსენოთ. მუსიკას ნაკლებად შევეხოთ. შენს შემოქმედებაზე ისედაც უამრავი თქმულა და დაწერილა...

— კი, ბაგონო.

წამოვდექი, ლოჯიის ფანჯრებიდან გადავიხედე. აქედან „ეოფილექტის“ ბაღის ნაწილი მოჩანს.

— ეეე, ნეგა იმ დროს... — ჩავილაპარაკე.

— გახსოვს, არა? - მეხმიანება გია, - აქაური აივნიანი რესტორანი, მაღრეკანი, საბაფხულო თეატრი... ჩემი კლასელები — რეზო სოხაძე, ვაკა მამაგაიმელი, ვაკა გვეტაძე, გიგი ლეკიშვილი, ნოდარ ვარდია კაპიკს კაპიკმე ვაღებდით და „წამოვიჭიმებოდით“ ხოლმე რესტორანში. ბუხეი ოფიციანტის მაგიდასთან ვსხდებოდით, გვცნობდა და გვენდობოდა. დედაჩემი კი ფუსგად ამ ადგილზე იჯდა და ღურბინდით გვადევნებდა თვალს, რომ შედმეტი არ დაგვლია და ხიფათს არ გადავყოლოდა. სანინტერესო კონცერგებსაც არ ვაცდენდით.

— მუსიკალურ სკოლაში როდისდა დადიოდი?

— დავდიოდი, დავდიოდი! ჩემი მეგობრების შიშით ნოგებს იღლიის ქვეშ ვმალავდი, მასხრად არ ამიგდონ-მეთქი. ამის გამო ძრავალი ფათერაკი გადამხდა თავს, მაგრამ იმათ რას დაუმალავდი — გაიგეს ჩემი „მუზიკანგობა“ და ... ოიპან სეგბასგიან ბახი შემარქვეს.

— მუსიკას მაინც ვერ ავცდით.

— რას იმამ, უმაგისოდ არ გამოვა. ჯამმა სერიოზულად მაშინ გამიგაცა, როცა ვნახე ფილმი - „ემიური ველის სერენადა“, ჯლენ მილერის შესანიშნავი, ნოვაგორული მუსიკით.

ჩვენს ოჯახში ხშირად მოდიოდა ნიკა დიასამიძე — საოცრად ნიჭიერი, უნიკალური პიროვნება. შესანიშნავად უკრავდა ფორტეპიანოზე და ჩემს დაკრულსაც ხშირად ისმენდა. დადგებოდა ხოლმე ამ ფანჯარასთან, გადახედავდა „ეოფილექტის“ ბაღს, რესტორანს და მოუბრუნდებოდა მამაჩემს: „ბაგონო საშა! აფსუსი არ არის, თქვენ აქ უნდა ცხოვრობდეთ და მე ბელინსკის ქუჩაზე?“

— კარგი, ახლა ცოგა ისევ მუსიკაზე. პირველი ნაწარმოები როდის დაწერე?

— ჩემს მეზობლად ერთი ნიჭიერი კაცი, ავთანდილ გაჩეჩილაძე ცხოვრობდა, რადიოკომპოზიტორი მუშაობდა და ხაბაგშვო გადაცემების რედაქციის ხელმძღვანელობდა. ჰოდა, მან მთხოვა დამეწერა სიმღერა პიონერულ თემაზე. დავწერე „ჩვენი რაზმი“ და ეთერში გავიდა. შემდგომში კიდევ ერთი სიმღერა დავწერე მასწავლებელზე, ავთანდილის თხოვნით, რამაც უკეთესობისკენ შეცვალა ჩემდამი პედაგოგთა დამოკიდებულება.

— წამოდექი ერთ წამს, — მეუბნება გია, პიანინოსთან მიხმობს და ნაცნობ შელოდიას აყალერებს.

— გახსოვს ეს სიმღერა?

— როგორ არა... „ნიავი არხევს რგოებს...“

— ყოჩაღ, ეხსომებია: ჯერ კიდევ სკოლაში ვიყავი, ეს სიმღერა რომ დავწერე და კოსნგანტინე პევშნერს ვაჩვენე. შემაქო. შემდეგ ამ სიმღერას წარმატებით ასრულებდა ედი როშნერის ორკესტრში გიული ჩოხელი.

— კი, მაგრამ, უნივერსიტეტში, გეოლოგიურ ფაკულტეტზე რამ შეგიყვანა?

— აბა, რა გითხრა... იმ პერიოდში ეს სპეციალობა მოდაში იყო. თუმცა მამაჩემს ძალიან უნდოდა მის პროფესიას გავყოლოდი, ექიმი გამოვსულიყავი, მაგრამ მე ხომ ყველაფერი უკუღმა უნდა მეკეთებინა. მალე ვინახე, სწორი არჩევანი რომ არ გავაკეთე. მეორე კურსზე ვიყავი, საბაფხულო პრაქტიკაზე ქუთაისში რომ წაგვიყვანეს. სკოლის შენობაში ვცხოვრობდი, საძილე ტომრებში ვეკიძინა. ღილის 6 საათზე გვაყენებდნენ და ზურგზე ჩანთამოკიდებული „ობიექტზე“ მივყავდით. რვა კილომეტრი უნდა გაგვეკლო ოცდაათგრადუსიან სიცხეში. იქ რაღაც ფილებს ვაგროვებდით. მაშინ მივხვდი, რომ ეს საჩემო საქმე არ იყო. პირველივე ღამეს ჩამოვწერე ყველა ის სპეციალობა, რომელიც ფუხით წოწიალს გამორიცხავდა. საკმაოდ გრძელი სია გამომივიდა. ვინაიდან მუსიკაში რაღაც გამოცდილება მქონდა, არჩევანი მუსიკაზე შევაჩერე. ამასთან, ყოველთვის ვოცნებობდი, პროფესიული „ბიგ ბენდის“ დირიჟორი ვყოფილიყავი. ამისთვის კი საჭირო იყო მუსიკალური განათლება, თეორიული ცოდნა. ამოვირჩე ერთ-ერთი ყველაზე მომთხოვნი პედაგოგი ქრისტეფორე არაქელოვი და თავგამოდებით შევეფიქი თეორიული საგნების შესწავლას. პარალელურად, რის ვაიკვალახით, უნივერსიტეტშიც ვსწავლობდი.

ერთი სიტყვით, გეოლოგიური ფაკულტეტიც დავამთავრე და კონსერვატორიაც. და დაიწყო ჩემი მეგად რთული და ძმიმე გზა მუსიკაში, სავსე გულისტკივნითა და სიხარულით.

— საწყენი ბევრი შეგხვდა?

— საკმაოზე მეგი, კრიგიკის ქარცეცლში მაგარებდნენ,. თავს არ შეგაწყენ და ერთ ფაქტს მოგიყვან: 1968 წელს საქართველოს კომპოზიგორთა მეოთხე ყრილობა ჩაგარდა, სადაც ცნება „ეროვნული“დაუპირისპირდა „თანამედროვეს“. ერთ-ერთ წერილში, რომელიც ყრილობის შედეგებს აჯამებდა, პირდაპირ ეწერა: „...მაგალითად, მ. მშვილიძის შემოქმედება, ალბათ მოგვიწევს ამოვრიცხოთ თანამედროვე მუსიკის სიიდან, გ. ყანჩელს კი უფლება უნდა წავართვათ, აგაროს ქართველი კომპოზიგორის სახელი“. ამდაგვარი მაგალითების მოყვანა შორს წაგვიყვანს....

— შენ მაინც შეძელი და მსოფლიოში სახელგანთქმული კომპოზიგორი გახდი.

— ამაზე სხვებმა ილაპარაკონ! ჩემთვის უბედნიერესი წლები იყო, როცა კონსერვაგორიაში სწავლის პერიოდში დავუკავშირდი სულხან ნასიძეს, ბიძინა კვერნაძეს, ჯანსუღ კახიძეს, გურამ მელიავს, ნოდარ გაბუნიას, ლევან ჭუბაბრიას, რევაზ ლაღიძეს, არჩილ კერესელიძეს, დავით თორაძეს, ალექსი მაჭავარიანს, არჩილ ჩხარგიშვილს და გივი ორჯონიკიძეს.

თენგიზ მირზაშვილი, გია ყანჩელი და ჯანსუღ კახიძე.

ჩემი სიმფონიის პრემიერაზე. სათითაოდ იმიტომ, რომ მათი ჯგუფურად მოპაგიჟება სახიფათო იყო. შესაძლოა კონცერგი ჩაშლილიყო.

ერთ მშვენიერ დღეს გოგი ღიპარტელიანის — „კიგრანას“ რიგიც დადგა. ამ დროს დუშეთის საგყვოს დირექტორი ბაგონი გოგი სათანადოდ გამოეწყო და ერთად ვესტუმრეთ ფილარმონიის დარბაზს. პირველ განყოფილებაში ელისო ვირსალაძე უკრავდა, რაც ხალხით გადაჭედილ დარბაზს განაპირობებდა, მეორეში კი ჩემი მე-6 სიმფონიის პრემიერა უნდა შემდგარიყო. „გოგი, პარტერში ჯდომა არ მინდა, მოდი ზემოთ ავიდეთ და კარებთან დაგდგეთ“, - შევთავაზე მეგობარს. დამეთანხმა.

რეპეტიციებზე მე და ჯანსუღ კახიძე შევთანხმდით შესავალი ნაწილის შემოკლებაზე. მეორე განყოფილების დაწყების წინ, ორკესტრის ბიბლიოთეკარმა პარტიტურა გამოიტანა და დირიჟორის პულგზე დადო. ეგყობა ნოტების გამოგანისას სამაგრი ჩამოვარდა. იწყება მეორე განყოფილება. სცენაზე გამოდის ჯანსუღი, რომელმაც არ იცის, რომ სამაგრი დაკარგულია და დგება სადირიჟორო პულგთან. დარბაზში სამარისებური სიჩუმეა. მაესგრომ ჯერ გადაშალა მუყაოს ყდა, შემდეგ საგიტული ფურცელი, შემდეგ სათაურიანი ფურცი, შემდეგ ინსტრუმენტთა სია, რასაც მოყვა ის შემცირებული ფურცლები, რაზედაც წინასწარ შევთანხმდით... აი, ასე რომ ჩავიდეს ბოლომდე, ხვალ დუშეთში დიდ-პურმარილს ვეცხრულობ, — ყურში ჩამჩურჩულა გოგი ღიპარტელიანმა.

მახსოვს, 1967 წლის 24 აპრილს, - აგრძელებს გია, - გაიმართა ჩემი პირველი სიმფონიის პრემიერა. ამ სიმფონიის ბოლოში არის ერთგაქგიანი აფეთქება... რომ აგიხსნა, მაინც ვერ მიხვდები... ჰოდა, რეპეტიციაზე ეს „აფეთქება“ რომ შესრულდა, მე თვითონ კინაღამ გადმოვარდი სკამიდან, ასევე დაემართა ბიძინა კვერნაძესაც, ხოლო ორკესტრში სიცილ-ხარხარი გაისმა.

პრემიერის დღეს დარბაზი სავსე იყო. გაუგებარი დამთხვევაა, მაგრამ ელისო ვირსალაძე უკრავდა შუმანის კონცერგს და კონსერვაგორიის დიდი დარბაზი კვლავ გადაჭედილი იყო მსმენელებით. რა თქმა უნდა, დირიჟორობდა ჯანსუღი. მამამისმა, ბაგონმა ვანიჩკამ, დიდი ამბით დაპატიჟა კონცერგზე მეგობრები — თბილისში ცნობილი პიროვნებები: ბევრ პედაგოგს არ ღირსებია იმდენი სიყვარული, ჩვენს ამაგიან მარო მასწავლებელს რომ ერგო.

ბიძინა, რაც მოიზარდა, სულ საჭესთან იჯდა. ახლა, უკვე ხანმორეული, თავის მამაზე რაგო ორჯერ უფროსი, ოჯახში, თავის ეზო-ყურეში გრიალებს.

ცოგა უფრო შორს „ბაუტია“ სიმონმა. მოოვეტერინარული ინსტიტუტი რომ გაასრულა, ერთხანს ვაზისუბნის კოლმეურნეობაში ვეტექიმად იმუშავა. მერე თავისივე ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ-მუშაკად დაბრუნდა. საკანდიდატო დაიცვა. მალე ლომთაგორის ექსპერიმენტული მეურნეობის დირექტორად დაყენებულ. ამას მოჰყვა ჯანდარის მეცხოველეობის სანაშენე მეურნეობის წინამძღოლობა, დამბადების სამინისტრო, აგროსამრეწველო კომიტეგის მეცხოველეობის მთავარი სამმართველოს, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს დეპარტამენგის უფროსობა — შეთავსებით — კოლეგიის წევრობა და მინისტრის მოადგილეობა.

ასე გაუფრინდა თითქმის შვიდი ათეული წელი. დღეს ისიც ოცდარვალარიან პენსიონერთა გვარდიის წევრია.

ჩემი თაობის ხალხს კარგად ახსოვს 1956 წლის მარგის სისხლიანი ამბები. მესამე კურსის სტუდენგმა სიმონ უშუნაშვილმა მხარი არ მოსტეხა თანაგოლებს — ისიც იმ გამოსვლების უაქტიურესი მონაწილე იყო.

ჩვენ ხშირად ვხედებოდით სოფლის მეურნეობის სამინისტროში, მაგრამ ორმოცდაათიანი წლების ტრაგედიაზე არასოდეს ვეისაუბრია. მრისხანე ორმოცდასამში ქერჩში დაღუპულმა მამამ, დავით უშუნაშვილმა, ჩვენდაუნებურად დღეს იმ მოვლენებისკენაც გაგვახედა. ბევრს ბჭობენ, რისთვის დაიღვარა მაშინ ასობით ახალგაზრდის სისხლი. ნუთუ მარგო „პიროვნების კულტი“ იყო დამნაშავე?

— ჩვენ მაშინ იმდენს სგალინზე არ ვფიქრობდით, რამდენსაც ქვეყნის, ხალხის შელახულ თავმოყვარეობაზე. სწორედ იმ პროტესტში გამოვლინდა მთელი სიძულვილი იმპერიის მიმართ, რომელსაც მხოლოდ თავისი ბედი აინტერესებდა. კრემლს, რა თქმა უნდა, არ ადარდებდა, რომ ქართველებს სულში ჩაგვაფურთხეს. მეამაყება, რომ სწორედ ჩვენმა მაშინდელმა გამოსვლებმა დაუდეს სათავე ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომელმაც, საბოლოო ანგარიშში, ძალადობისა და უსამართლობის იმპერია დაანგრია.

ეს სიმონ უშუნაშვილის სიტყვებია. დარწმუნებული ვარ, სხვებთან ერთად სწორედ ამ რწმენამ ისიც წაიყვანა გორში, რათა იქაურ თანამოაზრეებთან ისევ თბილისში დაბრუნებულიყო. გამთენიისას მცხეთასთან ყველა შეაჩერეს და განსაკუთრებით აქტიურები ღელქალაქში ხელბორკილებით დაბარუნეს.

სამი თვის შემდეგ სამშობლოს დალაგის შუხლით გაასამართლეს. „გაითვალისწინეს შემამსუბუქებელი გარემოებები, პირობითი სასჯელი მაკმარეს და... გამათავისუფლეს“.

— არასოდეს გიგრძვნია, რომ გავიწროებდნენ ან ანგარიშს გისწორებდნენ?

— წარმოიდგინე, რომ არა. მხოლოდ სამოცდაათიანი წლების ბოლოს შევიტყვე, რომ... თურმე ამ ხნის მანძილზე სულ „შუმკაზე“ ვიჯექი. უმიროზეს ერთ ჩინოსანს ჩემს ახლოლეთან როგორღაც წამოსცდენოდა, საოცარია, ეს კაცი ვერაფერში გამოვიჭირეთო.

კაცმა რომ თქვას, რაში უნდა „გამოეჭირაო“? ეს ხომ ბნელ ოთახში კაგის ძებნას ჰგავდა? სიმონ უშუნაშვილი ყოველთვის იყო და არის ადამიანი, რომელსაც სხვებზე გაეცლებით მეგად, ცოგა თავისებურად უყვარდა და უყვარს თავისი ქვეყანა.

— ხომ ასეა? — ვეკითხები.

— ასეა...

განა მარო მასწავლებლისა და დავით უშუნაშვილის შვილი სხვანაირი იქნებოდა?

სიმონ უშუნაშვილი მეუღლესთან – თამართან.

...მუკუმანში, ჭუნიაანთ უბანში, ისევ ღგას ცოგა შეკეთებულ-შელამაზებული მამისეული სახლი. სიმონისა და მისი ცოლ-შვილის სტუმრობა მარგო მეზობელ-მოკეთეებს კი არა, თითქოს იმ სახლსაც უხარია...

ელგუჯა ლეგანიძე.
გურჯაანის რაიონი.



№ 108. კვირა, 8 მაისი, 2005 წელი.

აზია და ევროპა შეშფოთებულია ჩრდილოეთ კორეის გეგმების გამო

აზიისა და ევროპის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა მოუწოდეს კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას დაუბრუნდეს ამ ქვეყნის ბირთვული პროგრამის თაობაზე მიმდინარე მოლაპარაკების პროცესს. საგარეო-პოლიტიკურ უწყებათა ხელმძღვანელების ასეთი შეშფოთება გამოიწვია იმან, რომ ფხენიანის მტკიცებით, იგი ემზადება ბირთვული ბომბის გამოცდისთვის.

აზიისა და ევროპის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა ასეთი განცხადება გააკეთეს იაპონის ქალაქ კიოტოში მას შემდეგ, რაც გავრცელდა ამერიკის დაზვერვის ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა მიმდინარეობს მზადება ბომბის გამოცდისთვის.

ამავე დროს, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტომ მოუწოდა მსოფლიო გაერთიანებას, ყველაფერი იღონოს ბირთვული გამოცდის თავიდან აცილების მიზნით.

აზია-ევროპის ქვეყნების შეხვედრაზე მიღებული ერთობლივი განცხადება, რომელსაც ხელს აწერს ამ რეგიონის 38 ქვეყნის წარმომადგენელი, მოუწოდებს ფხენიანს დაუბრუნდეს მოლაპარაკების მაგიდას.

„მინისტრები მოუწოდებენ კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას, დაუყოვნებლივ დაუბრუნდეს ექვსმხრივ მოლაპარაკებას და მიიღოს სტრატეგიული გადაწყვეტილება, რათა მშვიდობიანი დიალოგის გზით მიაღწიოს კორეის ნახევარკუნძულის უბირთვო სტატუსს“, – ხაზგასმულია განცხადებაში.

როგორც ცნობილია, ფხენიანი უკვე ერთი წელია არ მონაწილეობს მოლაპარაკებაში.

თავის მხრივ, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მეთაურმა მოჰამედ ბარადეიმ აღნიშნა, რომ ბირთვული გამოცდა მოიგანს „კატასტროფულ შედეგებს გარემოსთვის“.

ამერიკელთა დაზვერვის მტკიცებით, თანამგზავრიდან მიღებულ ფოტოსურათებზე ჩანს, თუ როგორ მიმდინარეობს ატომური ბომბის გამოცდისთვის მზადება კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. კერძოდ, ფოტოებზე აღბეჭდილია სამშენებლო სამუშაოები იმ ობიექტებზე, რომლებშიც, შესაძლოა განხორციელდეს მიწისქვეშა გამოცდები. მაგრამ, როგორც პენტაგონის წარმომადგენელმა განაცხადა, ამერიკის დაზვერვის შეფასებით, ჯერჯერობით არ შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ასეთი გამოცდა აუცილებლად განხორციელდება.

ერთ-ერთი ვერსიით, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, შესაძლოა, უჩვენებდეს მთელ მსოფლიოს ასეთ აქტიურობას იმ მიზნით, რომ მოიპოვოს ახალი არგუმენტები ამერიკის შეერთებულ შტატებთან მოლაპარაკებისთვის.

არჩევნების შემდეგ ბლერის მთავრობაში ცვლილებებია

დიდ ბრიტანეთში გამართულ საპარლამენტო არჩევნებში ლეიბორისტული პარტიის გამარჯვების შემდეგ, პრემიერ-მინისტრი გონი ბლერი აყალიბებს ახალ მთავრობას.

ფინანსთა მინისტრმა გორდონ ბრაუნმა, ბრიგანეთის საგარეო-პოლიტიკური უწყების მეთაურმა ჯეკ სტრომ, შინაგან საქმეთა მინისტრმა ჩარლზ კლარკმა და ვიცე-პრემიერმა ჯონ პრესკოტმა შეინარჩუნეს თანამდებობები.

კაბინეტში დაბრუნდა დევიდ ბლანკეტი, რომელმაც დაიკავა შრომისა და პენსიათა მინისტრის პოსტი. რამდენიმე თვის წინ ბლანკეტს მოუწია გადადგომა შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტიდან მის პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული სკანდალის გამო.

პატრისია ჰიუიგი სათავეში ჩაუდგება ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, მისი წინამორბედი ჯონ რიდი კი თავდაცვის მინისტრის პოსტზე შეცვლის ჯეფ ჰუნს. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, გახდება თემთა პალატაში ლეიბორისტთა ფრაქციის ლიდერი.

ჩრდილოეთ ირლანდიაში შექმნილი ვითარებისთვის პასუხისმგებელი მინისტრის პოსტს დაიკავებს პიტერ ჰეინი.

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს ამიერიდან დაერქმევა მწარმოებლობის, ენერგეტიკისა და მრეწველობის სამინისტრო, რომელსაც ალან ჯონსონი უხელმძღვანელებს.

მინისტრთა კაბინეტში გამოჩნდებიან ახალი ფიგურები: დევიდ მილიბენდი, დეს ბრაუნი და ჯონ ჰატონი. პირველი კულტურებს გაუწევს ადგილობრივი გადასახადების, თემებისა და თვითმმართველობის საკითხებს, დანარჩენი ორი კი განაცხადეს, რომ ხელს აწერს ამ რეგიონის 38 ქვეყნის წარმომადგენელი, მოუწოდებს ფხენიანს დაუბრუნდეს მოლაპარაკების მაგიდას.

„მინისტრები მოუწოდებენ კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას, დაუყოვნებლივ დაუბრუნდეს ექვსმხრივ მოლაპარაკებას და მიიღოს სტრატეგიული გადაწყვეტილება, რათა მშვიდობიანი დიალოგის გზით მიაღწიოს კორეის ნახევარკუნძულის უბირთვო სტატუსს“, – ხაზგასმულია განცხადებაში.

როგორც ცნობილია, ფხენიანი უკვე ერთი წელია არ მონაწილეობს მოლაპარაკებაში.

თავის მხრივ, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მეთაურმა მოჰამედ ბარადეიმ აღნიშნა, რომ ბირთვული გამოცდა მოიგანს „კატასტროფულ შედეგებს გარემოსთვის“.

ამერიკელთა დაზვერვის მტკიცებით, თანამგზავრიდან მიღებულ ფოტოსურათებზე ჩანს, თუ როგორ მიმდინარეობს ატომური ბომბის გამოცდისთვის მზადება კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. კერძოდ, ფოტოებზე აღბეჭდილია სამშენებლო სამუშაოები იმ ობიექტებზე, რომლებშიც, შესაძლოა განხორციელდეს მიწისქვეშა გამოცდები. მაგრამ, როგორც პენტაგონის წარმომადგენელმა განაცხადა, ამერიკის დაზვერვის შეფასებით, ჯერჯერობით არ შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ასეთი გამოცდა აუცილებლად განხორციელდება.

ერთ-ერთი ვერსიით, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, შესაძლოა, უჩვენებდეს მთელ მსოფლიოს ასეთ აქტიურობას იმ მიზნით, რომ მოიპოვოს ახალი არგუმენტები ამერიკის შეერთებულ შტატებთან მოლაპარაკებისთვის.

ერაყი სასაკლაოდ იქცა

17 კაცი დაიღუპა და დაახლოებით 30 დაიჭრა ბაღდადში ბომბის აფეთქების შედეგად.

აფეთქება მოხდა ადგილობრივი დროით 11 საათსა და 05 წუთისთვის. მოთარეშეთა სამიზნე იყო კერძო დაცვის სამსახურის კოლონა, რომელიც თაჰრირის მოედნისკენ მიემართებოდა. აფეთქების შედეგად სამი ჯიპშნიანი მანქანა მთლიანად განადგურდა.

ერაყის პოლიცია იტყობინება, რომ მანქანებიდან გამოიტანეს ოთხი უცხოელის გვამი, გარდა ამისა,დაღუპულია კიდევ 13 ერაყელი – შემთხვევითი გამვლელები.

ერაყში ახალი მთავრობის ჩამოყალიბების მომენტიდან მოთარეშეთა თავდასხმებს ემსხვერპლა სულ ცოტა 250 კაცი.

ქვეყანაში გამეფებული ამ ძალადობის ფონზე, ერაყის ახალი პრემიერ-მინისტრი იბრაჰიმ ჯაფარი ცდილობს დაითანხმოს მუსლიმანი-სუნიტები მინისტრთა კაბინეტში მუშაობისთვის.

პარასკევს ბაღდადიდან სამხრეთით მდებარე ქალაქ სუვეირის ბაზარში ბომბის აფეთქების შედეგად დაიღუპა 16 კაცი. ხუთშაბათს 23 ადამიანი ემსხვერპლა ტერორისტი-კამიკაძის მიერ ბაღდადის სამხედრო ობიექტზე განხორციელებულ თავდასხმას. ოთხშაბათს კი სულ ცოტა 50 კაცი მოკლეს ერაყის ქალაქ ერბილში ახალწვეულ პოლიციელებზე მომხდარი თავდასხმის დროს.

◎ სარეკორდო

მთაწმინდაზე სირბილით იარ!

თბილისის ფუნიკულიორი მსოფლიო სარეკორდო არბენების არენა ხდება. შეჯიბრებები აქ 15 მაისს, კვირას, 11 საათიდან გაიმართება.

ქართული მთარბენობის ტრადიციის აღდგენა და ზემოთ აღნიშნული სარეკორდო ასპარეზობის დამკვიდრება კავშირის „გიორგის“ თაოსნობაა, რომელიც თბილისის მერიის (სპორგის საქალაქო სამსახურის), საქართველოს ფიზიკურზრდისა და სპორგის აკადემიის (მძლეოსნობის კათედრის), საქართველოს თამამსვლელთა ფედერაციის (გიორგი ნიკოლაძის სახელობის ალპური კლუბის) და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციათა გაერთიანებული ძალისხმევით ხორციელდება.

სარეკორდო ასპარეზი (ფუნიკულიორის ქვედა სადგურიდან ზედა სადგურამდე) 501 მეგრის სიგრძის უწყვეგი საფეხურისაგან შედგება. მოგეხსენებათ, ჩვენს ფუნიკულიორს 9 აპრილს ასი წელი შეუსრულდა. სწორედ აპრილის უმნიშვნელოვანეს თარიღებს მიეძღვნა მეორე საცდელ-საჩვენებელი ასპარეზობა, რომელშიც უპირველესად თბილისის სამხაგვრო ლიცეუმის მოსწავლე ნუგზარ არაბული, ფეხბურთელი შავლეგ მიქაბერიძე, ვეტერანი მოცურავე და მოჭიდავე ალეკო თუთბერიძე, საგარეჯოელი მძლეოსანი დავით დარბაისელი და ფერეიდნელი ქართველი ალი (ალექსი) ასლანიშვილი ჩაებნენ.

საუკეთესო შედეგი 25 წლის შავლეგ მიქაბერიძემ აჩვენა. ფუნიკულიორის 1215 საფეხური მან 9 წუთში აირბინა. საგულისხმოა, პირველი საცდელი-საჩვენებელი არბენისას (21.XI.04) თადარიგის მაიორმა გიორგი ვამაყმაძემ ეს დაბრკოლება 12 წუთსა და 24 წამში დაძლია. მეორე ცდისას კი 11 წუთი და 55 წამი მოანდომა.

ნუგზარ არაბულმა და დავით დარბაისელმა თითქმის ერთნაირი შედეგი აჩვენეს (10 წთ.) ოდნავ უარესი – ალეკო თუთბერიძემ.

აქვე დავძენთ, რომ ბაგონი ალეკო 68 წლისაა და წლეულ ლეგენდარული ქართველი მარათონელის – მემედ ბედიას მიერ ბათუმის შუქურიდან ფოთის შუქურამდე გადაცურვის (60 კმ) გამეორებისთვის ემზადება.

მთაწმინდის სპორგული არბენების და ტურისტული ასვლების სასაკეთოდ მედიის („საქართველოს რესპუბლიკა“, „სვობოდნაია გრუზია“, „რუსთავი-2“, მთავარი რადიო, პრაიმ ნიუსის სააგენტო, ეურნალი „სარკე“, „თბილისელები“...) პუბლიკაციებმა და გადაცემებმა ჩახს, მოხალისეთა და გულშემატკივართა რიცხვი ამრავლა. ამჯერადაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებები კარგად იყო წარმოდგენილი („არგუმენგი და ფაქგები“ დაწყებული – ალისა კუპრიანხჩუკი, „საქართველოს თვალით“ – დავით ხიბანიშვილი და ამერიკის და რუსეთის ტელესააგენგოებით – გიორგი ფეიქრიშვილი – დამთავრებული).

შორით მოსულად თუ ფერეიდნელ ქართველს – ირანის ფერეიდანის სოფელ ჩუღურეთში დაბადებულ და გაზრდილ ალი ასლანიშვილს ჩავთვლით, მეორე-მესამე ადგილი ცაგერის რაიონის სოფელ ღვირიმის მკვიდრ 20 წლის ვარლამ ხეცურიასსა და ოზურგეთის რაიონის სოფელ ბახვის (ოქროს ქედის) მკვიდრ 80 წლის ავთანდილ ნიკოლაიშვილს ეკუთვნით.

ყველაზე პატარა ამ ასპარეზობაში მონიაკვების პირშმო – 8 თვის სალომე იყო – ხან დედას, ხან მამას ჩახუტებულმა ფუნიკულიორის შუა ბაქანს მიაღწია და მამადავითის ეკლესიის გვერდით მშობლიურ ქალაქს დაუბრუნდა. ყველაზე ძმიმე – 130 კილოგრამი წონის ძალოსანი, გინესის მსოფლიო რეკორდსმენი, კაცი-ღორკომოგივად წოლებული, ბათუმელი ნუგზარ გოგრაჭაძე გახლდათ. ამჯერად მან ასარბენი გრასის მხოლოდ ნახევარი აიარა და... ოფლად დაიღვარა. ხოლო ერთი ოჯახიდან გამოსულთა სიმრავლეით ყველა კოპლაგაძეების, ნიკოლაიშვილებისა და სალუქვაძეების სანათესაომ დაჯაბნა. სასგარგო აღგილიდან ერთმანეთის მიყოლებით ავთანდილ კოპლაგაძის ოჯახის სამი წევრი – მეუღლე, ორი შვილი და ზემოაღნიშნული სანათესაოს შვიდი წევრი გამოვიდა...

ომის ვეტერანებს წარმოადგენდა მერაბ ბართაია; მოკვეთილი გერფისა და 18-გზის თავის ქალის დაზიანების მიუხედავად, მარჯვენა ხელით ჯოხს დაყრდნობილმა 28-33-გრადუსიანი დახრილობის კიბე 30 წუთში დაძლია!

ისიც მინდა გაუწყოთ, რომ რუსთაველი მერაბ ბართაია და მისი მეგობარი, ასევე ომის ვეტერანი, ანზორ ქავთარაშვილი წლეულს ასეთივე სულისკვეთებით შემოილიან სრულიად საქართველოს. უფრო მეგიც, მოგან ამ ექსპედიციაში მონაწილეობას მიიღებს მერაბის უმცროსი ვაჟი, 10 წლის გიორგი.

მეორე საცდელ-საჩვენებელი ასპარეზობის შედეგები იმის საწინდარია, რომ ახლო ხანში, მთაწმინდის მსოფლიო სარეკორდო სპორგული არბენები ნიუიორკის ცათამბჯენი ემპაირ სგეიტ ბოლდინგის სახელგანთქმულ მსოფლიო სარეკორდო არბენების სადარი, ერთ-ერთი უპოპულარესი ასპარეზობა გახდება.

15 მაისს, კვირას, დილის 11 საათიდან თბილისის მსოფლიო სარეკორდო სპორგული არბენები იწყება. იგი ყველა ასაკის მამაკაცებისა და ქალებისთვის უთუოდ საინტერესო და სასარგებლო ასპარეზობაა, რომელსაც, როგორც წესი, დამარცხებული არ ეყოლება, ვინაიდან, როგორც ცნობილი ქართველი ექიმი და მთამსვლელი იოსებ ასლანიშვილი წერდა, ასეთი ასვლებით ადამიანს უგყუარი სამედიცინო-ფსიქოლოგიური დასკვნა ეძლევა, მისთვის საჩინო ხდება – რა გკავა, რა არ გკავა და რა შეუძლია.

სპორგული ასვლების პარალელურად (მამადავითის ეკლესიის და მთაწმინდის პანთეონის ბილიკით) თავისუფალი გურისგული ასვლები გაიმართება. დაწესებულია მრავალი პრიზი და საჩუქარი. იქმნება ასპარეზობის ემბლემა, მთაწმინდის გრაფიკული რუკა, ფერადი პლაკატი „მთაწმინდა და მთაწმინელები“ და ა. შ.

დაინტერესებულ სპონსორთა თუ ქველმოქმედთა ყოველი საქმიანი წინადადება მადლიერებით მიიღება.

ასპარეზობის მოსურნეთა ჩაწერა გრძელდება! ჩვენი მისამართია: საქართველოს ფიზიკურზრდისა და სპორგის აკადემია, მძლეოსნობის მანეკი – მძლეოსნობის კათედრა. ტელეფონები – 22-63-97, 899-55-22-52. ასპარეზობის პრესცენტრი – 68-11-75, 893-17-23-42, ელ ფოსტა henrykypra@gol.ge.

გვანჯი მანია.

„გიორგი“ კავშირის სააგენტო.

◎ ჭადრაკი

ზურაბ აზმაიფარაშვილი იმსაჯებს

ორმა უმსხვილესმა ბულგარულმა კომპანიამ – „მობიტელმა“ (მობილური კავშირი) და „კაისა ჩეს მაგუმენტმა“ ერთობლივი ძალებით დააფუძნეს ახალი ყოველწლიური საერთაშორისო საჭადრაკო შეჯიბრება, რომელსაც ე.წ. სუპერტურნირების კატეგორია მიენიჭა.

პირველ ასეთ ტურნირში (XX კატეგორია, 11 მაისიდან 22 მაისამდე) მონაწილეობისთვის მიწვევა გაეგზავნა მსოფლიოს ექს-ჩემპიონ გარი კასპაროვს, მაგრამ ამასობაში გამოცხადდა, რომ მოსკოველი დიდოსტატი სერიოზულ ასპარეზობებში თამაშს აღარ აპირებს და დროს მთლიანად პოლიტიკურ საქმიანობას მოანდომებს.

სოფიის პირველ სუპერტურნირში, რომელიც ორ წრედ გაიმართება, მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადეს მსოფლიო რეიტინგში მეორე ნომერმა ვიშვანათან ანანდმა (ინდოეთი), მსოფლიო ჩემპიონმა „კლასიკურ ჭადრაკში“ ვლადიმირ კრამნიკმა (რუსეთი), ვესელინ ტოპალოვმა (ბულგარეთი), მსოფლიოს 2001 წლის ჩემპიონმა ფიდეს

ვერსიით რუსლან პონომარიოვმა (უკრაინა), მსოფლიოს 2004 წლის ვიცეჩემპიონმა ფიდეს ვერსიით მიიკლ ადამსმა (ინგლისი) და იუდით პოლგარმა (უნგრეთი).

სოფიის ასპარეზობა მესამე წლევანდელი სუპერტურნირი იქნება ვეიკ-ანზეესა (გაიმარჯვა პეტერ ლეკომ) და ლინარესის (პირველი პრიზი კასპაროვმა მოიპოვა) შემდეგ.

საინტერესოა, რომ ახალი დებულებით მოჭადრაკეებს მსჯავის ნებართვის გარეშე ყიიმზე შეთანხმების ნება არა აქვთ, არბიგრად კი ზურაბ აზმაიფარაშვილია მიწვეული.

◎ სემინარი

კენპო-კარატე ქამრებს არიგებს

საქართველოში რვა წლის წინათ დაარსდა ამერიკული კენპო-კარაგეს ასოციაცია, რომლის პრეზიდენგი გახლავთ აღმოსავლური ორთაბრძოლების პროფესორი, ხელჩართულ ბრძოლაში ევროპისა და საბჭოთა კავშირის ორ-ორგზის ჩემპიონი, მრავალი საერთაშორისო გურნირის გამარჯვებული, VI დანის მფლობელი გიორგი ჩარგეიშვილი. ამ სახეობაში დღეისთვის ჩვენთან 600-მდე ქალ-ვაჟი ვარჯიშობს. უშუალოდ ბაგონ გიორგის ორი ევროპის ჩემპიონი, აგრეთვე, საერთაშორისო გურნირებისა და საქართველოს ჩემპიონაგების მრავალი პრიზიორი ჰყავს აღზრდილი. შეგირდებთან, ასევე, ნაყოფიერად მუშაობენ მწვრთნელ-ინსგრუქგორები – გურგენ ზურაბაშვილი და გიორგი ქოროღლიშვილი.

ამას წინათ თბილისში გაიმართა ერთღღიანი სემინარი კენპო-კარაგეში. ახალგაზრდა სპორგსმენებმა, ასე ვთქვათ, გამოცდები ჩააბარეს კუმიგესა და კაგამი. 50 მონაწილედან სხვადასხვა ფერის ქამარი (გარდა შავისა) 26-მა სპორგსმენმა დაიმსახურა.

– ჩვენი მიზანია, საზოგადოებას ყოველმხრივ განვითარებული ადამიანი აღვუზარდოთ, – მითხრა კენპო-კარაგეს ასოციაციის პრეზიდენგმა, – მთავარი ხელ-ფეხის ქნევა და აგრესია არ არის. თითოეულ სპორგსმენს საბრძოლო ხელოვნებასთან ერთად კაცობას ვასწავლით, სიყვარულს ვუნერგავთ, ინგელექგს ვუმაღლებთ. სანამ ამგვარ სრულყოფილებას არ მიაღწევენ, შავ ქამარს არ ვანიჭებთ. ყურადღებას ვაქცევთ, როგორი ოჯახიდან მოდის, შინ და გარეთ როგორ იქცევა, ცხადია, სპორგულ ოსგატობასთან ერთად.

– საერთაშორისო გურნირებში თუ მონაწილეობთ?

– უსახსრობის გამო მრავალ ნიჭიერ სპორგსმენს ვკარგავთ. რადგან შეჯიბრებებზე ვერ მივემგზავრებით, დიდია ათლეგთა მიგრაცია. რამდენიმე წლის წინათ მსოფლიო ჩემპიონაგზე მიგვიწვია მე-10 დანის მფლობელმა აკადემიკოსმა უდრენდ პარკერმა. ეს ის პარკერია, რომელმაც, ფაქგობრივად, გზა გაუხსნა ფილმებისკენ ბრიუს ლის. საგულისხმოა ისიც, რომ პარკერის მიერ ორგანიზებულ შეჯიბრებებში ოთხჯერ გახდა მსოფლიო ჩემპიონი ჩაკ ნორისი. ჩვენ კი ერთხელ ვერ მოვახერხეთ ასპარეზობა.

სამწუხაროდ, ვერც წლეულს გავიმარჯვებთ მნიშვნელოვან შეჯიბრებებში. ერთადერთი, ალბათ, ხელჩართულ ბრძოლაში ევროპის ჩემპიონაგზე გამოვალთ, რომელსაც აგვისგომი მოსკოვი უმასპინძლებს. ვეცდებით, გულშემატკივართა იმედები გავამართლოთ.

ესაუბრა
ლეძსო ციინცაძე.

◎ სპორტულ ორბიტაზე

ლემპარდი ინგლისში საუკეთესოა

ბრიტანელმა ჟურნალისგებმა ლონდონის „ჩელსისა“ და ინგლისის ნაკრების ნახევარმცველი ფრენკ ლემპარდი მიმდინარე სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

სხვა მოთამაშეებთან პაექრობაში ლემპარდმა ხმების 90 პროცენგი დააგროვა და გადაუსწრო თავისსავე თანაგუნდელს, „ჩელსის“ კაპიგანს ჯონ გერრის. ამ საპაგო წოდებისთვის იბრძოდა „ლივერპულის“ ფეხბურთელი ჯეიმი კარაგერიც. სხვათა შორის, ამ ათი დღის წინათ ასეთივე გამოკითხვა პრემიერ-ლიგის მოთამაშეებს შორის მოიწყო ინგლისის პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციამ. მაშინ ტერიმ პირველი ადგილისთვის ბრძოლაში სწორედ ლემპარდს გადაუსწრო.

ლემპარდმა დიდი წვლილი შეიგანა, რათა ბოლო 50 წელიწადში პირველად „ჩელსი“ ინგლისის ჩემპიონი გამხდარიყო. ის ხომ „არისგოკრაგების“ საუკეთესო ბომბარდირია – 18 გოლი.

ფრენკ ლემპარდი მესამე ინგლისელია, ვინც ბოლო ხანებში საპაგო წოდება მოიპოვა – 1994 წელს ის ალან შირერს მიანიჭეს, 2001 წელს კი – დეი შერინგემს.

დანარჩენ წლებში პეგემონია „არსენალის“ ფრანგ ფეხბურთელებს ეკუთვნოდათ. 2002 წელს პირველობა „მეექვემეხე“ რობერ პირესს მიაკუთვნეს, 2003 და 2004 წლებში კი მის თანამემამულესა და თანაგუნდელს ჟიერი ანრის.

დამნაშავე ჩოგბურთი ყოფილა

ავგორობლამ „ფორმულა-1“ მსოფლიო ჩემპიონატის მორიგ ეგაპზე „ესპანეთის გრან-პრი“ საჯინიბო „მაკლარენის“ ბოლიდის საჭეს ისევ მიუჯდება კოლუმბიელი ხუან პაბლო მონგოია, რომელმაც წინა ორი ბრძოლა გამოგოვა ჩოგბურთის თამაშის დროს მიღებული გრავმის გამო, თუმცა ეგონათ, რომ მან მხარი მოგოციკლეგიდან გადმოვარდნის დროს დაიზიანა. მისი ჩოგბურთით გაგაცების შესახებ აქამდე არავინ იცოდა.

„პაგოსსნად უნდა ვიღიარო, რომ ძალზე უცნური იყო სახლში ჯდომა და რბოლის ტელევიზორით ყურება. ბედნიერი ვარ, რომ შეჯიბრებებს ვუბრუნდები“, – განაცხადა კოლუმბიელმა პილოგმა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესყიდვაზე

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს შესრულების ადგილი
1	სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაო	ქ. ზუგდიდი, სტალინის ქ№5
2	სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაო	მარნეული, ეროკლეს ქუჩის №6

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა საგენდერო კომისიას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოუდგინონ ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისურ ენაზე, ქართულ ენაზე ნოგარიული წესით დამოწმებული თარგმანის დართვით) **2005 წ. 23-24 მაისს, მისამართზე: თბილისი (0146), რუსთაველის გამზ. №30, ოთახი №62ა, ტელ. 758313.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირებისთვის:

1. ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული ბიუროდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
2. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
3. ცნობას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არა არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისთვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
4. ცნობას იურიდიული პირის ხელმძღვანელის (დირექტორი, პრეზიდენტი) იდენტიფიკაციის შესახებ (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან რეგისტრაციის შესახებ)
5. ლიცენზია

ფიზიკური პირებისთვის:

1. ცნობას ქმედუნარიანობის შესახებ;
2. ცნობას, შინაგან საქმეთა სამინისტროდან რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და შესყიდვის მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის.
3. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
4. შესაბამისობის სერტიფიკატი.
5. მეწარმის სარეგისტრაციო მოწმობა.
6. ლიცენზია.

საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე.

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაიელის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასახელებული იქნება პრეტენდენტად მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

საგენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემათ მათ მიერ საგენდერო მოსაკრებელის 500 ლარის გადახდის შემდგომ, მისამართზე – **საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, რუსთაველის პროსპექტი 30, ოთახი №62ª, 2005 წლის 25-26 მაისს 18⁰⁰ საათამდე.**

საგენდერო მოსაკრებელის საბანკო რეკვიზიტებია: ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის საოლქო ინსპექცია ა/ა №200122900, ეროვნული ბანკი კოდი 220101107, სახაზინო კოდი 300033133. ბანკის შემოსავლის ორდერში აუცილებლად უნდა მიეთითოს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საგენდერო მოსაკრებელი (500 ლ.)

პრეტენდენტის საგენდერო წინადადებები უნდა შედგეს შესყიდვის ობიექტის მიხედვით. პრეტენდენტები წარმოადგენენ ერთ საგენდერო წინადადებას დახურული კონვერტით. ერთ ლოგზე გამოცხადდება მხოლოდ ერთი გამარჯვებული.

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ საკონტაქტო პირს – ზაზა ჭაბუკიანს, **ტელეფონის ნომერი – 75-82-91, რუსთაველის გამზირი 30, ოთახი 96.**

დამატებითი ინფორმაცია

სახელმწიფო შესყიდვები რეგულირდება შემდეგი საკანონმდებლო აქტებით:

საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;

დებულება „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“;

საქართველოს კანონი „საქართველოს აღმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დამატებების შეტანის შესახებ“.

ტენდერის პროცედურებში საქართველოსა და უცხო ქვეყნის პრეტენდენტების მონაწილეობის შემთხვევაში საქართველოს პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილ საგენდერო წინადადებების ფასის მიმართ გამოიყენება პრეფერენციული შეღავათი 15 პროცენგის ფარგლებში. პრეფერენციული შეღავათი გამოიყენება მხოლოდ ფასის კრიტერიუმით შეფასებისას და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს ტერიგორიაზე რეგისტრირებული იურიდიული და ფიზიკური პირის მიერ შემოთავაზებული საგენდერო წინადადების ფასი აღემატება უცხოელი პრეტენდენტის საგენდერო წინადადების ფასს არა უმეტეს 15 პროცენტისა.

პრეფერენციული შეღავათი ენიჭება საქართველოს ტერიგორიაზე რეგისტრირებულ მეწარმეებს, თუ მათ მიერ შემოთავაზებული საქონელი წარმოებულია საქართველოს ტერიგორიაზე, რაც დადასტურებული უნდა იქნეს შესაბამისი შესყიდვის ობიექტის წარმოშობის ქვეყნის სერტიფიკაგით.

სახელმწიფო შესყიდვების პროცედურის განხორციელების დროს წარმოქმნილი პრეტენზიები გასაჩივრდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 24¹ მუხლის, „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების 33-37-ე მუხლებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. იმ პრეტენდენტებს, რომლებიც გადაიხდიან საგენდერო მოსაკრებელს, გადაეცემათ საგენდერო დოკუმენტაცია და განაზრახვათა შესახებ ხელშეკრულება.

2005 წლის 28 მაისს გაიმართება სააქციო საზოგადოება „ამქარის“ აქციონერთა საერთო კრება

დღის წესრიგი

1. დირექტორის მიმდინარე ანგარიშის მოსმენა;
2. სამეთვალყურეო საბჭოს არჩევა;
3. სხვადასხვა.

მისამართი: ქ. ლანჩხუთი, ს/ს „ამქარი“.

ეროვნულ ბიბლიოთეკა „ეთერი“ ეფიუნოზი

წიგნების, გაზეთების, ჟურნალების, ავტორეფერატების, ბოკლეტების, ბროშურების, ცხრილების, ეტიკეტების, სავიზიტო ბარათების ქართული, რუსული, ინგლისური ენებზე დაკაბადონება; ინფორმაციის ჩაწერა დისკეტებზე, CD დისკებზე, გრაფიკული გამოსახულებების, სურათების ლაზერული ბეჭდვა.

ტელ: 48-52-05, 899 97-29-33
Email: metekhi_333@posta.ge

საქართველოს რესპუბლიკა

№ 108. კვირა, 8 მაისი, 2005 წელი.

ყველაფერი ყველაფერზე

ჯეკ ოსტეთოდ

კანის კინოფესტივალის მთავარ კონკურსში რუსეთის არც ერთი ფილმი არ იქნება. საორგანიზაციო კომიტეტის ცნობებით, სურათების რაოდენობით ლიდერი გახდა აშშ, რომელმაც კინოფორუმზე 4 სურათი წარადგინა. საფრანგეთი სამი ფილმით, მეორე ადგილზეა. კიდევ 3 ლენტი საფრანგეთის, გერმანიის, ბელგიისა და ერაყის ერთობლივი ნაწარმოებია. საერთო ჯამში, მთავარი საკონკურსო პროგრამა 20 სურათს მოიცავს – შარშანდელზე ორით მეტს. „სამაგიეროდ“, წლევანდელ მაყურებლებს მხოლოდ ერთი დებიუტი ელით – შარშანდელის 12 სადებიუტო სურათის საპირისპიროდ. ლაპარაკია ამერიკელი მსახიობის ტომი ლი ჯონსის ნამუშევარზე (ის კარგად ცნობილია ბლოკბასტერის „ადამიანები შავებში“ და სხვა ფილმების მიხედვით).

კინოკრიტიკოსთა აზრით, „ოქროს პალმის რგოსათვის“ (ფესტივალის მთავარი პრიზი) ბრძოლა ხელეწიფებათ თანამედროვე კინემატოგრაფის ისეთ თვალსაჩინო ოსტატებს, როგორც ლარს ფონ ტრიერი, ვიმ ვენდერსი, დევიდ კრონენბერგი, გას ვან სენტი და ჯიმ ჯარმუშია. 58-ე საერთაშორისო კინოფესტივალის ჟიურის თავმჯდომარე გახდება სახელგანთქმული რეჟისორი ემირ კუსტურიცა.

სრულმეტრაჟიანი მხატვრული სურათების კონკურსგარეშე პროგრამას რაც შეეხება, კინომანები ნახავენ „ვარსკვლავური ომების“ მორიგ ეპიზოდს – „სიკეთის შურისძიებას“, რომელიც, რაღა თქმა უნდა, ამერიკელმა რეჟისორმა ჯორჯ ლუკასმა დადგა.

ჯეკი ჩანი სამზოკადოებრივ პუშპობას შეუდგა

ცნობილმა ჰონკონგელმა მსახიობმა ჯეკი ჩანმა ვიზიგი დაიწყო კამბოჯასა და ვიეტნამში, გაეროს კეთილი ნების ელჩად. კამბოჯაში მოგზაურობისას მას განმრასული აქვს ჩრდილო-დასავლეთი პროვინციის, ბაგამბანგის მონახულება, სადაც შეხვდება ნაღმებისგან დაშავებულ ადგილობრივ მცხოვრებთ. კამბოჯაში, 2000-2004 წლების მანძილზე, ბომბების, ნაღმებისა და სხვა ჭურვების აფეთქებათა შედეგად დაიღუპა ან დაიჭრა 4200-მდე კაცი. მათ შორის 25 პროცენტი 18 წლამდე ასაკის ბავშვები და მოზარდებია.

ჯეკი ჩანს აკრეთვე დაგეგმილი აქვს შეხვედრა კამბოჯის მეფესთან ნოროდ სიამონისთან. მერე კეთილი ნების ელჩი ვიეტნამში გაემგზავრება. იქ ჯეკი ჩანი მონახულებს საავადმყოფოებსა და შიდსის სამკურნალო ცენტრებს, მათ რიცხვში ჰანოის ერთ პაგოდას, სადაც ბუდისტები ინფიცირებულ ბავშვებზე მრუნავენ.

ცენზიკა მოსალის სადასჯოზე

ამერიკელ ბავშვებს კინოფილმების მავნე ზემოქმედებისაგან დაიფარავენ უახლესი ტექნიკური მიღწევების დახმარებით. აშშ-ის კონგრესმა ყოფითი ტექნიკის მწარმოებლებს ისეთი სპეციალური ფილტრების დაყენების ნება დართო, რომლებიც ლენტებიდან ძალადობის სცენებს, სექსუალურ ეპიზოდებსა და სალანძღავ-საგინებელ სიტყვებს ამოჭრიან.

მსგავსი ფილტრების შემცველ ვიდეოაპარატურას უკვე უშვებენ, თუმცა კინოსტუდიებმა მწარმოებლებს სასამართლოში უჩივლეს – აქაოდა, ჩვენს უფლებებს არღვევენო. კონგრესის გადაწყვეტილება, ამგვარად, ბოლოს მოუღებს საქმის გარჩევებს.

ჭაკენცინოლებს დოკუმენტური კინო შეუყვარდათ

ახალ დოკუმენტურ ფილმს „ნაცისტური ოქრო არგენტინაში“, რომელიც ინტერვიუს შეიცავს ჰიტლერელი პროპაგანდის მინისტრის იოზეფ ჰებელსის პირად მდივანსა და ომის შემდეგ ლათინურ ამერიკაში გაქცეული ფაშისტების შთამომავლებთან, არგენტინაში დიდი წარმატებით უჩვენებენ.

საერთოდაც, კრიტიკოსები აღნიშნავენ დოკუმენტური კინოს გაუგონარ ბუმს ამ ქვეყანაში. არგენტინისათვის მაყურებელთა რეკორდულმა რიცხვმა ნახა სურათი ტანგოს მოცეკვავე ქალზე, რომელიც კარიერის პიკზე მონაზვნად აღიკვეცა. წარმატებით გადის ლენტი სამხედრო დიქტატურათა ჟამს რეპრესირებულთა თუ გამქრალთა ნათესავ ქალებზე, რომლებიც ხუთშაბათობით იკრიბებიან ბუენოს-აირესში პლასა დე მაიოზე.

„ჯოკობრიობის სოფლეთესი ნიგნი“



ესპანეთში გრძელდება მზის სინათლეზე რომან „დონ კიხოტის“ გამოსვლის 400 წლისთავთან დაკავშირებული ზეიმობები. ერთხანს ესპანეთის დედაქალაქად მყოფ ვალიადოლიდში გაიხსნა რესგავრირებული სახლი, სადაც მიგელ დე სერვანტესი ცხოვრობდა და წიგნზე შუშაობდა. მაისში გაიხსნება დულცინეას მუზეუში ქალაქ ტობოსში, სადაც სერვანტესის რომანის გმირის, დულცინეა ტობოსელის პროტოტიპად ქცეული ქალი ცხოვრობდა.

მთელი წელიწადია, რაც მადრიდსა და მწერლის მშობლიურ ქალაქში – ალკალა დე ენარესში მიმდინარეობს იუბილეთსან დაკავშირებული ღონისძიებები. სხვადასხვა ქვეყნის უდიდეს მწერალთა შორის ჩაგარებული ამასწინანდელი გამოკითხვის თანახმად, კაცობრიობის ისტორიაში საუკეთესო წიგნად ცნეს რომანი „მახვილგონიერი ჰიდალგო დონ კიხოტ ლამანჩელი“. მისდამი მიძღვნილმა ზეიმობებმა, ესპანეთში ტურისტთა ნაკადის გვარიანი მოზღვავება გამოიწვია, ხოლო წიგნის ახალი საიუბილეო გამოცემები უმარმაზარი ტირაჟებით საღდება.

ხრუშჩოვმა მისი გვარის ჯუღაშვილად შეცვლა ბრძანა

ვასილ სტალინის უკუღმართი ბედისწერა

შმჯობესია უბრალო მოკვდავი იყო, ვიდრე ბელადის შვილი! ასეთ დასკვნამდე მიდიხარ, როდესაც სტალინის ვაჟიშვილის ვასილის საშინელი ბედუკუღმართობის ამბავს გაიგებ.

ის მამის დასაფლავებაზეევე ამბობდა, რომ სტალინი თავისი სიკვდილით არ მომკვდარა. მისი ნათქვამის გამო ჩრდილი სულ უფრო მეტად აღგებოდა ბერიას, მალენკოვს, ხრუშჩოვს. ხოლო როცა ვასილმა განაცხადა, მზად ვარ უცხოელ კორესპონდენტებს შევხვდეო, ის დააპატიმრეს. 1953 წლის 28 აპრილს, მამის გარდაცვალებიდან ორი თვის შემდეგ დაიწყო მისი ხანგრძლივი პატიმრობა, მერე კი ყაზანში გაძასახლება, რომელიც 1962 წ. 19 მარტს გარდაცვალებით დამთავრდა. ასეთია ყველაზე გავრცელებული, თითქმის ოფიციალური ვერსია. მაგრამ ვითომ სარწმუნოა ეს ვერსია?

ვ. სტალინის უკანასკნელი ცოლის ქალიშვილები ირწმუნებიან, რომ მცველები მას გაცილებით აღრე მიუჩინეს. ეს ჰოსპიტალში მოხდა, სადაც ვასილი მამის დაკრძალვიდან მოხვდა 9 მარტს. მამის ცხედარს რომ ემშვიდობებოდა, ვასილმა გრძნობა დაკარგა, დაეცა, ორი ნეკნი მოიტეხა და საავადმყოფოში აღმოჩნდა.

საბჭოთა კავშირის ორგზის გმირი ვ. პოპკოვი ვასილი სტალინის საფლავზე მოსკოვში.

28 აპრილს, დაპატიმრების „ოფიციალურ“ დღეს, ჩაგარდა ჩხრეკა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სხვათა შორის ორდერი ღია თარიღით იყო: „1953 წ. მაისის... დღეს“, რიცხვის მიუთითებლად! ბერიას უწყებაში ეს მაშინ ჩვეულებრივი ამბავი იყო. სასამართლოს გარეშე ჩასვეს, ყველა საქმე თითქოს სასხვათაშორისოდ გააფორმეს. ასე გახდა ვასილ იოსების ძე „ხალხის მტერი“ და ასეთადვე მოკვდა.

საუკუნის მესამედზე მეტხანს იბრძოდა ვასილის უკანასკნელი ცოლი მისი რეაბილიტაციისთვის. მაგრამ ის, რაც ცოლმა ვერ შეძლო, მეგობრებმა გააკეთეს. 1999 წლის მიწურულს ვასილ იოსების ძე ჯუღაშვილი (სტალინი), რომელიც მთელი ეს ხანი „ხალხის მტერი“ იყო, კვლავ ნორმალურ საბჭოთა აღამიანად ცნეს. რეაბილიტაციამ მისი გადმოსვენებაც გააადვილა. ამას საბჭოთა კავშირის ორგზის გმირი, დიდი სამამულო ომის მონაწილე მფრინავი ვიტალი ივანეს ძე პოპკოვი აღასტურებს. მას არაერთი თხოვნის დაწერა მოუხდა იმისათვის, რათა მისი ბავშვთის მეგობრისა და ფრონტელი ამხანაგის, ვასილ სტალინის რეაბილიტირება მოეხდინათ.

„1953 წლის ოქმები არასწორია. გამომძიებელი კოზლოვი ადგენდა ოქმებს, რომელთა ხელმოწერაზე მე უარს ვამბობ. მე ბნედამდე მიმიყვანეს... ამ ჩვენებებს ისე ვაწერდი ხელს, რომ არ ვკითხულობდი“.

(ვ. სტალინის ჩვენებებიდან).

„... ომის დროს, – ყვებოდა პოპკოვი, – მე ვასიასთან, გვარდიის 32-ე ავიაპოლკში ვმსახურობდი ესკადრილიის მეთაურად. დიდხანს არ მიმსახურია. იქ შედგა ის ავბედითი „თევზაობა“, რომლის შესახებ ახლაც ბევრს ლაპარაკობენ. ვაღიარებ, რომ იმ „თევზაობის“ ორგანიზატორი, სამწუხაროდ, მე ვიყავი. ათი თავვამოღებული მეთევზე ვიყავით. მათ შორის ვასიაც, მე პოლკის ინჟინერს შევუთანხმდი, რომ რაიმე ისეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა მოემზადებინა, რომელსაც ტბაში ჩავუშვებდით, ავაფეთქებდით და თევზს გავაბრუებდით. მე ისიც ვკითხე, რითი ავაფეთქებთ – ტოლით თუ გრანატით-მეთქი?“ მან მიპასუხა: რა გრანატით? „ერესს“, რეაქციულ ჭურვს, ჩავუშვებთ. შიგ თითქმის 100 კილო ასაფეთქებელი ნივთიერებაა. აფეთქდება და მთელი ვაგონის თევზი იქნებაო... !!! ჰოდა ავაფეთქეთ... ეს ოსტაპკოვოსთან მოხდა 43 წელში. მართალი აღმოჩნდა ინჟინერი: მარგო თევზს კი არა, ჩვენც მოგვხვდა – 9 აღამიანიდან 6 დაიჭრა, ინჟინერი კი მოკვდა. მე არაფერი დამშავებია, ვასიას კი აფეთქებამ კინაღამ ქუსლი მოაგლიჯა. ისეთი ტკივილები ჰქონდა, რომ გაუთავებლად კვნესოდა. ძალიან შევშინდით – ასე იყო თუ ისე, მომხდარი თავად სტალინს ეხებოდა.

ვურეკავ ჩვენი საჰაერო არმიის სარდალს მ. გრომოვს. ვუპატაკებ: „აქ თევზაობის დროს საგანგებო შემთხვევა მოხდა. არიან დაჭრილები. კერძოდ, სტალინი... ვასილი“. აღბათ, გრომოვს კინაღამ გული წაუვიდა: „ვინ მოაწყო ეს თევზაობა?“ ცოტა ვინმე თუ გაბედავს ასეთ სიტუაციაში თქვას – მეო... მოკლედ, ვეუბნები: იმან მოაწყო-მეთქი“. იმიტომ, რომ ვხვდები – ვასიას სარდალი ისე ვერ მოსთხოვს პასუხს, როგორც მე... გრომოვი მეუბნება: „მოვფრინავ“... 15 წუთში ჩამოფრინდა თავისი „დუგლასით“. ლაზარეთში მივიდა. იქ ვასია წევს და კვნესის. მას ნემსებს უკეთებენ. გრომოვმა მაშინვე თავისი თვითმფრინავით გადააფრინა მოსკოვში.

„კითხვაზე „რისთვის იჯექითო“ ვ. სტალინი პასუხობდა: „ჩემი ენისთვისო, ყველას თანდასწრებით შევახსენე ბერიას, რომ ის მოძალადეა, და რომ ბულგანინიც დიდი მექალთანეა: მოსკოვში ძვირფასი ავეჯით გაწყობილი ბინა აზუქა საყვარელს... მამაჩემი მოკლეს და ახლა მე მამცირებენ, მამას კი ჯერ ფეხები არცკი გასცივებია“.

(მეგობრების მოგონებებიდან).

იცოცხლე, განიცდიდა. ეგონა, რომ ფაფახს დაემშვიდობებოდა, მაგრამ გადარჩა.

ჩამოფრინდა მთავარსარდლისა და ცკ-ს კომისია. რეპლიკებით „სულ გათახსირდითო“, „ლოთობთო“ და ა. შ. მეთაურის თანამდებობიდან გამათავისუფლეს. ერთი სიტყვით, ჩვენ ერომანეთს დავავიცილეს, თუმცა სინამდვილეში ჩვეულებრივზე მეტს არ ვსვამდით. იმდენს, რამდენიც საბრძოლო სამუშაოზე იყო დაშვებული – 100-100 გრამს. სვეტლანამ (ალილუევა, ი. ბ. სტალინის ქალიშვილი – **რედ.**) დაწერა, რომ მისი ძმა ბევრს სვამდა. მე ასე არ ვიტყოდი. ვასია სვამდა ისე, როგორც თითქმის ყველა ბიჭრინავი. და მე ეს პირდაპირ ვუთხარი სვეტლანას, როდესაც უცხოეთიდან დაბრუნებიდან

№ 108. კვირა, 8 მაისი, 2005 წელი.

ყიყო ვერნის მოჯადოებანი

(მეექვსე გვერდიდან)

მაინც, რით მოაჯადოვა ჟიულ ვერნმა თავისი ყმაწვილი მკითხველები? აჯადოვებდა XIX-შიც, აჯადოებს XXI-შიც. თითქოს წიგნის აღქმა ასი და მეტი წლის წინათ სულ სხვანაირი იყო, ვიდრე ახლაა, მაგრამ სკოლებში, გიმნაზიებში, ლიცეუმებში ჩაგარებული გამოკითხვები გვიჩვენებს, რომ ჟიულ ვერნის რომანები ახლაც ისევე აღელვებს, ისევე აღვივებს წარმოსახვას, თუმცა ველარც „20 000 ლიე წყალქვეშ“, და ველარც „დედამიწიდან მთვარეზე“ ვერ აკვირვებს ჩვენს ახალგაზრდობას ფანტაზიის დაუოკებელი აღმაფრენით. რაში მდგომარეობს მისი ფენომენალური წარმატების საიდუმლო, რომელიც სამართლიანობისთვის, თუნდაც რეტროსპექტულად უნდა ითქვას, მასთან ერთად მისმა გამომცემელმა ეტცელმაც უნდა გაიზიაროს, რომელმაც პირველმა შეაფასა ვერნის მიერ შექმნილი აღრე არარსებული ჟანრი და მისი სწორედ სიმარგივით გამორჩეული ნაგიფი სტილი? ჭეშმარიტად გამოცანად რჩება: როგორ მოახერხა ქარაფშუტული ვოდევილებისა და უარეტენზიო ოპერეტების ავტორმა, წარმოუდგენლად აღვილად გადაქცეულიყო მეზღაპრედ და ჯადოქრად, რომელმაც ახლანდელი ახალგაზრდა სკეპტიკოსებიც კი დაუმორჩილა თავის მაგიას?

კიდევ ერთი საგულისხმო კითხვა: ჰყავს თუ არა ამ ჯერჯერობით დაუმარცხებელ ჩემპიონს ლიტერატურული მემკვიდრეები? თუმცა, მოდით, მოწაფეებით კი არა, მასწავლებლებით დავიწყოთ. ახლა, როცა შესწავლილია მთელი მისი უზარმაზარი არქივი, წაკითხული და გამოცემული მისი მიმოწერა, ჩვენთვის ნათელია, რომ ჟიულ ვერნის კერპები და ლიტერატურული დამრიგებლები იყვნენ არა მაშინდელი ბესტსელერების თავქარიანი კულინარები, არა გრაფომანები, სულმოუთქმელად რომ ხდიდნენ წარმატებათა ნაღებს, არამედ შექსპირი, ჰიუგო და ვალტერ სკოტი: სამწერლო ასპარეზზე მეოცნებე სტუდენტ-იუმორისტისთვის სავსებით ღირსეული მეგრეში. მათ მოჰყვათ ედგარ პო, გაგაცებით საკითხავი მოთხრობის ოსტატი. როგორც ჩანს, სწორედ მისმა ნაწარმოებებმა აფიქრებინა ჟიულ ვერნს კალამი ეცადა თხზულებაზე „ხუთი კვირა ჰაერბურთზე“. უცნობი მედღეური საგონებელში ჩავარდა და იქნებ ვერც გამორკვეულიყო, რომ არა ბედის წყალობა: შეხვედრა გამომცემელთან. პიერ-ჟიულ ეტცელმა ყველაფერი მყისიერად შეაფასა: ნიჭი, გაქანება, უდიდესი ლიტერატურული და ფინანსური პერსპექტივა.

ახლა კი სწორედ რომ დროულია გამომცემლის როლზე ვისაუბროთ. მისი როლი უდიდესია. ოღონდ ერთი პირობით: თუ ის თვითონაც ნიჭიერია, თუ მას ძალუძს აენთოს და აღფრთოვანდეს, თუ მას ლიტერატურა ფულზე ნაკლებად მაინც არ უყვარს. ნაკლებად მაინც... არსებობს უმარგივესი გზაც: მოსავლის აღება მოხნული ყანიდან. პირობითად რომ ვთქვათ, ის გვარიან თანხას უქადის გამომცემელს. არსებობს ბევრად უფრო რთული გზაც: ყამირის მოხვნა. თუ არჩევანი სწორია, ის ასევე მეგაფორულად უკვე მილიონებს უქადის, მაგრამ რაც მთავარია, გამომცემელს ლიტერატურის პანთეონში უმკვიდრებს ადგილს და არა ოღენ წარმატებულ კომერსანგთა სიაში. ჩვენი დრო ვვიჩვენებს, რომ უფრო რთული გზის მოყვარულები თითქმის აღარ დარჩნენ. ამასთანავე ამბობენ, ლიტერატურა დაწვრილმანდაო. იქნებ გამომცემელი გაზარმაცდა? იქნებ, მოგებაზე ფიქრში გაქრა ის, რის გარეშეც საგამომცემლო საქმიანობა სხვა არაფერია, თუ არა ჩვეულებრივი ბიზნესის სახეობა: არა იმდენად საკუთარი საბანკო ანგარიშთა, რამდენადაც იმ ქმნილებებით აღტაცების უნარი, რომლებსაც შენ საქვეყნო სიცოცხლე მიანიჭე.

ეტცელი მომთხოვნი გამომცემელი იყო, პირველ წარმატებას თავბარე არ დაუხვევია მისთვის, მას არც ამ წარმატების შემდეგ გადაპფარებია თვალებზე ბინდი, – უკან დაუბრუნა ჟიულ ვერნს მისი მომდევნო ხელნაწერი „პარიზი მეოცე საუკუნეში“. „მიკვირს, – მისწერა მან ავტორს, – როგორ შეგეძლოთ თქვენ, თქვენი ნიჭისა და გემოვნების პატრონს, შეგექმნათ ასეთი უნიათო, უსიცოცხლო ნაწარმოები. მწერალი იმდენად ენდობოდა თავის გამომცემელს, რომ უხმოდ დაემორჩილა მას, არ დაუწყია მასთან კამათი ამ კატეგორიული შეფასების გამო, არც სხვა გამომცემელი უძებნია, თავისი მანუსკრიპტი კი სამუდამოდ ჩაკეტა მაგიდის შორეულ უჯრაში.

და აი, როგორი დიდებული ექსპერიმენტი ჩაატარა ცხოვრებამ იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად უმადო იყო იმ გამომცემლის გემოვნება: 1994 წელს ვერნის შვილთაშვილმა ოდესღაც დაწუნებული ხელნაწერი არქივიდან ამოიღო და გამოსცა. წიგნი ერთბაშად და უმოწყალოდ ჩაფლავდა! მაშინ, როცა – კვლავ გავუსვათ ამას ხაზი – ყველაფერს, რასაც აღტაცებაში მოჰყავდა ეტცელი თითქმის საუკუნენახევრის წინ, აღტაცებაში მოჰყავს დღევანდელი მკითხველიც: იმათი ბოღიშები, ვისი ინტერესებიც მას შეუმცდარად ესმოდა.

მწერალი და გამომცემელი ხშირ-ხშირად კამათობდნენ, ეს იყო კამათი ადამიანებისა, რომლებიც პატივს სცემდნენ ერთმანეთს და რომლებსაც უყვარდათ ერთმანეთი, და ეს კამათი ურთიერთობის გაწყვეტით არასდროს დამთავრებულა. მათი ერთ-ერთი შემოქმედებითი კონფლიქტი არა მარტო გვაოცებს დღევანდელი თვალსაზრისით, არამედ ჟიულ ვერნის ბრწყინვალე ისტორიულ პოლიტიკურ განჭვრეტაზეც მეტყველებს. ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ მისი სამეცნიერო-ტექნიკური ნაწინასწარმეტყველევი დიდი ხანია ყველამ აღიარა, სოციალური პროცესების მისეული პროგნოზირება კი სერიოზული კვლევის საგანი ჯერაც არ გამხდარა. თუმცა, მწერალს აქაც მოუწევს წინასწარმეტყველების ნიჭი თავის გამომცემელს უწილადოს.

ერთ-ერთი დავა კაპიტან ნემოს ფიგურის გარშემო გაჩაღდა. ეტცელი იმის მომხრე იყო, რომ მისი ანონიმურობა მაშინვე გახსნილიყო და მომხდარიყო კაპიტანის, როგორც მონობასთან მებრძოლის, კოლონიზატორებისა და იმპერიალისტების დამსჯელის იდენტიფიცირება. ანუ, ნემო აღიარებული ყოფილიყო – მოდით, ჩვენი ისტორიული გამოცდილების გადახახედიდან შევხედოთ ამას, – თანამედროვე ბენ ლადენის წინამორბედად, ოღონდ ის უსამართლობასთან მებრძოლის შარავანდედით იქნებოდა შემკობილი და არა ტერორისგისა, მთელ მსოფლიოს შიშის ზარს რომ სცემს. ბოლოს და ბოლოს, ორივენი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ არავითარი ფორმითა და არავითარი საბაბით არ ეგების კაპიტნის მიერ კაცობრიობისთვის შეთავაზებული გამოწვევის გამართლება, როგორც არ უნდა აეხსნა მას საკუთარი საქციელი. თავისი არჩევანის სისწორის შესამოწმებლად გადაწყვეტეს დალოდებოდნენ „საიდუმლო კუნძულის“ ფინალს, რომელსაც ბოლოს და ბოლოს გამოარკვევა, რომ ნემო არის ყოფილი მაჰარაჯა, რომელმაც გადაწყვიტა უმოწყალოდ იძოს შური ინდლისელებზე. მაგრამ აი მრავალსმეტყველი დეტალი: მწერლის არქივის ქექვამ გამოამეღავნა ეტცელის ჩარევა ჟიულ ვერნის ჩანაფიქრში. მწერლის ვერსიით, კაპიტან ნემოს ბოლო სიტყვა იყო „დამოუკიდებლობა!“ გამომცემელმა ის შეცვალა და გაჩნდა „ღმერთი და სამშობლო!“, რაც, როგორც ყველასთვის გასაგებია, ერთი და იგივე სულაც არ არის. ვინ აღმოჩნდა ისტორიულად უფრო მართალი? ეს საკამათოა.





და აი, კიდევ ერთი: მეცნიერული ფანტასტიკის ჟანრის უახლესი წარმომადგენლების, მაგალითად, რეი ბრედბერის ან აიზეკ აზიმოვისგან განსხვავებით, ჟუელ ვერნი, როგორც სოციალურ-პოლიტიკური მწერალი, მხოლოდ მის თანამედროვე რეალიებს მიმართავდა და არავითარ განჭვრეტებს არ იჩემებდა. აღმოჩნდა კი, რომ სწორედ ის იყო შორსმხედველი, სწორედ ამით მიიზიდა მისმა რომანებმა ისეთი კინემატოგრაფისტები, როგორებიც იყვნენ უოლ დისნეი, სტივენ სპილბერგი ან ჯეიმს კამერონი – თანამედროვეობის მწვავე შეგრძნების რეჟისორები, რომლებმაც ჟიულ ვერნის „უტოპიურ რეალობაში“ იმ ძარღვს მიაგნეს, ჩვენი დღევანდელი ცხოვრების მტკივნეულ პრობლემებზე რომ რეაგირებს.

პრემიგიული კლასიფიკაცია – „ვერნი ახალგაზრდობისთვის განკუთვნილი გასართობი საკითხავის ძველმოდური მიმწოდებელიაო“, – მსოფლიო ლიტერატურამ მისი ნამდვილი ადგილი საღმა ანალიზმა შეცვალა. სხვა ლიტერატურულ გიგანტებზე მისი ზეგავლენის გაგაზრება ახლაღა იწყება, რომ აღარაფერი ვთქვათ არტურ რემბოზე, რომლის „მთვრალი ხომალდი“ პირდაპირ ეხმიანება „20 000 ლიეს წყალქვეშ“, ან ფრედრიხ ნიცშეზე, რომლის ზარაგუსტრაც პირდაპირ დაესხესა კაპიტან ნემოს მრავალ ნიშან-თვისებას. ჟიულ ვერნის ძლიერი ზეგავლენა განიცადეს ყველაზე სერიოზული ლიტერატურის ისეთმა ბურჯებმა, როგორებიც არიან მარსელ პრუსტი, ფრანსუა მორიაკი, გასტონ ლერუ, ჟან კოკტო და უმბერტო ეკოც კი.

ამ „საბავშვო მწერლის“ ჭეშმარიტი მნიშვნელობისა და ხვედრითი წონის შეფასება მხოლოდ ახლა იწყება.

ლიტერატურნაია გაზეტა,
№ 14, 2005.

ნამყო

ვიქტორ პეტელინი

მიხეილ შოლოხოვის შეხვედრები იოსებ სტალინთან



ივი, სტალინი, ძალიან დაკავებულია, ხვდება მხოლოდ იმათ, რომლებიც წყვეტენ დიდმნიშვნელოვან სახელმწიფო საკითხებსა და ამოცანებს... რატომ მოინდომა მან, სტალინმა, ასე მოულოდნელად მასთან, შოლოხოვთან, საუბარი... უცნაურია ყველაფერი ეს! კი, ბატონო, ფადეევთან, ავერბახთან, პანფიოროვთან... ეს გასაგებია იმიგომ, რომ ისინი პროლეტარულ მწერალთა რუსეთის ასოციაციის ხელმძღვანელობაში შედიან, ივი, შოლოხოვი, კი ვინ არის? ავტორი ერთი დაუმთავრებელი რომანისა, რომელსაც ერთნი აქებენ, მეორენი გააფთრებით უარყოფენ, მის ატვორს ათასგვარ, თანაც ერთი მეორეზე ცვალ, იარლიყებს აკრავენ. საზღვარგარეთ გამგზავრების ნება დართეს. ბევრი ხომ უცხოეთში წასვლის ნებართვისთვის ტყავიდან ძერწა, მრავალ მთხოვნელთაგან ცოტა ვინმეს თუ აძლევენ ნებას, ბევრს უბრალოდ უარით ისტუმრებენ, ისე, რომ ამის მოგივებსაც არ ეუნებიან. აღექი და რაც გინდოდეს ის იფიქრე. მაგრამ ხელისუფალნი განსაკუთრებით მკაცრნი არიან ეგრეთ წოდებულ თანამგზავრთა მიმართ, რომ არაფერი ვთქვათ ბურჟუაზიულ და არაბურჟუაზიულ მწერლებზე... ოჰ, რა რთულია ჩვენი ცხოვრება, რამდენი წინააღმდეგობრიობაა გაურკვეველი და ბურუსით მოცული, მთელი ეს სასამართლო პროცესები, კონკრეტიულობის ბელადთა აღიარებანი, მათი ოცნებანი ინტერვენციის, როგორც ბოლშევიკური ხელისუფლებისაგან გათავისუფლების შესაძლებლობის შესახებ, მათი შეთქმულება იმ მიზნით, რათა დაიბრუნონ სამეფო ხელისუფლება და ბურჟუაზიული წეს-წყობილება... აი, სტალინთან სასაუბრო თემები, მაგრამ განა ეს შესაძლებელია, დახე, ოჰ, როგორ აფრინდი ცაში, როგორც მისი უბრალო მკვიდრი. დიახ, როგორ ხვდებოდნენ მას პარგიის XVI ყრილობის დელეგატები, ყოველ გამოჩენას ფეხზე ადგომით ხვდებოდნენ, სადიდებელს გაიძახოდნენ, ხოლო დელეგატები თავიანთ გამოსვლებში ხშირად უწოდებდნენ გენიოსს, მეორე ლენინს, დღევანდელ ლენინს...

რაღაც-რაღაცეებიც ამოიღო, რაც ზედეტად მოეჩვენა... კერძოდ, დენიაშკას ნაამბობი ხუტორის ახალი ამბების შესახებ. დენიაშკას ეს, თითქოსდა ცოცხალი მონათხრობი, ხუტორის უბედურების ჭეშმარიტ სურათს რომ ხატავდა, არაფერ ახალს მატებდა იმას, რაც აქამდე ითქვა, თუმცა, დენიაშკას ამ ნაამბობის მიხედვით ნათელი ხდება ზოგიერთი ოჯახის ბედი, შემდგომ სადღაც საჭირო იქნება ამის თქმა, მაგრამ აქ ამ ეპიზოდის დაგოვების აუცილებლობა არ იყო.

კრემლში წასვლის დროა. თუმცა, საჩქარო არაფერია – კრემლი ახლოა, თხუთმეტი წუთის სასიარულო არც არის.

I

სტალინი მოზღვავებული მოგონებებიდან გამოფხიზლდა, წამოდგა, მაგიდას შემოუარა, კართან მივიდა, გამოაღო და სვენებ-სვენებით მდივანს ჰკითხა:

– კიდევ ჩაწერა ვინმე მიღებაზე?

– მწერალი მიხეილ ალექსანდრეს ძე შოლოხოვი. მისი მიღების დროა 14 საათი და 50 წუთი.

– მოვა თუ არა, შემოვიდეს. – სტალინმა საათს დახედა. 14 საათი და 45 წუთი იყო.

მაგიდამდე მისვლა ვერ მოასწრო, რომ კარი გაიღო და პოსკრებიშევი მიხეილ შოლოხოვთან ერთად კაბინეტში შევიდა.

– გამარჯობათ, ამხანაგო შოლოხოვ. – სტალინი შოლოხოვის შესახვედრად გამოემართა. – დიდი ხანია მსურდა პირადად თქვენი გაცნობა და თქვენთან საუბარი. დაბრძანდით. – და სტალინმა ვეებერთელა სამუშაო მაგიდის პერპენდიკულარულად მდგარ მომცრო მაგიდასთან სავარძელზე მიუთითა.

შოლოხოვმა სავარძელში ჩაჯდომამდე სწრაფად მიაელო თვალი სტალინის კაბინეტს. კედელზე ეკიდა კარლ მარქსის სურათი, ერთ რიგად ჩამწკრივებულიყო წიგნებით გამოტენილი კარადები, რომლებშიც ეწყო მარქსისა და ენგელსის, ლენინის თხზულებანი, ტროცკის, ბუხარინის, ზინოვიევის წიგნები...

– კარგად წერთ კაზაკებზე, გააფთრებით რომ გვებრძოდნენ, უტევდნენ წითელ არმიას 1918 წელს და ხელი იჯდეს პოდტელნიკოვი, კრასნოშლიკოვი და სიკვდილით დასაჯეს ისინი სხვა მეომრებთან ერთად.

– მაგრამ იმავე კაზაკებმა, – ამხანაგო სტალინ, – 1918 წლის დამლევს გახსნეს ფრონტი, ასე რომ, წითელი არმია დონის ილქში, არსებითად ისე შევიდა, ტყვიაც არ გავარდნილა.

– იმ დროს დონზე არ ვყოფილვარ. არ ვიცნობდი არც პოდტელნიკოვს, არც კრიეოშლიკოვს, მაგრამ მაშინდელი დონბიუროს თავმჯდომარე ამხანაგი სირცოვი ერთი წლის წინათ მესაუბრა, რომ თქვენ სწორად არა გაქვთ ნაჩვენები დონბუროს კომუნისტების მუშაობა, რომ თქვენ, ამხანაგო შოლოხოვ, საკუთარ „წყნარ დონში“ დაუშვით მთელი რიგი უხეში შეცდომები და გვთავაზობთ აშკარა მცდარ ცნობებს სირცოვის, პოდტელნიკოვის, კრიეოშლიკოვისა და სხვების შესახებ;

– მეც, ისევე, როგორც თქვენ, ამხანაგო სტალინ, არ ვიცნობდი არც სირცოვს, არც პოდტელნიკოვსა და კრიეოშლიკოვს, ვსარგებლობ მემუარული ლიტერატურით, ტროცკის, სვერდლოვის ბრძანებებითა და ბრძანებულებებით, არონ ფრენკელის, მანდელშტამის, ანტონოვ-ოვსენკოს მოგონებებით, ასევე მრავალი ცნობა მოგონებებით, ასევე მრავალი ცნობა მ

მეფის არმიის პოლკოვნიკი ნიკოლოზ კაკურინი წლეულ ივნისში დააპატიმრეს როგორც ტროცკისტი და ახლა ჩვენებებს იძლევა. იგი სამოქალაქო ომის სულიად უმაქნისი ისტორიოსი აღმოჩნდა. კერძოდ, კაკურინი ხომ 1918 წლის ბაფხულში კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის დაგვირგვინებად აღმსაყლეთ ფრონტს აღიარებს. ეს კი სიცრუეა, აქ სურათი დამახინჯებულია. აი, რაგომ: 1918 წელს გადამწყვეტი მოვლენები მიმდინარეობდა ცარიცინში, აქ გავგეხეთ დონის არმიის წინააღმდეგობა, ხოლო შემოდგომისთვის დონის არმია ვიიძულეთ უკან დაეხია და, როგორც თქვენ ბრძანეთ, ფრონტი გახსნა წითელი არმიისთვის. ჩვენ დონის არმიას თავებედი ვაწყვლინეთ, ვიიძულეთ ფრონტის გახსნა. ასე დგას საქმე იმ წყაროების მიხედვით, რომლებითაც თქვენ სარგებლობთ. ჩემი დაბნევა არც ისე იოლია, ამხანაგო შოლოხოვ, მაგრამ მარშანაც დავუჯერე სირცოვს, როდესაც მითხრა, რომ თქვენს „წყნარ დონში“ მთელი რიგი მეგად უხეში შეცდომებია და პირდაპირ არასწორი ცნობები მოგაქვთ სირცოვის, პოდტელნიკოვისა და კრიეოშლიკოვის შესახებ, თქვენ კი ბრძანებთ, უგყუარი მემუარული ლიტერატურით ვსარგებლობდიო, თქვენ ამბობთ, რომანში ყველაფერი სწორი და ნაღდია, ჭეშმარიტ ისტორიულ სიმართლეს შეესაბამებაო. აი, როგორი არამზადა და უსირცხვილო აღმოჩნდა სერგი სირცოვი, პირადად მეც ვენდე, პროვინციის ჭაობიდან ამოვათრიე, რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობა ვანდე, ის კი მაშინვე, ანტიპარტიული ხაზის გაგარეგან შეუდგა, ცენტრალური კომიტეტის პოლიგიკის წინააღმდეგ აღსდგა. კიდევ კარგი, რომ დროულად ვამხილეთ, ახლახან საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიგბიუროს სხდომაზე ჩვენი ხაზის წინააღმდეგ გამოვიდა, ამიგომ ერთხმად გავრიცხეთ საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან. წავიდეს და წაიმუშაოს რიგით სამეურნეო თანამდებობებზე, თუკი ნდობას ვერ გაამართლებს, შეუბრალებლად კინწისკვრით გავაგდებთ პარტიიდან. ხედავთ, რა იოლად გაეთით ხათაბალაში, თუ არ გადაამწყმეს.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 96.

მეუნხენის უნივერსიტეტის მეცნიერთა მონაცემებით, ადამიანების **19,2 პროცენტი** დარწმუნებულია, რომ ამინდი ძალზე დიდ გავლენას ახდენს მათ ჯანმრთელობაზე.

35,3 პროცენტს მიაჩნია, რომ ამინდი მეტ-ნაკლებად **აისახება მათ გუნება-განწყობილებაზე.**

ადამიანების **54,5 პროცენტი** გარკვეულწილად **მეტეოდამოკიდებულია** და აქედან **68 პროცენტი 60 წელზე უფროსი ასაკისაა**.

45,5 პროცენტი კი საერთოდ **არ რეაგირებს** ამინდზე.

ამავე უნივერსიტეტის მეცნიერთა მიერ განხორციელებული დაკვირვებების თანახმად, ადამიანების **61 პროცენტი** უამინდობის დროს უჩივის **თავის ტკივილს და შაკიკს**, **47 პროცენტი მოდუნებას, აპათიას, 46 პროცენტი უძილობას**. გარდა ამისა, გამოკითხულთა **42 პროცენტი** აცხადებდა, რომ უფრო **სწრაფად ეუფლებოდა გადაღლილობის გრძნობა**, **40 პროცენტი** უჩიოდა **საერთო უქეიფობას, 31 პროცენტი** კი აღნიშნავდა, რომ უამინდობა **აღიზიანებდა მათ ნერვულ სისტემას**. გარდა ამისა, გამოკითხულთა **27 პროცენტი** აცხადებდა, რომ უამინდობის დროს მათ ეუფლებოდათ **დეპრესია**, **26 პროცენტი** უჩიოდა **თავბრუსხვევას, ამღვენივე** გამოკითხული აღნიშნავდა, რომ უამინდობის დროს მათ უფრო ხშირად **უჭირდათ ყურადღების კონცენტრაცია** ამა თუ იმ საკითხსა და მოვლენაზე, **23 პროცენტი** კი აცხადებდა, რომ **სტკიოდა ოდესღაც მოტეხილი ძვლები**.

ვინ რას უნდა მოერიდოს

თუ თქვენ გაწუხებთ **გულ-სისხლ-კარლვითა დაავადებები** (ჰიპერგონია, ჰიპოტონია, ათეროსკლეროზი, სტენოკარდია და ა. შ.), თქვენთვის მავნებელია მკვეთრი აცივება ან დათბობა (**8 გრადუსით და მეტით**), ატმოსფერული წნევის მკვეთრი ცვალებადობა (დღე-ღამეში ვერცხლისწყლის სვეტის **6 მილიმეტრზე მეტი**) სიცხე (**პლუს 20 გრადუსზე მეტი**) და ძლიერი ყინვა (**მინუს 25 გრადუსზე ნაკლები**), ასევე, ძლიერი ქარი (**წამში 8 მეტრი და მეტი**) და ჰაერის ტენიანობა, თუ იგი **80 პროცენტს აჭარბებს**.

სასუნთქი ორგანოების სნეულებებით დაავადებულთათვის (ბრონქული ასთმა, ქრონიკული ბრონქიტი, გრაქეიტი და ა. შ.) არ არის სასურველი ისეთივე ამინდი, როგორც გულით დაავადებულთათვის. განსაკუთრებით საშიშია **ზაფხულის ტენიანი სიცხე და ზამთრის ნესტი**.

რევმატული დაავადებებისთვის (რევმატიზმი, ართრიტი, პოლიართრიტი და ა. შ.) და გაცივებისთვის არ არის სასურველი არამდგრადი ამინდი, როცა ტემპერატურა დაახლოებით **0 გრადუსს უტოლდება** და ტემპერატურის **ხშირი ცვალებადობა მინუს 1 პლიუს 1 გრადუსის ფარგლებში,** თუ ჰაერის ტენიანობა **80 პროცენტს აღემატება**. აგრეთვე, **წვიმა და სველი თოვლი.** ავსტრალიის ლა ტროუბის უნივერსიტეტის მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ართრიტით დაავადებულთა **48 პროცენტს** შეუძლია თავიანთ სახსრებზე დაკვირვებით „იწინასწარმეტყველონ“ ცივი და ნესტიანი ამინდის დადგომა.

თვალის დაავადებებისთვის არასასურველია **ტემპერატურის და წნევის ცვალებადობა. ასევე, მცხუნვარე მზე,** განსაკუთრებით ზაფხულობით, ნაშუადღევს.

კანისა და კუჭ-ნაწლავის დაავადებებით დასნეულებული ადამიანები (გასტრიტი, კოლიტი, წყლული და ა. შ.) უნდა მოერიდონ **დაბალ ატმოსფერულ წნევას ან სიცხეს**. ბუენოსაირესის უნივერსიტეტის მეცნიერებმა გამოიანგარიშეს, რომ ზაფხულობით კუჭ-ნაწლავის დაავადებების გავრცელების შესახლებლობა **75 პროცენტით** უფრო დიდია, ვიდრე ზამთრობით, კანის დაავადებების და ალერგიისა კი – **54 პროცენტი.**

საით უბერავს ქარი?

ქარიან დღეებში იზრდება **ცენტრალური ნერვული სისტემის აღგზნებადობა.** ძლიერ ქარს შეუძლია გამოიწვიოს შეშფოთებისა და დეპრესიის განცდა, შაკიკი.



მავნე ჩვევები თურმე ცხოველებსაც ახასიათებთ

სამხრეთ აფრიკის ბლუმფონტეინის ზოოპარკის სპეციალისტები სერიოზულად არიან შეშფოთებული შიმპანზე ჩარლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. მათ მიაჩნიათ, რომ მაიმუნი თამბაქოს წევას დაეჩვია ზოოპარკის დამთვალიერებლების წყალობით, რომლებიც სიგარეტებს უყრიდნენ მას გალიაში.

თამბაქოს წევის პროცესის სრულად დაუფლებაში ჩარლის ხელი შეუწყო შიმპანზეს მიმბაძველურმა ინსტინქტმა. მაიმუნს აშკარად ეტყობა ნიკოტინზე დამოკიდებულების ნიშნები – იგი ცდილობს სიგარეტი მოპაროს ზოოპარკის თანამშრომლებს ან დამთვალიერებლებს. გარდა ამისა, ზოოპარკში მოსული ადამიანები მაიმუნებს ხშირად „უმასპინძლდებიან“ გაზიანი სასმელებით, რის გამოც, ცხოველებს ეწყებათ კბილის დაავადებები. ასე რომ, ახლა ზოოპარკის ხელმძღვანელები, ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რათა შიმპანზე ადამიანებს მოარიდონ.

უნდა ითქვას, რომ ჩარლი თამბაქოს მწეველი ერთადერთი მაიმუნი არ გახლავთ. მაგალითად, ერთი წლის წინ ჩინეთის ზოოპარკის ხელმძღვანელობას მოუწია ბოდიშის მოხდა ერთ-ერთი მაიმუნის „ხულიგნური“ საქციელის გამო. გარდა იმისა, რომ იგი თამბაქოს ეწეოდა, მაიმუნი სიგარეტის ნამწვებსაც ესროდა გალიასთან მიახლოებულ ადამიანებს.

ალბომი

ქეელას რაიმე აქვს სახსოვარი

... ბაბუას სითბო არ მახსოვს, თუმცა მას ყველა სიყვარულით მოიხსენიებდა.

პლატონ ქინქლაძე (მარცხნივ), მეგობართან ერთად. XIX საუკუნის 90-იანი წლები.

ფოტო მოგვაწოდა შვილიშვილმა ლალი ქინქლაძემ.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა.
ტელ: 99-66-10.

ფოტოების მომწოდებელთ ვთხოვთ, რომ დაბეჭდვიდან ერთი კვირის ვადაში მოიკითხონ რედაქციას გამოქვეყნებული სურათების წასაღებად.

გიხარიოდეს!

არბოშიკში დათუნა მოვიდა

ნათია დათუკიშვილმა თბილისის დავით ქორიძის სახელობის მე-4 სამშობიარო სახლში იმშობიარა, შეეძინა ბიჭი დათუნა.

არბოშიკელების ხიგანიშვილების ოჯახის სიხარული არ გამორჩენიათ, მიულოცეს და ადლეგრძელეს კიდეც. არც პაპა-ბებიას საშსახურებს დავიწყებიათ ამ სიხარულის გაზიარება. დედოფლისწყაროს პოლიციის თანამშრომელს გია დათუკიშვილსა და შპს დედოფლისწყაროს პოლიკლინიკური გაერთიანების თერაპევტს ლილი ბეგაშვილს პირველი შვილიშვილი მიულოცეს, ეს გვაცნობა დედოფლისწყაროდან ნანა ჭიჭინაძემ.

ცოტაც გავიღიმოთ...

ცუდი ნიშანია ღამით მგზავრობა... ტყეში... საბარგულში...

* * *

ჩვენმა სამხედროებმა ბოლოს და ბოლოს შექმნეს მართული ავიაბომბა, მოსახერხებელი საკარძლითა და კონდიციონერითაც კი.

* * *

— დვალო, თქვენ კიდევ დაგაგვიანდათ ლექციაზე!

— მაპატიეთ, პროფესორო! ჩამეძინა?

— თქვენ რა, შინაც გძინავთ?

* * *

— აჰა, შვილო ვერცხლის კოვზი. ჩაი ამით მოურიე. ვერცხლი მუსრს ავლებს მიკრობებს.

— მერე, მერა, დახოცილი მიკრობები ვხვრიპო ჩაისთან ერთად?

* * *

— ვატყობ, ჩემი ცოლი ბისექსუალურია, — ეუბნება ერთი ჯენტლმენი მეორეს.

— ღმერთო ჩემო, საშინელებაა! მე, მართალი გითხრა, ვერ ავიტანდი! სექსი წელიწადში ორჯერ სად გაგონილა!

* * *

ავი ძაღლები იმისთვის არიან საჭირონი, რომ კეთილ ხალხს მიესიონ.

* * *

— ეგ რა დაგმართნია, მეგობარო?! მთელი სახე დასისხლიანებული გაქვს. ტანსაცმელი შემოუგლეჯიათ. წამო, სახლში წაგიყვან...

— არა. სახლიდან მოვდივარ.

* * *

ადამიანს კიბოსი ეშინია, ბურატინოს კი კოდალასი.

* * *

— გასაღების ჭუჭრუტანაში ჭვრეტა ძალიან ცუდი ჩვეულებაა.

— იქ რაც მოჩანს, რა, ძალიან კარგია?

სახელოვანი მშობლები

ანდრო ყანდელაკი რა, «სხვის ომში» იბრძოდა?!

ეს ნიადაგ გამოწკეპილი, ჩაგალსტუკებული, „კურნოსა“, სიმპათიური მამაკაცი, ერთი შეხედვით, სულაც არ ჰგავდა მხატვარს, უფრო „პარგიული მუშაკი“ გეგონებოდათ – დინჯად საუბრობდა, ნება-ნება აბოლებდა სიგარეტს და ყურადღებით გისმენდათ... ასეთი დამამახსოვრდა დღემდე, ბატონი ანდრო კანდელაკი, რომელიც უკვე ჩვენს გვერდით აღარ არის...

– „კურნოსა“ რა გასაკვირია, – მეუბნება ღიმილით უმცროსი ვაჟიშვილი ანდრო კანდელაკისა, – გიორგი – ჩვენი კოლეგა, შესანიშნავი ჟურნალისტი და მხატვარი, – მამაჩემს დედა ჰყავდა რუსი... ბებუაჩემი – ვალერიან კანდელაკი პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა, შემდეგ „ცარსკოე სელოში“ იყო გიმნაზიის დირექტორი და იქ თავისი მოადგილის ქალიშვილი – მარიამ კაჩალოვა შეირთო... მერე რა იყო, როგორ იყო, ეს დიდი ისტორიაა, ფაქტია, რომ ჩვენ – მამაჩემი, ჩემი უფროსი ძმა ვოვა (ამერიკაში მცხოვრები უნიჭიერესი მხატვარი) და მე „კურნოსები“ დავრჩით...

– თქვენამდეც მოსულა გენი...

– დედაჩვენიც არაქართველია – ნატალია ვინიკაია, რომელსაც, ჯერჯერობით, არა უშავს, ჯანმრთელადაა და სანთლეს უნთებს ხოლმე მეუღლის – ანდრო კანდელაკის ხსოვნას.

– გასაგებია... ბატონო გიორგი, როდესაც მამათქვენი გავიცანი, და შემდეგაც, როცა ვხვდებოდით ხოლმე, მეჩვენებოდა, რომ იგი გულჩათხრობილი კაცი იყო...

– შეიძლება... თუმცა, ეს, ერთი შეხედვით... იგი იყო შედმიწევნით საქმიანი, დისციპლინირებული, ცდილობდა ჩვენც – შვილებიც ასეთები ვყოფილიყავით, მაგრამ, ერთი გენახათ, როგორ გარდაიქმნებოდა იგი მეზობლებთან, მეგობრებთან ურთიერთობისას. ის უძღვებოდა პურ-მარილებს, ამხიარულებდა ყველას, იგონებდა ათას სასაცილო რაღაცეებს, შაბათ-კვირას, თუ მეზობლობაში ან ნათესავებში არ „გრიალებდა“, უახლოეს მეგობართან, ბატონ შურა მანელაშვილთან მიდიოდა და გადაქანცვამდე თამაშობდნენ ნარდს... შემოქმედ კაცს, შეიძლება, ერთი შეხედვით არ ჰგავდა, რადგან იგი მაინც კაბინეტის მხატვარი იყო და არა სახელოსნოსი. კაბინეტში იქმნებოდა მისი საგიორულ-იუმორისტული ჩანახატები საყოფაცხოვრებო თემაზე, კარიკატურები, პოლიტიკური სატირა, რომლის ერთ-ერთ ფუძემდებლადაც საქართველოში იგი ითვლება, საბავშვო ჟურნალების ფერად-ფერადი ნახატები...

– პირველი ნახატი სად დაბეჭდა?

– „ნიანგში“, 1935 წელს... იმ წლიდან „ნიანგის“ ყოველ ნომერში – პირველ ან ბოლო გვერდზე იყო დაბეჭდილი ანდრო კანდელაკის კარიკატურა საყოფაცხოვრებო, თუ პოლიტიკურ თემაზე... დიდი ომი ახლოდებოდა და ასეთ კარიკატურებს, იცოცხლეთ, „ფასავალი“ ჰქონდა... მალე ძალზე პოპულარული გახდა. იწვევდნენ ჟურნალ-გაზეთები, იბეჭდებოდა და იბეჭდებოდა. უაღრესად რეალისტური, ცხოვრებისეული იყო ეს ნამუშევრები.

– ომი რომ დაიწყო, მალე გამოიძახეს?

– თავიდანვე... თანაც, ქერჩის „სასაფლაოსთვის“ იყო, თურმე, გამზადებული მაგათი ნაწილი, მაგრამ მამაჩემი, ბედად იქ აღარ გაუმწესებიათ და ასე, მადლობა ღმერთს, საღსალამათი დაბრუნდა, თუმცა, არ დაპკლებია ბრძოლები სხვადასხვა ადგილას, განსაკუთრებით, ბელორუსიაში...

– მე მინახავს მისი ფრონტული ჩანახატები...

– უამრავი დარჩა... სხვათა შორის, ბევრი მხატვარი ვერ გამოვიდა ცოცხალი იმ უთანასწორო ბრძოლებიდან და, ამდენად, მამაჩემის ფანქრით თუ ტუშით ფრონტზე შესრულებულ ამ ნახატებს ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს...

– არ გიცდიათ მათი გამოფენა?

– ომის დამთავრების 60 წლისთავთან დაკავშირებით ვთხოვე ბატონ თემო გოცაძეს, იქნებ „ცისფერ გალერეაში“ გამართოთ-მეთქი ანდრო კანდელაკის ნამუშევრების გამოფენა. დამპირდა ბატონი თემო, გეგმაშიც ჩასვა, მაგრამ შემდეგ, რაგომღაც, გეგმა შეიცვალა. მიველი კულტურის მინისტრის ერთ-ერთ მოადგილესთან, მაგრამ არაფერი გამოვიდა, ეგ „სხვისი ომი“ იყოო, მითხრა და ჩემთან საუბარი დაამთავრა...

– ღმერთმა შეუნდოთ!...

– რა ვიცი... არ დაგიმალავთ: მეუბნებიან მოსკოველები (იქ მხატვართა კავშირის მდივანი ვიყავი ერთ დროს), მეუბნება რუსეთის საელჩო, ჩვენ გავმართავთ გამოფენასო, მაგრამ, რაგომ კაცო?! ნუთუ, ანდრო კანდელაკი, რომელსაც სიცოცხლეში ქვეყანა აფასებდა და დიდი დანიელ ბილსგრუპი თავის ძმაკაცად თვლიდა, რა, სიკვდილის შემდეგ ასე ხელწამოსაკრავი გახდა?!

– რას იზამთ, ამათ წინაპრებზე ცოტა გართულება აქვთ...

ვილენ მარდალეიშვილი,

სურათებზე: ანდრო კანდელაკი, მხატვრის პოლიტიკური კარიკატურა და ფრონტული ჩანახატები.

მოდა

გულშემატკივრებს თავგზა აუბნია...

პარიზში მაღალი მოდის კვირეული დასრულდა, რომელმაც მოდის მიმდევართა და მის გულშემატკივრებს თავგზა აუბნია... დიზაინერთა უმრავლესობამ წარმოდგენილი კოლექციებით მოდის მიმართ, შეიძლება ითქვას, გარკვეული ირონიაც კი გამოხატეს – მათი შემოქმედება თეატრალურ სანახობას უფრო წაგავდა...

კრისტიან დიორის კოლექციების ჩვენება მე-19 საუკუნის მეჯლისს მოგაგონებდათ, სადაც მოდელებს ეროტიკული ფანტაზიით შექმნილი კოსტიუმები ამშვენებდათ. თეატრალიზებულ სცენაზე თეატრალური მოდელებითვე წარსდგნენ ალექსანდრ მაკუინი, ჯონ გალიანი, ემანუელ უნგარო, ლაკრუა და სხვები. განსხვავდებოდა ჟან-პოლ ჯოტიეს კოლექცია, მან მაღალ მოდას შესთავაზა ლამაზი, ძვირფასი და ამასთანავე, პრაქტიკული კაბები. ერთ-ერთ კაბას, რომელიც პარიზს „მიუძღვნა“ მოდის დედაქალაქის სიმბოლოები უხვად ამშვენებდა.

აკადემიური ჩვენებები მოაწყვეს, ეგრეთ წოდებულმა, კლასიკოსებმა: ვალენტინომ, შანელმა და ჟან-პოლ ჯოტიემ. როგორც ყოველთვის, განსაკუთრებული ორიგინალობითა და ბრწყინვალებით გამოირჩეოდა ვალენტინის კოლექცია. იგი ამჯერადაც თავისი თვითმყოფადი სტილის დამცველად მოგვევლინა. მას მოდელების წარმოდგენისას თეატრალური დეკორაციისთვის, ჯონ გალიანოსგან განსხვავებით არ მიუმართავს. გალიანო აცხადებს, რომ მოდის სამყარო თეატრია და ჩვენ ამ თეატრის მსახიობებიო... ვალენტინო კი ჯიუტად იმეორებს – მაღალი მოდა თეატრი არ არის, ის ზღაპარია და არ უნდა დასრულდესო...

სასურველია, რომ დიზაინერები საბოლოოდ შეთანხმდნენ, ფანტაზია, პრაქტიკული იღეები ერთმანეთს შეუთავსონ და ალბათ ასე შექმნილ კოსტიუმებს უმრავლესობა მოიწონებს, ანუ მოდა-ზღაპარი ზღაპრულ რეალობად გადაიქცევა...

ლელა დონაძე.

სურათებზე: მოდელები პარიზის კვირეულიდან.

ხსოვნა

ვახტანგ ოთხვანი

მოულოდნელად, ტრაგიკულად წავიდა ჩვენი რიგებიდან, საავტომობილო გზების სპეციალობის დამსახურებული ინჟინერი, გულისხმიერი ადამიანი, ყოველმხრივ გამორჩეული პიროვნება ვახტანგ ოთხვანი.

ვახტანგ ოთხვანი დაიბადა 1945 წელს. სკოლის დამთავრების შემდეგ 1963 წელს სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში საავტომობილო გზების სპეციალობით, რომლის დამთავრების შემდეგ 1969 წელს განაწილებით მუშაობა დაიწყო საკავშირო მნიშვნელობის გზების საპროექტო ინსტიტუტ „სოიუზდორპროექტში“, რომელშიც მუშაობდა გარდაცვალების დღემდე.

თავისი მუშაობის პერიოდში მან განვლო გზა, რიგითი ინჟინრიდან, პარტიის უფროსამდე, ექსპედიციის უფროსამდე და პროექტის მთავარ ინჟინრამდე, რომელ თანამდებობაზეც მუშაობდა სიცოცხლის ბოლომდე.

იგი მონაწილეობას იღებდა გზების პროექტირებაში, მაშინდელი საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა რეგიონში რუსეთი, ციმბირი, ბამის მშენებლობაზე, თურქმენეთში, ტაჯიკეთში, უზბეკეთში, 1977-1979 წლებში ტექნიკური დახმარების მიზნით იმყოფებოდა ირანის ისლამურ რესპუბლიკაში. ბოლო წლებში მისი უშუალო ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა სოხუმის შემოვლითი გზის და თბილისის შემოვლითი გზის მშენებლობები. მუშაობის მთელ პერიოდში იყო გამორჩეული პიროვნება, არაჩვეულებრივი მეგობარი, თავისი საქმის ბრწყინვალე მცოდნე, არაჩვეულებრივი მეოჯახე და გულისხმიერი ადამიანი.

ყველა ჩვენგანისთვის უდიდესი ტკივილია, მისი მოულოდნელი, ტრაგიკული აღსასრული.

ჩვენს მწუხარებას საზღვარი არა აქვს. თავს ვხრით შენი ცხედრის წინაშე ჩვენო ვახო!

იძინე ტკბილად შენს სამუდამო სასუფეველში.

„თბილსახავტოგზაპროექტის“ კოლექტივი.

თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის პრორექტორი, არაბისტიკის ქართული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი, არაბისტთა არაერთი თაობის აღმზრდელი

დიტო გოჩოლეიშვილი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.



საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი არაბისტი, ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, უკეთილშობილესი პიროვნება

დიტო გოჩოლეიშვილი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს არაბულ ქვეყნებთან ურთიერთობის ასოციაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ასოციაციის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი ვიცე-პრეზიდენტი, არაბული ქვეყნების თვალსაჩინო ექსპერტი

დიტო გოჩოლეიშვილი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საავტომობილო გზების 932ბ ჯგუფის 1969 წლის კურსდამთავრებული ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ვახტანგ ოთხვანის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შოთა გორგოძე, ვახტანგ ნინიძე ოჯახებით იუწყებიან

დოდო გგელაძე-სალაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ჩვენი გაგეთის შემდეგი ნომერი გამოვა 9 და 10 მაისსაც.

მე ჩემს ვარიანტს გთავაზობთ

რჩევები სადისტურ-მაზოხისტური რეკლამების მაგიერ

გადაიღალა, ნეგროზით დაავადდა ისედაც ავადმყოფი ხალხი და ზოგიერთები საიქიოს გზასაც გაუყენა ამდენმა უაზრო, შეუსაბამო და სადისტურმა რეკლამამ. მე გთავაზობთ სრულიად მარგი და გასაგებ ენაზე შედგენილ რეკლამებს, რომლებიც ერთგვარ შვებასაც მოჰგვრის მაყურებელს. არ არის გამორიცხული, რომ გაეცინოთ კიდეც.

თუ გინდა ხეირი, იყიდე „ფეირი“.

* * *

კომპოგი და წვენი გინდა?
არ ეძებო ტყეში პანტა,
ყველა კუთხე-კუნჭულშია,
„პეპსი“, „კოკა-კოლა“, „ფანტა“.

* * *

რა დროს პროზა და ლექსია,
როცა ეკრანზე სექსია.

* * *

ვაკკაცად ვერ გაიზრდები,
არ გექნება ულვაშები,
ყოველ დამე თუ არ ნახე
სტრიპტიზი და „უკასები“.

* * *

თუ არ გინდა სექსი, ქალი,
ოჯახი და ბავშვის ყოლა,
არ დალიო საფერავი,
სვი „ფანტა“ და „კოკა-კოლა“.

* * *

მინდა ყველა ქალს გულწრფელად
ვუთხრა
რომ ჩვრებს ჯობია „ოლვეის-ულტრა“.

* * *

თქვენს ხელში დანა სასწაულს შეიქმს,
თუკი შეიძენთ „მირიქალ ბლეიდს“!

* * *

კბილებს გააქვთ ლაწა-ლუწი?
შეიძინეთ „ლაკალუტი“!

* * *

გინდა, მოეწონო გოგის?! –
სუნი გქონდეს „პალმოლივის“!

* * *

გიყვარს ბევრი, თეთრი ქაფი? –
მაშინ, შეიძინე „ბარფი“!

* * *

კბილი დაგესვარა მთხლეში? –
გაიხეხე „აქვაფრეშით“!

ნიკოლოზ იოსებიძე.

ნოსტრადამუსს სამედიცინო განათლება ჰქონდა.

● ჩიკაგოში ქალი-მძღოლი შეუძლიათ დააჯარიმონ, თუ ცალ თვალს თმა ან შლაპა უფარავს.

● მსოფლიოში სახელგანთქმულ არც ერთ მხატვარს იმდენი ავტოპორტრეტი არ დაუხატავს, რამდენიც რუბენსს. მას 90-ზე მეტი ავტოპორტრეტი აქვს შექმნილი.

● 1619 წელს ჰოლანდიელმა კაპიტანმა ვირჯინიაში პირველი ზანგი მონები ჩაიყვანა. 1800 წელს კი მათი რიცხვი აშშ-ში უკვე მილიონს აჭარბებდა.

● ძველად ქალის ქვედა საცვალს ალერსი ერქვა.

● ჩინეთში მაწანწალა ძაღლებს ვერ ნახავთ, იმიგომ, რომ ჭამენ.

● კალია ერთადერთი მწერია, რომელიც საკუთარ თავს ჭამს.

● თბილისში მდებარე დარეჯანის სასახლეს მეორენაირად საჩინო ჰქვია.

● ამერიკელი მომღერლის მარიო ლანცას ნამდვილი სახელი და გვარია ალფრედო არნოლდ კოკოცა.

● სიკეთის სიმბოლოა ციფრი 3.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
გამომცემელი – „თანადგომა-1“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი
რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი
ბონდო გულიაშვილი.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება -
ტელ: 93-28-13.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.